


652/
1980/2

100

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



5
1980

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ



652/1
980/12

ქოჩოხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
უშრნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გ ა მ ო ც ე მ ი ს 22-ე წ ე ლ ი

5

1980

საქართველო
ოქტომბერი

რ ა წმენაქრა ზღვა გვაქვს, აჭარა,
რ ა მთავალი, მუიბუასი მუდით...
ქალაქი—ჩუნი ქუყენის თანჯარა
აღმოსავლუთით და დასავლუთით.



გ ა თ უ მ ი

აჭარის უშრნალ-გაუეთეგის გაამოცემლოგა

ნოვერში დაბეჭდილია:



სასან კელიმში	3 ლაზური მართალი სიტყვები
რეზან გორგაძე	7 დიდი სამზადისი
ნანა გვარამუშვილი	11 ჩემი სოფელი სიხადირი
სულიკო შლენტი	15 ლექსები
რეზო ჩხეიძე	19 რაიკომის მდივანი
ამირან საბაში	38 ლექსები
ლევან სანიძე	41 ხმალიც და ჯვარიც
დავით სურგაძე	47 ** (ეს ორი თვეა...)
ნესტორ მაღაზონია	48 ქორწილში რომ არ დავაბეჭდე...
ოზგოზ დლონი	52 ლექსები
ნოდარ მოდგაძე	54 თვა
ანსორ ღერეთიშანიძე	60 ლექსები
გოთა ასანიშვილი	61 მხატვრები
უილიამ შუშანიძე	64 ჰენრი შერე
ილია რურუა	66 სიტყვა ბათუმელ ექიმებზე
რამაზ სურგანიძე	73 ზაქარია ჭიჭინაძის უკანასკნელი დღეები
იოსებ გვამირიშვილი	77 აცამბების ოჯახი
იური სისარულიძე	80 მარიამწმიდის ერთი ფრესკული ხაზი
მართლოს კასრაძე	83 ვინ რა თქვა ჭოროხზე
იური ხერხეულიძე	84 გონია
დავით კომახიძე	87 ბათუმის არქიტექტურის მუზეუმი
ლადო შარაშიძე	89 დიდი ხელოვანი
	92 გასულ ორ თვეში


გარეკანის მე-2, მე-3 და მე-4 გვერდებზე დაბეჭდილია რეპროდუქციები სასან კელიმშიის ნახატებისა — „სახლი, რომელიც ავაგე ვასიუ-განში“, „ონნამურე (საცხეველი)“ და „მონადირეობა“.

ფურნალი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ.

ნომერში დაბეჭდილია ნ. ანასტასიევის, ა. ჩანტლაძისა და ვ. მითაიშვილის ფოტოები.

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა დარჩია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 9. 80. საბეჭდო თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 2827, ემ 01426, ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 5.000



ლაზური

გაერთიანი

სიტყვები

„დამითმე წუთი სალაპარაკოდ“ — ასე ერქვა ნ. ჯაფარიძის ნარკვევს, რომლითაც „ჭოროზის“ (1980, № 1) შეთხვევლებმა თვითნასწავლი ლაზი მხატვარი და პოეტი სასან ჰელიმიში გაიცნეს.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია ზ. ჰელიმიშის ნახატების რეპროდუქციები (პორტრეტის ავტორი — ო. წურქავე). ამასთან ერთად ვთავაზობთ ზ. ჰელიმიშის ლექსების მცირე რეკალს, რომელსაც მისივე ერთ-ერთი ლექსის სათაური — „ლაზური მართალი სიტყვები“ ვუწოდეთ, რადგან ყოველი სტრიქონი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ჭეშმარიტი პოეტური სულის ნაყოფია.

ლექსების ქართული რედაქცია ეკუთვნით პოეტებს დავით თედორაძესა და ვახტანგ ღლონტს. „ქვაომხაზე“ გარდა, აქ წარმოდგენილი ლექსები ზ. ჰელიმიშის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე დაწერილი.

ქ ვ ა ო მ ხ ა ზ ე

ჰე, ქვაომხაზე, შენ არ ბერდები,
მიცნობ, თუ ხსოვნის მომაგე ბინა?
მე, გუშინდელი ბავშვი, ვთეთრდები,
შენ ღვაზარ, როგორც იდექი წინათ.
შენ ქვისა ხარ და ვინ მოგცა დარდი,
დარდი, რომელმაც შუა გამაპო ..
უცვლელთ, შენი იმედით გაზრდილს

ქვაომხაზე კლდისმოწყვეტილ უზარმაზარ ლოდს ჰქვია სარფში.

ქ. გარსის სს. სპ.

დაბითმე წუთი სალაპარაკოდ.
 ჰე, ქვაომხაზე, ვერ გავუძელი,
 ნაადრევია თუშტა ტკივილი,
 შენ ქეისა ხარ და შენ ხარ სულგრძელი.
 მიტომ არ მახსოვს შენგან ტირილი.
 ზღვა გკოცნის ღღისით და გკოცნის ღამით,
 ზღვაში დგახარ და ზღვითა ხარ სველი.
 სარკვე ზღვისა გაქვს, რად გინდა მაინც,
 შენ არ იცვლები და არვის ელი.
 აჰ, ქვაომხაზე, მოვარდა ქარი,
 ტალღა გასკდება, ქაფით თეთრდება,
 ეს მერამდენე დღე და თვე არის
 დგახარ ასე და აღარ ბერდება!

რაღა ვქნათ, შვილო?

გნებავს, ილექსე ადამის ძე, იმდერე, გნებავს,
 გნებავს, იშრომე ან იძინე, — შენია ნება,
 რაც გსურს, ისა ჰქენ, — ამაოა ყოველი ვნება,
 არ გვეძველება არაფრით და რაღა ვქნათ, შვილო?
 ყველა ქვა თავის ადგილზეა მძიმე მარტოდენ,
 გროშად არ ვღირვარ აქ და ტყუილს არ მსურს ვამბობდე-
 ვისგან რას უნდა მოველოდე, გულს ვის ვანდობდე,
 ვის კარზე უნდა მივიდე და ვიღასთან, შვილო.
 ყველას თაფისი ტყავისა აქვს შიში და სევდა,
 კაცი კაცური ქვეყანაზე მცირეა მეტად,
 ყოველი საქმე პურმარილით კეთდება, ვხედავ.
 არ ვართ ოქროთი მდიდარი და რაღა ვქნათ, შვილო.
 მაგრამ მე ვიცი, ქვეყნად ჟამი დადგება კიდეც,
 ჩემს ყოველ სიტყვას ფასს დასდებენ კიდიით-კიდე.
 მაშინ შემდინობთ ყველანი და მომძებნით კადეც,
 მაგრამ გარდასულს ვერ მაპოვით ველარსად, შვილო.
 როცა უბედურს პირში კბილი ჩამიცვივდება,
 როცა სხეულში ცხელი სისხლი გამიცვივდება,
 როცა თავზე ანწლი ამომივა, მექმენ იმედად,
 გაძიხსენებდე, რა იქნება, ამ ქვეყნად, შვილო.

არის ჩვენში მსგავსება,
საცნებლო, ოდითგან,
თუმც ადამის ძესავეთ
სულიერი როდი ხარ.
გბეგვავს დინგი უწყალოდ,
არვინ დგება მოზავედ,
შენ და დინგი სხვის გამო
იცემებით ორთავე.
ტყუილად სცემთ ერთმანეთს,
ბრინჯიც სხვისი არის, და...
რა გერგებათ, არც იცით
თქვენი ნაოფლარიდან.
დაცეხვამდე შენია
ბრინჯი დაუცეხვავი,
დაცეხვავ და ტომრებით
სხვასთან მიდის ეს ხვაი.

არც ქალიშვილს ეკუთვნის,
დინგზე ფეხით მდგომელსა,
ვირც დეიდა ვერ შესჭამს,
დაუთესავს რომელსაც.
ბეგს და აღას ერგება
ბრინჯის ფლავი მარტოდენ,
პირზე ნერწყვით დეიდა
ლუკმას უნდა ნატრობდეს.
მე კი, ქვისა რომ ვიყი,
გავჩუმდები სრულიად,
დინგმა ავითონ რა იცის,
ხისგან რომ გაუთლიათ.
თუ ქვისა ხარ, გაუძელ,
დინგი რომ არ გიცოდებს?
და თუ ახლაც გძინავს შენ,
მართლაც ხის ხარ, იცოდე.

ლავური მართალი სიტყვები

რამდენიც უნდა დაუშალონ ობობას ქსელი,
ახალს გააბამს, თუნდაც ბევრი ჰყავდეს დამშლელი.
თუ ნაღდად იცი, სამართლიან საქმისთვის დაობ,
დღეს დაგიბრუნებენ, ხვალე მაინც იქნება შენი.

* * *

თუ კაცი არ ხარ, სადაც გინდა, იყავი, ძამო,
ძროხაც ახერხებს მსუყე ფხალის ფოთოლი ჭამოს.
თუ არ ვარგებხარ, თავადაც თუ მოგეხსენება,
ვატიც გჯობია კაი თხისა შენ ამის გამო.

* * *

ვინც ბევრი იცის, — ბევრს ტყუულება და მიწის სარქველს
არც ემატება, არც აკლდება — ასეა საქმე.
იცოდე, როცა მიწის საბანს გადაიხურავ,
რაც აქ, მიწაზე, მოგივია, — დარჩება აქვე.

* * *

დაუფიქრებლად თუ მეტყველებ, მაშ, ნულარც ღელავ,
მწარე პასუხი მოკამათის ნუ გაქცევს ხელად.
თუ სხვების შველა წესად არ გაქვს შენი ცხოვრების,
მაშ, ნულარც თვითონ ელოდები სხვებისგან შველას.

* * *


რა მოიტანე ქვეყანაზე, მოხვედო რატომ?
როცა ქვეყნიდან წაღებაზე ოცნებობ მარტო.
რაც ხელთ გიპყრია, თუ შესძელი მისი შენახვა,
როცა ხელიდან გაქცეულზე ფიქრობ და დარდობ.

* * *

თუ მშაერს ერთი ლუკმა მჭადი მოგებოვება ,
თუ სამსახური არაგისი მოგეთხოვება,
თუ არც სხვა გმონებს და სახლიც გაქვს თავშესაფარი,
არ ვამბობ ტყუილს, შენ გეკუთვნის შენი ცხოვრება.

* * *

თუკი სიკვდილი მომერევა მხოლოდ და მხოლოდ,
მაშინ იცოდე, რომ სიცილით მოგკედები ბოლოს.



ქალიშვილები

მხატვარი ხასან კელიმაში.

დიდი სამზადისი

საქართველოს კომპარტიის მომზადების
რაიკომის პირველი მდივანი
ბონდო ჯიქია უპასუხებს „მორიხის“
სპეციალური კორესპონდენტების
კითხვებზე



— პატვიცემული ბონდო, ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია წინა-საყრილობო სამზადისი. სკკ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრა, რომ იტყვიან, ნომერ პირველი ამოცანა ყველა კოლექტივის, თითოეული კომუნისტისა თუ მშრომელისათვის, როგორ ჩაერთო ამ სამზადისში თქვენი რაიონის პარტიული ორგანიზაცია?

— სკკ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები ყველა პარტიულ ორგანიზაციაში განვიხილეთ, ამ საკითხზე მსჯელობა გეჭონდა რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე. ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით აღვიქვით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომ „ახალი ყრილობის სამზადისი როგორც კომუნისტთა, ისე უპარტიოთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტი გახლავთ“. იდეოლოგიური ფრონტის მუშაებს დავავალეთ ამის გათვალისწინებით განუმარტონ ამოცანა თითოეულ მშრომელს, დაეხმარონ მათ სწორად განსაზღვრონ დიდ სამზადისში თავიანთი როლი და ადგილი.

სკკ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად მზადების სპეციალური გეგმა გვაქვს შემუშავებული. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ამ გეგმით შრომითი მეტოქეობის გაძლიერებასაც ვითვალისწინებთ. ეს აუცილებელია, ყრილობისათვის მზადების დღეებში ზომ ყველა შრომითს კოლექტივში იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და მათი შესრულებისათვის, როგორ „სკკ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შევიბრების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაშია აღნიშნული, მთელი სიმტკიცით უნდა ვიბრძოლოთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტი დაცვისათვის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

— ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი მორიგი ყრილობისათვის მზადების პერიოდში თვალი გადავავლოთ ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ გზას, შევაჯამოთ გაწეული შრომის შედეგები, სათანადოდ შევაფასოთ წარმატებებიც და დავინახოთ ჩრდილოვანი მხარეებიც, მიღწეულზე დაყრდნობით წამოვიწყოთ უფრო მაღალი მიჯნების იერიში...

— ჩვენთანაც ასეა. უკვე ყველა მასალა, ციფრი, ცნობა შევავსოვეთ და სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგის ნათელი სურათი მივიღეთ. კმაყოფილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ქობულეთის რაიონის მშრომელები ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში მამაცურად გაისარჩნენ, ძალ-ღონე არ დაზოგეს პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს.

ყველაზე უკეთ მაინც მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა იშრომეს, — ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულეს და ისიც დიდი გადაჭარბებით. შარშანვე მეჩაიეებმა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ორი ათასი ტონა ფოთოლი მისცეს სამშობლოს, მეციტრუსეებმა კი ყველა ადრინდელ რეკორდს გადააჭარბეს — თითქმის 105 ათასი ტონა ნაყოფი მოკრიფეს და ხუთწლედის ბოლოსათვის დასახულ მიზნას 37.500 ტონით გადაამეტეს.

მეციტრუსეთა დიდი გამარჯვება მარტო რაიონული მასშტაბის მიღწევა როდია. მათი ნამაგარის შესათვსებლად, ალბათ, საჭიროა ისიც ვთქვათ, რომ ქობულეთელ მეციტრუსეთა წილად მოდის საქართველოში წარმოებული ციტრუსოვანთა ნაყოფის 40 პროცენტი.

მეჩაიეები და მეციტრუსეები წელსაც ბეჭითად შრომობენ და სასახლო მაჩვენებლებით შეხედებიან მშობლიური პარტიის მომავალ ყრილობას, რომლის გადაწყვეტილებათა მიხედვით კიდევ უფრო დიდი ამოცანების გადაჭრა მოუწევთ, ამოცანებისა, რომლებიც ჩვენს წინაშე დაისახა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიხედვით, რეზერვებისა და შესაძლებლობათა დაუღალავი ძიება გემატებს. ცოტა უფრო მეტად თუ გავირცებით, გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მეცნიერთა კოლექტივმა გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიში „კოლხეთი“, რომელიც 50-60 პროცენტით მეტ მოსავლას იძლევა და მისი ნედლეული-საგან დამზადებული პროდუქცია ხარისხით მსოფლიოში აღიარებულ ინდურ და ცეი-ლონურ ჩაის არაფრით ჩამოუვარდება. „კოლხეთის“ პლანტაციების გაშენება სწორედ ყრილობიდან ყრილობას შორის პერიოდში დაეიწყეთ, ამ ჯიშით რამდენიმე წელიწადში შეიცვლება ყველა მოძველებული პლანტაცია, თუ ახლა ჩვენი რაიონი საქართველოში წარმოებული ჩაის 10 პროცენტს იძლევა, უახლოეს პერიოდში ეს მაჩვენებელი უფრო მაღლა აიწევს.

სრულად არ არის გამოყენებული მეციტრუსეობის რეზერვები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ 1985 წლისათვის ციტრუსოვანთა სრულმოსავლიანი ნარგავების ფართობი 4.570 ჰექტარამდე ავიყვანოთ, ნაყოფის საშუალო წლიური მოსავლიანობა კი 130-140 ათას ტონამდე.

ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში ახალი ძალით წამოიჭრა ლიმონის წარმოების დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, ზემდგომი ორგანოების მითითებათა შესაბამისად, პირველი ნაბიჯები გადავდგით კიდევ, მაგრამ მთავარი წინაა. 1981-1985 წლებში კოლმეურნეები საკარმიდამო ნაკვეთებზე 69 ათასამდე ძირ ლიმონს დარგავენ. ამავე პერიოდში ციტრუსოვანთა ბაღებში მეჩხერიანობასაც ლიმონის ხარჯზე დაეძლევა. მაშინ ამ ძვირფასი კულტურების ნარგავების რაოდენობა 300 ათასს გადააჭარბებს.

ვერ დავემდურებით მრეწველობის მუშაეებს. სერიოზულ ძვრებს მივაღწიეთ სახალხო განათლებასა და კულტურაში, გავაძლიერეთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ახლა ჩვენი მშრომელები გაცილებით უფრო შეძლებულნი არიან. ისევ ციფრებს თუ მოვიშველიებთ, დაინახავთ, რომ კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1975 წელთან შედარებით 1979 წლისათვის თითქმის 6,5 მილიონი მანეთით გაიზარდა,

ეთ და სახალხო
კმაყოფილებით
ნობისა და ხარის-
ტის წინასწარდა-
მიაღწევს.

— ხუთწლეულის
შარშანე მეჩა-
ნისცი საშობ-
— თითქმის 105
ტლ მიჯნა 37.500

მღწევა როდია.
კბოულთელ მე-
ანთა ნაყოფის 40

სახელო მაჩვენებ-
ის გადაწყვეტილ-
ამოცანებისა, რო-
ერთული და სუბ-
ნების შემდგო-
ბული კომიტეტის
და დაუღალავი ძი-
მეტს მივაღწევთ.
ცენიერო-საკვეთი
ჩაის ახალი ჯიბი
მისი ნედლეული-
ინდურ და ცეი-
გაშენება სწორედ
მდენიმე წელიწად-
რაიონი საქართვე-
ის ეს მაჩვენებელი

ჩვენ ვეპარულობთ,
ის ფართობი 4.570
კი 130-140 ათას

წამოიჭრა ლობნის
მითითებითა შესა-
და. 1981-1985 წლე-
ის დარგავენ. ამავე
არაჭრე დადგენეთ.
გადააჭრებენ.
ის მივაღწევთ სახა-
ბური მოვლენების
ტლნი არიან. ისევ
ულდი შემოსავალი
ნებითი გაიზარდა,

საბჭოთა მეურნეობებისა — თითქმის 4,5 მილიონი მანეთით. შესაბამისად ამჟღად
შრომის ანაზღაურება.

ერთი სიტყვით, წარმატებები თვალსაჩინოა. ამაზე ისიც მტყუყვლებს, რომ შარშან-
დელი შრომებისათვის რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს
კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაამავალი წითელი დროშა მიეცუთენა.

— წარმატება, ბუნებრივია, ერთიანი ძალით იქედება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ
ყველა ერთნაირად ვერ აღუწიობს ფესს საერთო რიტმს, ზოგიერთი ავანგარდშია, სხვებს
საშუალო დონე უჭირათ, კიდევ სხვებს...

— გასაგებია, რისი თქმაც გასურთ. ის, რომ ერთნი წინ მიდიან, მეორენი მათ კვალს
მიჰყვებიან ან ჩამორჩებიან კიდევ, არადერი უტუო არ არის. ყველა ერთნაირად მოწი-
ნავე რომ იყოს (ეს, ალბათ, შეუძლებელია), მაშინ შევიტრებაც აზრს დაკარგავდა. არის
ასეთი დევნი: დღეს მოწინაის მიჯნა — ხელო კოლექტივის მიღწევა. ეს იმას ნიშნავს,
რომ შეტყუბები ყოველთვის იქნებიან.

— რაი სიტყვა ჩამოავდეთ, შეტყუბებზე ვისაუბროთ.

— წინასაყრილობო სოციალისტურ შერატებაში ბევრი შრომითი კოლექტივი და-
წინაურდა, ბევრმა ნოვატორმა ისახელა თავი. ყველას ვინ მოთვლის! მოწინავეთა შო-
რის მოწინავე კი ი. ბ. ტალინის სახელობის სახაშურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.
ოჩხამურელეშმა საჭერ ზედიზედ მოიპოვეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა,
შარშან კი რესპუბლიკის დროშას დაეუფლნენ. სკვპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ
ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის შარშანდელი მფლობელია ქვედა აჭყვის
კოლმეურნეობა. ბევრ შრომითი კოლექტივის აქვს მინიჭებული საოლქო თუ რაიონული
გარდამავალი წითელი დროშები.

მოწინავე ადამიანებზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, მიძნელებდა. საუკეთესოთა შო-
რის საუკეთესოებსაც ყველას ვერ დავასახელებთ. ისინიც, ალბათ, არ მიწყენენ.

სკვპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტი-
ლებების შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელებს გამოცდილმა ხელმძღვანელებმა
— ცეცხლურისა და ალაშხრის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა მიხეილ გიო-
რაძემ და ალიოშა ბომაძემ, ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვეტერანმა
კომუნისტმა ხასან ყურუშბაძემ, ხალოს კოლმეურნეობის თავაკამმა, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზურაბ ვასაძემ, ბევრმა ბრიგადირმა, ფერმის გამგემ თუ
რაგონის ხელმძღვანელმა.

არ შეიძლება სიმაჟით არ ვილაპარაკოთ კომუნისტ კუხა სეისსკერაძეზე. ამ მარ-
თოც ალაშმა მუშაკმა ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველმა დაიმსახურა სსრ კავ-
შირის სახელმწიფო პრემია. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა
ახალგაზრდა მეჩაი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მზეიანიარ ანანიძე. ქე-
ბო უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი მეჩაიები და მეციტრუსეები ნაზი მიქელაძე, ანა მუ-
შოვა, ნორა მეფარიშვილი, ივანე სტილილი, მარია ძიუბა, გულნარა გოგიტიძე, წარ-
ჩინებულნი მუშები იულია ყენდები, ციური დუბაძე, სხვები და სხვები, ისინი, როგორც
შკვე ვთქვით, ბევრმა არიან!

— თქვენი რაიონი ახალშენებლობათა ხარაჩოებშია. მშენებელთა ნახელებს კუ-
რორატ-ქალქის მრავალმა სტუმარმა უნდა მისცეს შეფასება, მათ შორის უცხოელებ-
მაც...

— სწორი ბრძანებაა. უკანასკნელ წლებში ათეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯა
მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე. აშენდა ახალი სკოლები, საბავშვო

დაწესებულებები, კლუბები, დასასვენებელი სახლები. კურორტის მშენებება „პროზო-
ნტის“, „მშენებლის“ და „ცენტროსოიუზის“ მაღლივი კორპუსები, რომლებმაც უკვე
ათასობით დამსვენებელი მიიღეს.

ავაგეთ თანამედროვე მძლავრი ჩაის ფაბრიკა, საცხოვრებელ ფონდს შევმატეთ 43,5
ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. ამჟამად შენდება ექვსი საცხოვრებელი სახლი,
სამი სკოლა, 12 საბავშვო ბაღი, ოთხი კლუბ-კანტორა... ასე რომ, ხარაჩოები კვლავაც
იქნება!

— კიდევ ერთი საკითხი. რა სიახლეა პარტიის რაიონის მუშაობის სტილსა და მე-
თოდებში, რა შეიცვალა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, როგორ
წარმართავდით პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას სკკპ XXV ყრი-
ლობის გადაწყვეტილებათა შუაშე?

— „ჩვენ სწორად მოვიქცევით, ლენინურად მოვიქცევით, — თქვა სკკპ XXV
ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — თუ ღირსეულად შევაფასებთ მიღწეულს და
ყურადღებას მივაპყრობთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს, გადაუჭრელ
ამოცანებს“.

ეს მითითება საფუძვლად უდევს ჩვენს მუშაობას. ყოველნაირად ვავითარებთ
კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ვამკვიდრებთ პრინციპული ურთიერთ მომთხოვნელობი-
სა და პატივისცემის, მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფეროს. ასეთი ატმოსფერო წა-
რმოშობს მისწრაფებას ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, უფრო ნაყოფიერად და მაღალ-
ხარისხოვნად. აქცენტი გადავიტანეთ წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევის, ახალი
ადამიანის ფორმირება-ჩამოყალიბების აქტუალურ საკითხებზე. პარტიულმა ორგანიზა-
ციებმა ბევრი რამ კარგი გააკეთეს აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის ამოცანის,
განხორციელებისათვის, ამოცანისა, რომელიც მთელი სივრცე-სიგანით დააყენა სკკპ
XXV ყრილობამ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაში გვეხმარება სკკპ ცენტრალური
კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის
შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ ისტორიული დოკუმენტის მოთხოვნათა მიხედ-
ვით პარტიული ორგანიზაციები ახლა ბევრს აკეთებენ, რათა თითოეულ მშრომელს
ნათლად ჰქონდეს შეგნებული, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად
მონაწილეობას სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში, რომ თაოსნური, შემოქ-
მედებითი მონაწილეობა შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის იდეური,
მოქალაქეობრივი სიმწიფის მაჩვენებელია.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილის დამახასიათებელი ნიშანი გახდა
აქტიური ცსოვრებისეული პოზიციისათვის თანმიმდევრული ბრძოლა. ახლა პარტიულ
ორგანიზაციებში ჩინებულად იციან, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა
მნიშვნელოვნად კლებულობს იქ, სადაც სიტყვას საქმე არ მოსდევს, სადაც უზრუნველ-
ყოფილი არ არის ორგანიზაციული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის ერთი-
ნობა.

კარგი შედეგი გამოიღო კადრების მუშაობის შეფასების ისეთმა კრიტერიუმმა,
როცა საწარმოო გეგმების შესრულების გარდა, ანგარიშში შედის კოლექტივის დის-
ციპლინის დონე, მორალურ-დისციპლინოვანი კლიმატი, შრომისა და ყოფაცხოვრების
პირობები.

ადამიანებთან სიახლოვის ხელოვნებას ჩვენ ესწავლობთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის
მოხსენებებისა და გამოსვლების მიხედვით, მისი შესანიშნავი ტრილოგიის მეშვეობით.
„მცირე მიწა“, „ყამირი“ და „აღორძინება“ ის სამაგიდო წიგნებია, რომლებშიც ყოვე-
ლთვის ვნახულობთ ჩვენთვის საჭირო რჩევა-დარიგებებს, მითითებებს თუ დასკვნებს.

წინა პლანზე წამოვიწიეთ ახალგაზრდობასთან მუშაობა, ჩვენს ხვალისდელ დღეზე.

სისტემატური, უაღრესად მზრუნველი ფიქრი გეპარებეს. ამის გათვალისწინებით, ფართოდ განგავითარეთ დამრიგებლობა. ახალგაზრდები ყოველთვის ყურადღებით უმჯობეს ჩვენს სახელოვან ვეტერანებს, — სოციალისტური შრომის გმირებს ემინე ზაქარაძეს, ასნათ ჯიჭავაძეს, ნაცდ კომუნისტს გრიგოლ ტიკაძეს და სხვებს. უკვე გამოცდილ დამრიგებელთა რიგებში ჩადგნენ ცნობილი მექანიზატორი კუჭა სეზისკვერაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საშუაოს დეპუტატი ელენე პავლიდი... ეს სიაც საკმაოდ გრძელია! მთელი ამ მუწაობის სიმძიმე, ბუნებრივია, პარტიის ძირეულ რგოლზე — პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე მოდის. ახლა ბევრი პარტიული ორგანიზაცია უძლებს საქმეს წარმატებით. აქაც, ალბათ, ზოგიერთების დასახელებას შეგძლება. მოწინავე პარტიული თავკაცები არიან ავთანდილ ჭინჭარაძე, გულნარა ბასილაძე, ავთანდილ ანანიძე, შაქრო დოლიძე. ხრისტი პაპანდოშოლო, ჯუმბერ აბდუშელიძე...

სულ კი რაიონში ახლა 340 პირველადი პარტიული, საბრტვადო ორგანიზაცია და პარტიული ჯგუფია, რომლებიც ოთხი ათასზე მეტ კომუნისტს აერთიანებენ. დამერწმუნებით, ეს დიდი ძალაა, რომელიც რაიონის მშრომელთა ენერგიას წარმართავს ჩვენი ლენინური პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, პარტიის XXVI კრილობის ღირსეულად შეგნედრისათვის.

ხალხარი ჩაწერეს სმარო ძაბაშვიძე და დუხსუნ კობალაძე.

ჩვენს გოტგაძე

ჩემი სოფელი ხიხაძე

ნარკვევი

ორი მდინარის შესაყართან ორი ხილია: ერთი — თამარისდროინდელი, ქვისა, თაღოვანი, ხავსმოდებული, სეორე — თანამედროვე რკინა-ბეტონით ნაგები. თაღოვანი ხიდის ახლოს, „თამარის წყაროზე“, კინულივით ცივი წყლით ვიკლავთ წყურვილს და ფურტიოს გავდივართ. ფურტიოდან ხიხაძისაკენ მიმავალი გზა მდინარე სხალთისწყალს მიუყვება.

სხალიდან სამი მოსახვევიც არ გავვევლო, რომ ჩვენს თვალწინ წამოიშართა დიდებული ხიხანი. სწორედ აქ მოღვაწეობდა მეცამეტე საუკუნის დიდი

მამულეშვილი — მწერალი და ფილოსოფოსი ტბელ აბუსერისძე.

მალე უკან მოვიტოვეთ სოფლები წაბლანი, კვატია, ვერნები და ფუშრუკაული. ნაღებურში მანქანიდან გადმოვედი. ამჯერად ჩემი სოფელში ჩამოსვლის მიზანი ერთია: მინდა დავწერო ნარკვევი ხიხაძისზე, მის წარსულზე და მომავალზე.

— აბა, ვის შეუძლია მიიხრას ჩემს სოფელზე ის, რაც მე არ ვიცი? — ეკითხე საკუთარ თავს და არჩევანი მეთალ გორგაძეზე შეეანერგე: გამრჯე მის მუშა ბიძია მეთიალი, შრომაში დაკოყრილი მისი ხელები მოწმობენ ამ

კაცის მიწისადმი სიყვარულსა და ერთგულებას. უსაქმოდ ყოფნა ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია. უქნარას ეერ იტახს, ხმელ ხესა ჰგავსო, არც ყვავილი იცის და ნურც ნაყოფს ნუ მოეღო მისგანო...

ერთხანს ჩაფიქრდა ბიძია მეთიალი და მერე განაგრძო: შრომა კარგია, მაგრამ მშრომელი კაცის დაფასებაც უნდა შეგვეძლოს.

წინათ ჩვენს კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება ძალზე დაბალი იყო. ჩვენი მეზობლები კი შრომადღებზე დიდხალ სიმინდს, კარტოფილს, ლობიოსა და ფულს ანაწილებდნენ. კოლმეურნეობის თავკაცებიც არ გევიარგოდა. სანამ თავმჯდომარედ ავირჩევდით, რა გინდა, სულო და გულო, არ გვპირდებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ხელმძღვანელის სკამზე დასდებოდნენ, დაპირებები ავიწყდებოდათ. სწორედ ასეთი ხელმძღვანელების ბრალი იყო, ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა რომ ზურგი აქცია სოფელს და ქალაქს მიამუშრა. აბა, დაუფასეთ ამაგი და მუშაკაცი ფეხს არ მოიცილის აქედან.

ბიძია მეთიალმა სიტყვა აღზრდაზე ჩამოავლო.

— ასეა, თუ თავიდანვე არ გასწავლით შვილს შრომის სიყვარული, შემდეგ გაგვიძნელებს მისი კაცურ კაცად აღზრდა. უსაქმურობას მიჩვეული ახალგაზრდა სულ ადვილად დაადგება მრუდე გზას. ჩემი დღედამოსწრება სულ იმას ვნატრობ, ღმერთო, გვიმრავლე სოფელში სინდის-ნამუსიანი, მკლავმოუღლე, შრომისმოყვარე გოგობები-მეთქი.

სანამ კაცი ცოცხლობს, თავისი სამსოფრო უნდა დატოვოს ამ ქვეყანაზე: ხეხილი დარგოს, სახლი ააშენოს, შვილები ამრავლოს. აბა, გადახედე ჩვენს სოფელს, ბევრს ორი-სამი ბავშვის მეტი არ ჰყავს. ადრე კი მეჯიდ, ზეპერი, დევრიშ ჯაიანებს, არიფ, ყეიდო და მურთაზ სურმანიძეებს, ჰაფიზ, იუნუს და ნური გორგაძეებს, ხასან, შაქირ, ქამილ, სულეიმან და მურთაზ გაბაიძეებს, ბა-

თალ ხალეშსა და ზეერ სხვას რვა, ზოგჯერ კიდევ ათი და თორმეტი შვილი ჰყავდათ. მათი შვილები ახლა მშობლებზე უკეთესად ცხოვრობენ.

სიტყვის პატრონია სოფელელი კაცი. გლეხი, რომელსაც მიწის ყადრი და შრომის სიყვარული პატარაობიდან დაჰყოლია, მაშინაც არ ღალატობდა სინდისს, როცა ნაკლებს აძლევდნენ შრომის საზღაურად, მიწას ებრძოდნენ და ამრავლებდნენ ღოვლათს. ასე შეაბრძნენ სოფელს შაქირ, მემედ, ქამილ, ხასან გაბაიძეები, სეფერ, ხუსეინ, ასლან აბაშიძეები, მუსტაფა, აბდულ, ფირყეთ მაჟულაძეები, იუნუს, ესედ, დაუდ გორგაძეები, ასლან, ყურაშუმ ხალეშები, მემედ იშხნელიძე და ბევრი სხვა. სწორედ მათზე უნდა ვუთხრათ ახალგაზრდობას, რომ ისინი სიყვარულისა და დაფასების ღირსნი არიან.

ქვეყნის ძლიერების ზრდასთან ერთად სულ უფრო მაღლდება ხალხის კეთილდღეობა, იზრდება სიუხვე. სადღა ჰვარტლიანი ძველი ქოხები, ხრიოკი ფერდობები, უმეტრება, სიბნელე, უფუფუნობა, სიღარიბე და სიღატაკე — რევოლუციამდელი ხინაძირელი ფუხარა კაცის თანამგზავრი... აჭარელი ქალის წყეული ჩადრით ჩაბარდა ისტორიას წარსულის ავადმოსავონარი სურათები. გახვდავ სოფლებს ხინაძირსა თუ ვერნებს, ფუშრეჯულსა თუ რაჭვთას, თბილევანსა თუ სევანს, მთისუბანსა თუ ახალშენს, კალოთასა თუ ნადაბურს — გული გაგინათლება: ყველგან ახალშენებლობაა ხარაჩოვბია აღმართული, ერთ სახლში რომ ახალმოსახლეობას ზეიმობენ, მეორე სახლს საძირკველს უყრიან. პრაქტიკულად უკვე დაიწყო ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ ამასწინათ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება, დადგენილებისა, რომელიც მიზნად ისახავს აჭარის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებასა და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმ-

ჯობებს. ამ ბოლო წლებში დიდი ყუ-
რადღება მიეცა ჩვენი კუთხის ეკონო-
მიკის გაძლიერებას, კვლავაც განვითა-
რდება მეცხოველეობა... წინ კი დიდე-
ბული პერსპექტივებია. მომავალი ხუთ-
წლელი ჩვენს სოფელშიც შემოაბიჯებს
ახალშენებლობათა ხარაჩოებით, გზები-
თა და სარწყავი არხებით, კულტურის
კერებითა და საყოფაცხოვრებო მომ-
სახურების ახალი ობიექტებით, სამკუ-
რნალო-პროფილაქტიკური და ფიზკულ-
ტურულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობებით.

ახლა, როდესაც ძველსა და ახალ ხი-
ხაძის ვადარებთ, ძველი მხოლოდ სა-
ხელი დარჩა, დანარჩენი ყველაფერი
ახალია: კულტურის სახლი, საავადმყო-
ფო, ორი დაწყებითი, ორი რვაწლიანი
და ერთი საშუალო სკოლა. სოფელი ამა-
ყობს თავისი აღზრდილებით, თავისი
ინტელიგენციით. ესენი არიან მასწავ-
ლებლები, ექიმები, ინჟინრები... მარტო
ერთი — ხაშიმ ხალვაშის ოჯახიდან,
შვიდმა შვილმა უმაღლესი განათლება
მიიღო, ამდენივე დიპლომი რძლებმა
შეიტანეს ოჯახში. ასზე მეტი ხიხაძე-
რელი ეუფლება ცოდნას ჩვენი ქვეყნის
უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ პა-
ტიოსანმა შრომამ გახადა სოფელი დოვ-
ლათიანი და ხალხი შეძლებული.

ისევ ბიძია მეთაილს მოვუსმინოთ.

— რომ ვთქვი, ახალგაზრდები სოფ-
ლიდან გარბიან-მეთქი, სხვანაირად ნუ
გამიგებთ. ახალგაზრდობას სოფლიდან
ქალაქში წასვლას ვერ აუკრძალავ, მაგრამ
მიზეზიც ხომ ვიცით? გოგო-ბიჭებს უნ-
და შეეუქმნათ ნორმალური შრომისა და
დასვენების პირობები, მარტო დაპირე-
ბა არ კმარა. ახალგაზრდებმა ახალი კი-
ნოც უნდა ნახონ და ახალი სპექტაკლე-
ბიც, ბურთიც უნდა ითამაშონ და ტე-
ლევიზორსაც უნდა უყურონ.

ყველაფერ ამას, რასაკვირველია,
მშრომელ კაცზე ვლაპარაკობ, უსამშურ-
მა კი რა იცის მიწის სიყვარული, მას
ერთხელაც არ უყნოსია სახნისით გადა-

ბრუნებული ბელტის სურნელი. აბა, ერ-
თი ჩემი უფროსი ძმისათვის გეკითხები,
რა იყო შრომის სიხარული... სამუშაო-
დან დაბრუნებული, მომასხარებდა: ყანა-
გავთოხნე, სარეველა ბალახი მზემ გა-
ანმო, ნათესს ვეღარ შეაწუხებსო, ჰა-
ლშიც წყალი მივუშვი, თივა ბლომად
გვექნებაო... ჩემი ექიმი და წამალი, ჩე-
მი მკურნალი და სიცოცხლე შრომათი,
იტყოდა. დიდხანსაც იცოცხლა დალოც-
ვილმა. ჰოდა, ყველა რომ მასავით მეუ-
რნე ყოფილიყო, მაშინ კვერცხის, ხორ-
ცისა და მწვანის საყიდლად ქალაქში
კი არ ირბენდნენ, ოჯახში ექნებოდათ
სახლის სამყოფიც და ბაზარზე გასატა-
ნიც...

ჩვენი სოფლიდან კარგად მოსჩანს ხი-
ხანი თავისი ციხე-კოშკებით. მზიან დღეს
ძალზე ლამაზი სანახავია, მაგრამ როცა
მზე არ აღგას, ხიხანი პირქუშ გოლიათს
გავრუნებს. გარშემო კი მთებია. მარტო
მათი სახელები ჩამოვთვალოთ: ნახიზნა-
ვი და ნადაბურისწვერი, საყავრია და
სამკოლოფა, შუასერი და ნახალჩმევი,
საირმია და ურემია... სწორედ ამ მთებ-
შია ჩვენი სოფლის სახნავ-სათესი და
სათიბები. გათენებამდე გავიდოდით სა-
ხლიდან, გზაზე შემოგვათენდებოდა. და-
ბინდებამდე ვიმუშავებდით და უკან
ვბრუნდებოდით. ვისაც საკუთარ თავზე
გამოუტდია ხიხაძირელი მეურნის ხვე-
დრი, მან ყველაზე უკეთ იცის მშრომე-
ლი კაცის ყადრი... გლეხკაცის შრომა
არც ახლაა იოლი. აუცილებელია სოფ-
ლიდან დიდი მანძილით დაშორებულ ად-
გილებში შრომის ორგანიზაციის მოწეს-
რიგება.


ხიხაძირი ამაყობს თავისი მოწინავე
ადამიანებით, შრომის ნოვატორებით. მა-
რჯვენს უქებენ აქაურ მეცხოველეებს ლ.
აბაშიძეს, მ. ჯუმუშაძეს, გ. შაინიძეს,
თამბაქოს, სიმინდისა და კარტოფილის
მაღალი მოსავლის ოსტატებს ნ. მამუ-
ლაძეს, ს. მიქელაძეს, თ. გორგაძეს, ი.
გაბაიძეს, გ. დუმბაძეს, რომლებსაც

შრომაში ტოლს არ უდებენ ვეტერანები ა. ცეცხლაძე, მ. ჯაიანი, მ. გორგაძე, ი. სურმანიძე, დ. ბერიძე, მ. ქამადაძე, ს. იშხნელიძე, ჯ. სურმანიძე და სხვები.

დოვლათიანი, ბარაქიანი და ხალხმრავალია ჩვენი სოფელი, ხეხილით სავსე, ბალ-ვენახებით კალთამდიდარი. რა არ გადახდომია წარსულში ამ არე-მარეს, მრავალი სიმწარე უნახავთ აქ ჩვენს მამა-

პაპათ, მაგრამ ღირსეულად შემოუწია ხანთ სოფელი, მისი ტყით დახუნძლული მთები და მწვანეში ჩაფლული იალაღები, ამაყად გადმონდგარი დიდებული ხიხანი და ცადაზიდული თავსახნისა.

ხიხაძირელები კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ მათე სუთფლედს, ღირსეულად ხედებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.



სუთფლედის გაირაბი

მხატვარი ნოდარ მეგლაძე.

მსოფლიოს ეკო

მოსკოვში, წითელ მოედანზე, აღიმართება დიდების ძეგლი საერთაშორისო
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირი რევოლუციონერების სსოვნის
უკვდავსაყოფად, რევოლუციონერებისა, რომლებიც კლასობრივი მტრის ხელით
დაეცნენ.

ცად ატყორცნილი თეთრი ობელისკი
ამგობს დროშების ბეჭობს
და მარმარილოს სმაში სმიანებს
რევოლუციის ექო.
თავს დაურიალებს ლენინის დროშა,
მის კალთებს არხვეს ქარი,
იზრდებივ ეხვევა თქვენი ხელების
გრეხილი საოცარი.
სათაყვანებელ სამშობლოს გარდა
სხვა არა გსურდათ მეტი,
თქვენი ბრძოლებით აწვდილა ზევით
თავისუფლების სვეტი.
ჩიკაგოს მეგრძოლ პროლეტარიატს
ბრძოლით რაც უნდა ეთქვა,
ერნესტის ხელის ცხელი ძარღვები
ოთქოს ისევე ფეთქავს...
„როტ-ფრონტის“ ნიშნად ზევით აუწვდია
როზა ლუქსემბურგს ხელი,
დასაზვრეტ კედელთან „მარსელიოზას“
მღერის გაბრიელა პერი...
ტელმანის დიდი მგზნებარე გულის
ფერფლი აცვივა დაბლა, —
პატრის ლუმუმბას ნატყვიარ ხელის
წავი მტყვანის დაფას.
ზედ აწერიხართ ყველა მეგრძოლი,
გიდევთ მახვილი მკვეთრი,
სისხლიან მორზე ბელოიანისის
მიხაკი ღვივა თეთრი...
ზედ დამხობია ბუხენვალდელთა

ეკალხლართულა ზარი
და თეთრ ობელისკს წითლად ჩამოსდის
წამებულთ სისხლის ღვარი...
ფაშიზმის ევრაგ ურჩხულს ამარცხებს
სამშობლოს წმინდა ხატი,
თემიდას თასზე უდევს ნაფერფლი
ულვთოდ გადამწვარ ხატინს...

გგონის დედა

აღმოსავლეთიდან მოვაშურე საბჭოთა ქვეყანას
ნაზიმ ჰიქმეთი

თავისუფლებას ითხოვდა, დაფა მოლბერტის
გულზე ეკიდა ჰიქმეთის დედას — ჯელილე ჰანიმს,
აფრასავით ტკაცანებდა კაბის კალთა თალხი,
დღმონსტრანტებს უერთდებოდა ხალხი,
ზმაური აკრთობდა სტამბოლის ქუჩებს...
ცრემლებს მალავდა დედის თვალები სველი,
— თავისუფლება ხალხის მგოსანს!
გაიძახოდნენ საბიზა და ჩეჩორია სერტელი.
მსოფლიო ექოს აწვდიდა კომუნისტურ პარტიას,
ხალხის აზვირთებამ დაიხსნას იქნებ
და შავი მარყუჟი ააცდინონ ნაზიმ ჰიქმეთს...
მოლბერტის დაფა ეკიდა მხატვარ ქალს —
ჯელილე ჰანიმს — ჰიქმეთის დედას.
მღუღარე ცრემლის იქით ვერაფერს ხედავს,
დაფას ხუთი სიტყვა აწერია:
— თავისუფლება ანატოლიის შვილს — ნაზიმ ჰიქმეთს!
ამ სიტყვებს მღელვარედ იმეორებდნენ იქვე
მწერალი ქალები — ხალიდე ელიფი და სუად ღერვიში,
ხალხების აზვირთებამ დაიხსნა პოეტი,
ჰიქმეთის ოცნება ახდა —
იგი ლენინის სამშობლოს მოქალაქე გახდა.
პრადა, პარიზი, სოფია, კუბა.
ყველა ქვეყნის მიწას დაადგა ფეხი
და მებრძოლებს გულის სიმა ვაუბა.

სტოკჰოლმში ჩავიდა მშვიდობის კონგრესზე
ცისფერი თვალების საოცარ ციალით
და ხალხებს მოჰფინა მღელვარე სიტყვა —
მშვიდობის მტრედის ფრთათა შრიალით.
ცისფერ ბოსფორში წითელ ბაირალით.
ცაში აწვდილი ანძის ხელებით,
დაბრუნდა იგი ზვირთების ფეთქებით.
რუსი მწერლების ურყევი ძმობით
სიჭვდი გემი —

სუარ-თეთრ თოლიების ფრთებად მიმოფანტა
ლექსები მგოსნის:

— ვკვდებით იმიტომ, რომ განვმეორდეთ
დიდ ზომადებად...

სადღაც ბობოქრობდა მაიაკოვსკი.

ისევ მღელვარებს სტამბოლის ქუჩები
დემოკრატი ქალების თავშლის ფრიალით,
მშვიდობისათვის ისევ იბრძვის — ბეჰიჯე ბორანი,
ბავშვთა სკოლებსა და ბაღებს მოითხოვენ
მშრომელი ქალები,

სამშობლოს გაუზარდონ ღირსეული პატარები.

ქუჩებს მოედო სიმღერებად

პიქმეთის ლექსები,

უბეში ბარტყებივით ნატარები.

955.91
ისლა ნეგრა —

აბალო ნერუდას სახლი

აქ პოეტის დიდსა და მგზნებარე გულს

ოკეანის ტაღლის სუნთქვა არხვედა,

წერუდას სახლის კარს

აფრიკის რევოლუციები აღებდა.

შევ ჩანგი და არაბი ზალხის სიყვარული გიზგიზებდა,

ჟველას ჭერი იყო — ისლა ნეგრა,

ზალხის სიყვარულის შუქი

ბილიგებად შემორბოდა ეზოში

და თავისუფლებას უმღეროდა მედგრად.

„აერორას“ ცეცხლოვან ზალპებს

აქედან უთვლიდა სალამს,
აქ უნთებდა ლექსების კზნებას
ალიენდეს ხელისუფლების ალამს.
ნერუდას სახლის ფანჯრებს
თეორი თოლიების ფრთები ეკრა,
ბორგაედა ესპანეთი გულში
და ხედავდა მადრიდის ბრძოლების ეკრანს.
სტალინგრადის გმირი დამცველების ხმებს
ჩიბუხის ცხელი კვამლით იჭერდა
და პრალაში ფუჩიკთან ერთად დააბიჯებდა.
მსოფლიოს გული იყო ისლა ნეგრა —
პაბლო ნერუდას სახლის კერა,
რევოლუციის ღაღარს არ აქრობდა,
აქედან ემუხრებოდა მშვიდობის კონგრესებზე
ფადეევთან და ლუი არაგონთან.

ნიკარაგუელი გმირი ბავშვები

მოსწავლეს — მანუელ ტორესს ნახევრად ჩამოკვეთილი ხელით აიძულეს დაეწერა სისხლიანი დიქტატორის სახელი. მან რევოლუციის ბელადის სახელი — სანდინო დაწერა; ლუის ალფენსო, ცხრა წლის გმირი პარტიზანი, მხურვალე სიტყვებით გამოდიოდა აჯანყებულთა ბარიკადებზე, მისი სახელი ეწოდა მანაგუას პიონერთა პარკს.

შენს სახელს დასწერენ
დროშებზე,


პატარა ბავშვო — ლუის,
იქნები პიონერების
გზნება მხურვალე გულის...
არწივის ფრთიან შენს სიტყვებს
ბაღის სიწმინდე ახლდა,
ნორჩი კვირტები შენს ბაღში
გაშლას იწყებენ ახლა.
აქ დაიწყებენ ბავშვები
ბაღურ ანცობით ხტომას
და ჩახატავენ რვეულში
მწვანე აფრიან ხომაღდს...
დაახატავენ ანძაზე
ნიკარაგუას დროშას
და შენი ძეგლი შეამკობს
რევოლუციის დრო-ჟამს.

* * *

დედაზე სიმღერას მღეროდით,
სამშობლო დედა იყო,
პარტიზანული რაზმები
სისხლიან ლუკმას იყოფს...
სანდინოს აწერენ წვეთები,
სანდინოს სისხლიან ჟამს,
რევოლუციის ქარიშხალს
უკანასკნელად კვალავ.
ჩამოგიკვეთეს თითები,
სულ ახლა იყო, გუშინ...
შენი თითების შავ მტევანს
ეკოცნი, ვიხუტებ გულში.
გმირო მანუელ, პატარავ,
ზალხის ძარღვი ხარ მარტო.
სამშობლოს თავისუფლებავ,
არწივის შავო ბარტყო.

სულიკო ჟღენტი

რაჟო ჩხეიძე



რ ა ი კ ო მ ი ს მ დ ი მ ა ნ ი

გიორგი კაბინეტში იჯდა და ტელეფონით გურამ ლლონტს ელაპარაკებოდა.

— ამხანაგო გურამ, ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გეგმა ერთი-ორი წლით მაინც უნდა უსწრებდეს წინ მოქმედებას... დიახ, დიახ, წინ გახედვა საჭირო...

— შეიძლება, ამხანაგო მდივანო? — მოისმა კარიდან. გიორგიმ მოიხედა. კარში სახეგაბრწყინებული პოლიაქტორი იდგა. ორთავე ხელში უზარმაზარი ფოლიანტები და ქაღალდის გრაგნილები ეჭირა.

— რა არის ეს? — იკითხა გიორგიმ და თვალით ფოლიანტებზე ანიშნა.

— მზად არის უკვე, ამხანაგო გიორგი. — მღელვარებისაგან გაბზარული ხმით აცნობა პოლიაქტორმა. — ისეთი პროექტი დაგვიმზადეს, — ქვას გახეთქავს.

მღელვარება გიორგისაც მიეძალა. ურმილი რაღაცას ხრიალებდა, მაგრამ გიორგის ახლა არაფერი ესმოდა. ფეხზე წამოდგა, პოლიაქტორს ხელით ანიშნა, ყველაფერი გიდაზე დაალაგეო და ურმილში ჩასძახა:

— გურამ, ახლავე მოდი ჩემთან. ამხანაგ იაშვილსაც თხოვეთ. — ურმილი და-
დო და მაგიდასთან მივიდა. ხელი ჭერ ფრთხილად გადაუსვა მუჟაოს ყდას. მერე ფო-
ლიანტის* გადაფურცვლას შეუდგა.

— ყველაფერი გაითვალისწინეს? — ჰკითხა პოლიაქტორს.

— აბსოლუტურად. — მიუგო პოლიაქტორმა. — ყველაფერი მეცნიერულადაა
დასაბუთებული.

კაბინეტში გურამი და ასმათი შემოვიდნენ.

— აი! — თქვა გიორგიმ და ფოლიანტები მალლა ასწია. თვალები ბედნიერების
შუქით ჰქონდა გაშტორი. — ამაში ვაიოს ველების სიცოცხლეა ჩადებული!..

ასმათს ერთბაშად გაუბრწყინდა თვალები. მუჟაოს ყდა ფრთხილად გადაშალა...

გურამი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და მთელი გულისყურით შეუდგა კითხვას.

— ხელისმოწერა საჭირო. — თქვა პოლიაქტორმა და ჯიბიდან კალმისტარი ამო-
იღო. — რამდენიმე ადგილას. გთხოვთ! — მან კალმისტარი გიორგის გაუწოდა. გიორგიმ
გულდაგულ მოაწერა ხელი. მერე გურამმა მოაწერა ხელი. პოლიაქტორი ფოლიანტებს
ფურცლავდა. გიორგი და გურამი რიგ-რიგობით აწერდნენ ხელს.

— ხალხნო, ეს პროექტი კი არა, სიყვარულის ახსნა! — ფურცლებს ხელი დაჰყ-
რა ასმათმა.

— ამას აღნიშვნა უნდა, ძმებო! — თქვა გურამმა. მერე ასმათი მოაგონდა და დას-
ძინა: — და დებო!

— ჩემთან აღვნიშნოთ. — შემოიტანა წინადადება ასმათმა. — თვეზე მეტია, მაცი-
ვარში ერთი ბოთლი შამპანური მიდგას...

— მიღებულია ერთხმად! — გამოაცხადა გიორგიმ.

...ასმათის ერთოთახიანი ბინა არგენტინული ტანგოს მოთენთილ მელოდიას აევსო...

ასმათი და პოლიაქტორი ცეკვავდნენ. ასმათს თვალები ნეტარებით ჰქონდა მინა-
ბული. პოლიაქტორს კეფიდან საქოჩრედ ნახესხები თმა უკან გადმოვარდნოდა, მეტის-
შეტად მონდომებით ცდილობდნენ ძველებურ ყაიდაზე ეცეკვათ.

გიორგი დაბალ მაგიდასთან იჯდა, ხელში ჭიქა ეჭირა, შამპანურს წრუპავდა და
ილიმბოლდა. ეს მუსიკა, შამპანური და განცდილი სიხარული მასში გარინდებას იწვევდა.

გურამი ფანჯრის რაფაზე იჯდა, თავი უკან გადაეწია. მოცეკვავე წყვილს უყურებ-
და და ილიმბოლდა...

— ახლა კი მოვუსმინოთ ასმათს! — გამოაცხადა გურამმა. სახეზე ილუმალი იერი
ეფინა. ზურგსუკან რაღაცას მალავდა.

— მე უკვე ვთქვი. — გაიოცა ასმათმა.

— თქვით, მაგრამ არა მუსიკის ენით. — გაიცინა გურამმა და ასმათს ვილინო*
მიაწოდა.

— ამას სად მიაგენი?! — სცადა გაბრაზება ასმათმა. — მომავლურ აქედან!..

— გთხოვთ! — ენერგიულად დასცხო ტაში პოლიაქტორმა. — ბრავო! ბრავისიმო!

— რა დროს „ბრავო“, ჭერ არ დაუკრავს. — გაუწერა გურამი.

— თქვენ ამაზე უკრავთ? — გაუკვირდა გიორგის.

— აბა, როგორ! — თქვა გურამმა, — სანამ უნივერსიტეტში შევიდოდა, კონსერ-
ვატორია დამთავრა ვილინოს განხრით.

— გთხოვთ! — ტაში დაჰკრა გიორგიმაც.

— რას ამბობთ, ძმებო! — გაინაწა ასმათი. — აღარც კი მახსოვს, როდის შეჭირა
ხელში.

— გაიხსენეთ. — თხოვა გიორგიმ.
ასმათმა ხელი ჩაიქნია და ვიოლინო აიღო. ჭერ სიმები ააწრიპინა, მერე გაიციანა და იკითხა:
— რა დავუკრა?
— რაც გნებავთ. — მიუგო გიორგიმ.
— რაც არ უნდა დაუკრათ, ეს იქნება ვაიოს ველეებისადმი მიძღვნილი. — თქვა პოლიატორმა.

ასმათი ერთბაშად სერიოზული გახდა. ვიოლინო ლოყაზე მიიბჯინა, თვალები ნებიერად დახუჭა და სიმები აახშიანა...

გიორგი ადგა. ფანჯარასთან მივიდა და გაირინდა.

ღამე სავსე იყო ვიოლინოს ხმებითა და მთვარის სინათლით. შორს ვერცხლისფერ შუქში ჩათვლემილი ველები მოჩანდა...



გურამ ღლონტმა სადარბაზოდან გამოსვლა მოახწრო და მის გვერდით მუხრუჭების სრქილით დაერჭო ლურჯი „შევროლეტი“. საჭესთან მერაბ სეთურიძე იჯდა. ხელის აწევით მიესალმა გურამს. მერე მანქანის კარი გამოუღო.

— ჩაჩქეი, საქმე მაქვს.

გურამი უსიტყვოდ ჩაქდა. მერაბმა მანქანა ნელი სვლით წაიყვანა.

— ჩიტმა ამბავი მომიტანა, პროკურატურა ტრესტის საბუთებში იქექებაო. — ნერვიული ღიმილით თქვა მან.

— ის არ უთქვამს იმ ჩიტს, პროკურატურამ რაიკოოპკავშირის საწყობიც დალუქაო? — იკითხა გურამმა.

— რა მოუვიდა გავაშელს? რა ბუზმა უკბინა? — თვალები ავად მოწყურა მერაბმა.

— რა უნდა მოსვლოდა, პროკურორია და თავის მოვალეობას ასრულებს. — უღარღელი კილოთი მიუგო გურამმა.

— მოხსნა აღარ აკმარეს დათიკოს? რას ერჩიან მაინც ამ ავადმყოფ კაცს? — აღშფოთებით შლიდა ხელებს მერაბი. — რა ხდება, ნეტავი გამაგებინა!..

— რაც ყოველთვის ხდებოდა, — მშვიდად აუხსნა გურამმა. — მიდის ბრძოლა უპატიოსნებასა და პატიოსნებას შორის.

— ამას ეძახიან თქვენში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას? — მერაბმა რაღაც უცნაური ცნობისმოყვარობით შეხედა გურამს. მერე საქვს მუშტი დაჭკრა და წამოიყვანა:

— ყოჩაღ, გიორგი თორელი!.. მართლა მაგარი ყოფილხარ!

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ბოლოს ისევ მერაბმა დაარღვია დუმილი.

— ხშირადღის თაობაზე ელაპარაკე?

— ველაპარაკე.

— რაო?

— ხშირადღე რომ ჭიბგირია, უშენოდაც ვიცოდით.

— შენ უთხარი ჭიბგირიაო?

— კი, მე ვუთხარი.

სეთურიძეს არაფერი უთქვამს, მხოლოდ დააქნია თავი და მერე გაიციანა, დიდხანს და ხმაშაღლა იცინოდა.

— კარგად გითქვამს. — თქვა ბოლოს მან და გურამი მოწონებით შეათვალთვალა.

— შორს წახვალ შენს ცხოვრებაში, მაგრამ მაღლა წახვალ, შორს თუ დაბლა, ამას ვერ გეტყვი... სად ჩამოხვალ?!

— სადაც გააჩერებ, იქ ჩამოვალ.

სეთურიძემ მაინცე დაამუხრუჭა და მანქანის კარი გაღო:

— გთხოვთ!

გურამი აუჩქარებლად გადმოვიდა მანქანიდან.

— ანანაგო ღლონტი, ერთი წუთით! — შეაჩერა იგი მერაბმა.

გურამი სარკმელს მიაღმა.

— არ დავიწყე, რომ გივი ვანიძე ჭერჭერობით თავის ადგილზეა, — იქ! — სეთურიძემ თითოთ წევით აჩვენა.

, — რას მეუბნები? — ძალისძალად გაიოცა გურამმა. კიდევ იქაა?

სეთურიძემ კარი მიიჭახუნა და მანქანას გაში მისცა.

გაშლილ ველზე „ნივა“ მოჰქროდა. უკან რჩებოდა მტკრის რუხი ზოლი...

მანქანაში გიორგი და გურამი ისხდნენ.

მზე ისე უმოწყალოდ აჭერდა, რომ საუბარიც კი ჰიარდა.

— უაზახეთში რომ ვიყავი, უამირზე, იქაც ზუსტად ასეთი ველები იყო. — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— თქვენ იქ რომელ ადგილებში იყავით? — უცბად გამოცოცხლდა გურამი.

— ბევრ ადგილას. — გიორგიმ საკუთარ მოგონებებს გაუღიმა. — ჯერ სემიპალატინსკის ოლქში, მერე დასავლეთ უაზახეთის სტეპებზე... გოლუბაია ნივა, იხი-სუ, ქერი-ბარი... დავდიოდით და ჰეებს ვთხრიდით. წულის პოვნა ხომ ჩემი მემკვიდრეობითი პროფესიაა.

— მე სტეპნოში ვიყავი. — თქვა გურამმა. — პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიჭები ვიყავით წასული თბილისიდან. საბჭოთა მეურნეობისათვის სახლებს ვაშენებდით.

— ეჰ, კარგი წლები იყო! — ნატვრით აღმოხდა გიორგის.

— დიდებული! — დასძინა გურამმა.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ თავ-თავიანთ მოგონებებში ჩაძირულნი.

— აო, მართლა! — უცბად გამოერკვა გიორგი. — დიმიტრი ხმიადაძეს სომ არ იცნობ?

შეკითხვა გურამისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ძლივს მოახერხა ენის დაძვრა:

— რატომ მეკითხებით?

— ისე. ამას წინათ ერთი სკოლის ამხანაგი იყო ჩემთან და ძალიან მიქო. თქვენ რა აზრისა ხართ იმ დიმიტრი ხმიადაძეზე? ვაიოს მატერიალური ბაზის გაძღოლას შესძლებს?

გურამმა თავი გადააქნია. მერე რაღაც თავისთავად დასცდა:

— ჯიბგირია ის ხმიადაძე და მეტი არაფერი.

— ასეც ვიცოდი. — გაეცინა გიორგის.

— თუ იცოდით, მე რაღას მეკითხებოდით? — ეწეინა გურამს.

— ხმიადაძეს მე არ ვიცნობ, მაგრამ, სამაგიეროდ ჩემს სკოლის ამხანაგს ძალიან კარგად ვიცნობ. — აუხსნა გიორგიმ.

თბილისი. მინისტრთა საბჭოს შენობა.

გაიღო მაღალი, ფართო კარი და დერეფანში ხანგრძლივი სხდომითა და კამათით დაღლილი ხალხი გამოეფინა. მათ შორის იყვნენ გიორგი, ასმათი და გურამი. პოლიაქტორ ახალკაციც აქ იყო. ხელში ვეებერთელა პორტფელი ეჭირა და იდლიაში ქაღალდის გრაფიკები ჰქონდა ამოჩრილი. ოთხივენი ისე იყვნენ, დანა პირს არ უხსნიდათ. გიორგისთან ახოვანი ჭაღარა კაცი მივიდა, გამამხნევებელი კილოთი უთხრა:

— გიორგი, კაცო, ნუ დაღონდები!.. გულახდილად გეტყვი, ვაიოს ველები ათვისების იდეა ყველას ძალიან მოგვეწონა, მაგრამ წელს ამდენი სახსრები საიდან უნდა გამოიძენოს?!.. დიდძალი სახსრების დაბანდებას მოითხოვს ეს ამბავი.

— მაშ როგორ გინდათ! — სიკაპახე ვერ დაიოკა ასმათმა. — თუ არ დათესე, ისე ვერაფერს მოიმკი.

— აკი გადაწყდა, რომ მომავლისათვის გაითვალისწინონ საჭირო სახსრების გამოყოფა, — მოაგონა ახოვანმა ჭაღარა კაცმა. — რაღა გადარდებთ?!

— მომავალში ჩვენ ვაიოს ველებზე რთველი გვექონდა გათვალისწინებული. — წარბაუხსნელად ჩაილაპარაკა გიორგიმ და ჭაღარა კაცს ცივად გაშორდა.

მთავრობის სასახლიდან გამოვიდნენ და დაბრუებულებივით მიჰყვნენ რუსთაველის პროსპექტს. ასმათი ხომ თვითონაც გუნებამოშხამული იყო, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც გიორგის დაჯვარიანებას განიცდიდა. ირიბ მშერას გიორგისაკენ აპარებდა და თანაგრძნობით ოხრავდა.

პროსპექტი კი სავსე იყო მხიარული, ბედნიერი ხალხით. სასტუმროს წინ ტურისტები ირეოდნენ. ისმოდა ჩეხური, უნგრული, ინგლისური...

გიორგი კრიჭაშვიკივით მიაბიჯებდა. ასმათი ძალიან ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ უსწორებდა ნაბიჯს.

— რა ჯანდაბად ჩავიცვი ეს! — აწუწუნდა ბოლოს იგი და შეჩერდა. — მარცხენაზე მიჭერს ეს ოხერი... ბატონო გიორგი. მოიცათ, ველარ ხედავთ, რომ ჩამოგრჩით?

გიორგი შეჩერდა. უგუნებოდ მოხედა ასმათს, მაგრამ ქალის გატანჯული სახე რომ დაინახა, გული მოუღმა.

— მე ქალი ვარ, ამდენი კი არ შემიძლია. — ამბობდა ცალი ხელით ხეზე მიყრდნობილი ასმათი. მარცხენა ფეხი მაღალქუსლიან ქოშიდან ამოეღო და ასვენებდა.

— ბოდიში. — წაიბურტყუნა გიორგიმ. ოპერის გვერდით ყვავილებით მოვაჭერ ქალი შენიშნა. ორი კონა ია-იები იყიდა და ასმათს გაუწოდა. ღიმილით უთხრა:

— ნიშნად იმისა, რომ თქვენი ქალობა არ მავიწყდება.

— გმადლობთ. — გაიბადრა ასმათი.

ამასობაში პოლიაქტორმა იყოჩაღა და ტაქსი გააჩერა. ყველანი აჩქარებით ჩასხდნენ მანქანაში.

— ვაგზალში მიგვიყვანე. — უთხრა გურამმა მძღოლს. ტაქსი დაიძრა.

...ვაგზლის შენობასთან ტაქსიდან გადმოვიდნენ და ჩქარი ნაბიჯით გავიდნენ ბაქანზე.

ჩაბნელებულ ხეობაში გრუხუნით მიჰქროდა მატარებელი...

ყველა კუბეს კარი დაკეტილი იყო. მთელ ვაგონს ეძინა. მხოლოდ გიორგი იდგა მარტოდ-მარტო დერეფანში ფანჯარასთან და სიგარეტს ექაჩებოდა. იგი გუგუნით ავსებულ სიბნელეს გაჰყურებდა და ფიქრობდა. ფიქრობდა დაჟინებით, დაძაბულად... დერეფანში გაიარა. ტალანში გავიდა. აქ მეთისმეტი ხმაური იდგა. ძირამდე დასული სიგარეტიდან ახალ სიგარეტს მოუკიდა. ისევ უკან გამობრუნდა. ერთხანს ისევ დერეფანში

დააბიჯებდა. ბოლოს გადასწყვიტა. ერთ-ერთ კუბეს მიაღება და ფრთხილად გააღო კარი. ჩურჩულით უხმო:

— ქალბატონო ასმათ!

სიბნელეში წყნარი კენესა გაისმა. მერე ზედა საწოლზე ასმათის ნამძინარევი სახე გამოჩნდა.

— ოჰ, თქვენა ხართ?! — ოდნავ შემკრთალი ნმით იკოთხა მან და მაშინვე გამოფხიზლდა.

ქვედა საწოლზე ბებრული ხველება გაისმა.

— ერთი წუთით გამობრძანდით. — წასჩურჩულა გიორგიმ ასმათს. — საქმე მაქვს.

— ახლავე. — დაფაცურდა ასმათი.

ქვედა საწოლზე კვლავ გაისმა ბებრული ხველება. მერე ჩუმი ბუზღუნი.

— ნახა დრო და აღვილი!.. ძლივს ჩამეძინა და...

გიორგიმ მეზობელი კუბეს კარი გააღო. ხმადაბლა დაუძახა:

— გურამი!.. ამხანაგო გურამი!..

— ჰო!.. რა მოხდა?.. — გაისმა გურამის ბუტბუტი.

— ბოდიში. — წასჩურჩულა გიორგიმ. — სალაპარაკო მაქვს. ამხანაგ ახალკაცსაც თხოვეთ... ხომ არ გაგაღვიძეთ?..

— არა. ჩათვლებილი ვიყავი. — გურამი სვენებით იცვამდა ტანსაცმელს.

მერე ოთხივენი ღერეფანში იდგნენ და ბჭობა ჰქონდათ გამართული. ძილი აღაჩაყის ახსოვდა.

— ...მე არ მითქვამს, რომ მთელი ვაიოს ველები ავითვისოთ. — ამბობდა გიორგი. — მაგრამ რატომ არ უნდა შევეცადოთ იმდენის ათვისებას, რამდენსაც ჩვენი ძალებით აუვალთ?

— რანაირად, ამხანაგო გიორგი?! — უმწეოდ შლიდა ხელებს გურამი. — გეგმებს რა ვუყოთ? ორასი ჰექტარი ვენახი გავაშენოთ და გეგმების შესრულება ჩავშალოთ?

— ნუ იქნება ორასი ჰექტარი, — ასორმოცდაათი ჰექტარი იყოს. — დაუთმობს გიორგი.

— ჩვენ გეგმების შესრულებასაც გაჭირვებით ვახერხებთ. — ჩაილაპარაკა პოლიაქტორმა.

— ნასოფლარებში რომ ხალხი გვყავდეს დასახლებული, მაშინ, იცოცხლე! — ნატვრით დასძინა ასმათმა. — მაშინ მეტსაც გავწვდებოდით.

— ან მექანიზაცია სადა გვაქვს ამდენი! — შეწუხებული კილოთი განაგრძობდა გურამი. — ან სასუქები! მუშახელზე ხომ არაფერს ვამბობ.

— სარწყავი წყალი? — მოაგონა პოლიაქტორმა.

— ყველაფერს მოევლება. — იმედიანად თქვა გიორგიმ. — ტრაქტორებზე შეგვიძლია სამ ცვლად დავაწესოთ მუშაობა. საწვავსაც ვიშვინოთ, ნიადაგში შლამს შევიტანოთ. რაც შეეხება წყალს... მე ღეტალურად ვიცნობ ვაიოს ველების ქანობრივ სტრუქტურას. აქ აუარაცხელი ღებეტის ნიადაგქვეშა წყლებია.

— მე, რა თქმა უნდა, მესმის ყველაფერი, — ფიქრიანად დაიწყო გურამმა. — ვაიოს ველებზე ერთი ჰექტარი ვაზიც რომ გაშენდეს, ამას უზარმაზარი მორალური მნიშვნელობა აქვს...

— მაშინ ხალხიც დაიწყებს მოსვლას ნასოფლარებში. — თქვა ასმათმა. — ვაიოს ველებზე ვენახს რომ ნახავენ, უფრო გამოუწევთ გული აქეთკენ.

— მე მაინც მეშინია, რაიონის საწარმოო ძალები არ დაიქსაქსოს. — ეჭვით გადააქნია თავი პოლიაქტორმა, — ორი კურდღლის მღვერები არ აღმოგჩნდება.

— ამიტომ ამხანაგო პოლიაქტორ, — გიორგიმ პოლიაქტორს მხარზე ჩამოსდო ხელი. — შეკრიბეთ თქვენი საგეგმო განუოფილება, მოგვიწვიეთ ჩვენც, ეს სამი ადამიანი

და შევიმუშაოთ ზუსტი და რეალური გეგმა. ყველაფერი მეცნიერულ წინდახედულებათაზე უნდა იქნეს დაფუძნებული.

— დაფუძნებთ. — დარწმუნებით შეპირდა პოლიაქტორი.

გარეგნული
ზინგლირთობა

თორნიკეს და ბეგლარს უკნიდან მანქანის მოკლე სიგნალი შემოესმათ და მიიხედეს. მათ უკან სეთურიძის ცისფერი „შევროლე“ იდგა.

ბეგლარმა და თორნიკემ მანქანას მიაშურეს. კარი გამოადგეს და ჩასხდნენ.

— ახლა მომისმინეთ. — თქვა მან. — დღეს გიორგი თორელმა ვაიოს ველებს ათვისების დაწყების შესახებ მოახსენა ბიუროს.

— აკი არ დაუმტკიცესო პროექტი? — გაუკვირდა სეფერთელაძეს.

— საქმეც ესაა. — აუხსნა სეთურიძემ. — თორელი აპირებს რაიონის ძალებით შეუღლებს ვაიოს ველებზე ვაზის გაშენებას.

— ეს ხომ პარტიზანშინაა! — აღშფოთდა სეფერთელაძე.

— ეს ავანტიურაა. — გესლიანი ღიმილით შეუსწორა სეთურიძემ. — ამას კი პარტიულ ზელომდგანელს არ აპატიებენ.

— ზედეთ, რა გადუწყვეტია? — თქვა ხშიადაძემ. — თბილისში რომ გააწილეს, ახლა ფაქტის წინაშე უნდა დააყენოს საზოგადოება.

— ზო, ზო, რა კარიერისტია! — წამოიძახა ჭყავიამ. — ნახათ, თუ არ დაღუპავს რაიონს გიორგი თორელი.

— არა, რაიონს, ვერ დაღუპავს, — თავი გადააქნია სეთურიძემ. — ამის უფლებას ვინ მისცემს! თავს კი ნამდვილად დაიდუპავს. არ უოფილა ჭკვიანი კაცი.

— გიორგი თორელი რომ ბევრ რამეში მართალია, ამას არავინ არ უარჰყოფს, — თქვა ბოლოს სეთურიძემ. — მაგრამ ბევრ პრინციპულ საკითხში რომ ცდება, ესეც ფაქტია. — სინანულით გაშალა ზელები სეთურიძემ. თითებზე ჩამოთვალა: — კადრების საკითხში ცდება. რატომ? არ იცნობს აქაურ კადრებს, სხვებს რჩევას არ ეკითხება და იმიტომ. ამდენი ზალხის აურას და აქ ჩამოსაწილებას რომ აპირებს, ეს სომ აშკარა ავანტიურაა?.. თავისი ნათესავები რომ ჩამოიყვანა აქ და ყველა კაი-კაი ადგილებზე მოაწყო, ამას რა ქვია?.. ვაიოს ველებზე ვაზის გაშენებას სომ აშკარად თავის გამოჩენისათვის აპირებს?

— თავის ქალიშვილს საკუთარი თეატრი გაუხსნა, ზალხნო, ამაზე მეტი რა იქნება! სეთურიძე თანამოსაუბრეებისაკენ გადაიხარა და ხმას დაუწია.

— ახლა მომისმინეთ... ამ დღეებში აქ კაცი ჩამოვა ცეკადან შემოწმებაზე. პირადად თორელის მუშაობას შეამოწმებს.

— მაღლობა ღმერთს! — თვალები ჭერს აღაპყრო თორნიკემ.

— მაღლობა გივი ვანიძეს. — ირონიული ღიმილით შეუსწორა ჭყავიამ.

— ერთი სიტყვით, ის კაცი ჩამოვა ცეკადან და დანარჩენი ახლა თქვენ იცით. — სეთურიძემ შემავალიანებული ღიმილით გადახედა იქ მყოფთ.

— დანარჩენი ჩვენზე იყოს! — ქაღილით გამოსცრა თორნიკემ.

— ერთი რამ მაფიქრებს. — შეფიქრიანებული იერით თქვა სეთურიძემ, — გიორგი თორელმა თუ ვაიოს ველზე ვაზის დარგვა მოასწრო, თუნდაც ერთ ჰექტარზე, ისე გაიდგამს ფესვებს ამ რაიონში, რომ მერე მარწუხით ვერ ამოაძრობ.

— საინტერესოა, ამდენი ვაზის ნერგი სად უნდა იშოვონ? — იკითხა ღიმიტრამ.

— ჭოკნარის სანერგე გაუფართოებიათ. — თქვა თორნიკემ. — იქ ცნობილი მენერგეა ერთი, აბესალომ დევნოსაძე.

სეთურიძე მუჟიას მიუბრუნდა.

— კაცო, ბეგლარ, შენ ჭოყნარელი არა ხარ?
ბეგლარმა თავი დაქინა და თვალები ავად მოწურა.
— ვიცნობ მე მაგ აბესალომ დევნოსადეს. — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა
გზის პირშია მისი სანერგე.
— ხელის განძრევა, ძმებო, საჭირო, ხელის განძრევა! — წამოიძახა თორნიკემ.

წვიმდა. სოფლის მთავარ გზაზე ხალხი გამოიბოდა. თანდათან ემატებოდნენ შუ-
კებიდან, ეზოებიდან, ბილიკებიდან. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ ფეხის ხმა და ქო-
შინი ისმოდა. ეს ხმები თანდათან ავსებდა განთიადის მყუდრო სიჩუმეს.

ბოლოს მთელი სოფელი გამოეფინა გზაზე. ნაბიჯების ხმაური ერთ განუწყვეტელ
გუგუნად იქცა. უველა ერთ მხარეს გარბოდა, მიეშურებოდა, მიიჩქაროდა... გარეშა-
უის ლაცლაცა შუქში გაიღვებდნენ პირქუში, შეეფოთებული სახეები... ბოლოს ხალ-
ხის ეს მრისხანედ აგრანგილი მდინარე ფერდობზე გადაშლილ ვენახთან ტბორდებოდა.
აქ, შუა ვენახში, პერანგის ამარა, თავშიშველი აბესალომი იდგა, ხელში მტევნე-
ბით დამძიმებული ლერწი ეჭირა. მისი ნაფერები და ნალერსები ვაზი აჩეხილი ეყარა
მიწაზე...

ვენახის გარშემო გარინდებული და პირგამეხებული იდგა მთელი სოფელი. აკა-
ფული ვენახის ხილვამ ამოდენა ხალხი ერთხანად შეაძრწუნა და გააოგნა. სიჩუმეს
მხოლოდ ნაბიჯების შორეული დგრაილი არღვევდა.

ვენახთან თავშეურილ ხალხს ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა.
სირბილით მოიჭრა რეზო დავითაძე, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. გავერანებული
ვენახის დანახვაზე დაშენებულივით შესდგა, მერე მთვარეულივით მიჰყვა აკაფულ
მწკრივს. სათითაოდ სინჯავდა ატირებულ ვაზის ლერწმებს. მათში სიცოცხლის ნიშან-
წყალს ეძებდა...

ვენახთან გიორგი თორელი გამოჩნდა, სახეზე ფერი არ ედო. ხალხმა ღუმილით
უტია გზა და გიორგი ვენახში ჩავიდა. უსიტყვოდ უყურებდა ახსებულ ვაზებს. მასთან
აბესალომი მივიდა. მოხუცი ახლა შესამჩნევად მოტეხილი ჩანდა.

— ველარ აგისრულებ დანაპირებს, რაიკომის მდივანო. — მწარე სინანულით
უთხრა მან გიორგის და ხელი გარშემო მოატარა.

— ვინ გყავს მაინც ამისთანა მტერი. აბესალომ? — იკითხა ვილაცამ ხალხიდან.

— მტერიო? — გაიმეორა მოხუცმა და თავი ჭიუტად გადაქინა. — არა! ჩემი
მტერი ამას არ გააკეთებდა, ეს ქვეყნის მტრის გაკეთებულია.

ხალხმა ღუმილით გაიზიარა აბესალომის ნათქვამი. კრიჭაშეკრული იდგნენ. არავინ
ხმას არ იღებდა. არავინ ადგილიდან არ იძვროდა.

— მოჰყავთ! — გაისმა უეცრად ვილაცის ხმა. — დაუჭერიათ.

ხალხი შეიმშუშნა, ამოძრავდა, პირი იბრუნა. ვილაც-ვილაცებმა ქვებს წამოავლეს
ხელი.

მალა გზაზე ადამიანების ჯგუფი გამოჩნდა. ვილაც მხრებგაქრული კაცი ჩაეყენე-
ბინათ შუაში და ჭიკავ-ჭიკავით მოჰყავდათ.

ვენახებში ჩამდგარი ხალხი მძიმე ნაბიჯით დაიძრა გზისკენ...

თანდათან ახლოვდებოდა მხრებგაქრული კაცის სახე. ეს იყო ბეგლარ მუავია. სახე
სიმწრის ოფლს დაენამა. კისერზე ცული ეკიდა თოკით...

ხალხმა ვაზის ამჩნები იცნო და აწვირთა, ახმაურდა.

— ბეგლარ მუავია!..

— ამ მიწაზე გაზრდილმა კაცმა ეს რა გააკეთე!..

- რა ქენი, შე ხელგასახმოზო!..
- ხელები დავაჭრათ მაგ ცუდით, ხელები!
- მილიციას ჩავაბაროთ, მილიციას!..
- ჩავქოლოთ ხალხო, მილიციაში რა უნდა მაგას!..
- ვაი, სირცხვილო!..
- თავს ლაფი დავასხათ!..
- რა თვალთ უუურბ სოფელს, შე უსინდისო?!
- რატომ არ დასრმავდები, შიწა რად არ გაგისყდება!..

წამოვიდა ქვა, ლაფი, მუშტი და კეტი.

მუშტიან სეზპურობი ჯანიანი ბიჭები რის ვაივავლაზით ამავრებდნენ რისხვით აზო-ბოქრებულ ხალხს.

უსტად ხალხსა და მუშტიან შორის გიორგი თორელი ჩადგა.

— შეჩერდით! — შესძახა მან და ხელი ასწია. — შეჩერდით-მეთქი!

ხალხი შესდგა და დაიძაბა.

— შეუხსენით ხელები! — მიმართა გიორგიმ მუშტიან გარშემო მყოფთ.

მუშტიან თოკი შემოხსნეს. მერე უბიძგეს და წინ წამოაყენეს.

— წადი, გაშორდი ხალხს! — უთხრა მას გიორგიმ. მღელვარებისაგან ხმა უთრთო-და. — შენს დანაშაულს სასჯელი არა აქვს... შენი სასჯელი არავის დაუწესებია, იმი-ტომ, რომ ასეთ დანაშაულს ადამიანებისაგან არავინ მოელის.

მუშტიან ერთბაშად ვერ გაერკვა რას უპირებდნენ. დღევანდელი მზერით შეხედა ხალხს. მაგრამ ხალხი სდუმდა და ადგილიდან არ იძვროდა.

— გაშორდი სოფელს! — მკაცრად გაუშეორა გიორგიმ — წადი და იცოდე, ხალ-ხისთვის შენ აღარ არსებობ. არ არის ქვეყნად ადამიანი, ვინც შენ ხალხის კარს გაგი-ღებს. ან საკუთარ სახლში როგორ უნდა შეხვიდე?! შევიღებს რას ეტყვი? დედას რას ეტყვი? ძმას რა უნდა უთხრა?.. წადი ახლა!.. გაგვშორდი!

ბეგლარ მუშტიან მიბრუნდა. ბოროტით გადადგა ნაბიჯი. მოიხედა.

ხალხი იდგა და დუმით უუუურებდა.

— დამსაჯეთ, ხალხო! — იღრიალა ბეგლარ მუშტიან. გიორგი მიტრიალდა ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. ხალხმაც ზურგი აქცია მუშტიანს, გიორგის მიჰყვა.

მუშტიანს ჯერ ყრუ გმინვა აღმოხდა, მერე ქვითინი წასკდა. ქვითინი ზმუილში გა-დავიდა...

უკან არავის მოუხედავს. ერთი ხმა არავის დასცდენია. ხალხი სტოვებდა იქაურობას.



...ნელა მიიბიჯებს გიორგი თორელი. მას გვერდზე იაშვილი მიჰყვება.

— ჩვენ დიდი საქმეებით გავერთეთ და, ეტყობა, წვრილმანები გამოგვებარა. — ამბობს იაშვილი.

— ადამიანების ზნეობა და მორალი პარტიას არასოდეს არ მიაჩნდა წვრილმან პრობლემადა. აი, კიდევ ერთი მაგალითი: საკავშირო ცეკას ცნობილი დადგენილება მხო-ლოდ თბილისის კომიტეტს არ ეხებოდა. საჭიროა ყოველთვის ამის კარგად გათვალის-წინება, საჭიროა შეუირიგებელი ბრძოლა.

გიორგიმ კიბე დადგლილი ნაბიჯებით აიარა. კარი შედო და შემოსასვლელში შე-ვიდა. ოთახიდან საცეკვაო მუსიკა და მხიარული ხმები მოისმოდა. გიორგიმ საწივმარი გაიხადა და კედელს მიეყრდნო.

მინის კარებზე ჩამოშვებულ მქრქალ ფარდას იქეთ მოცეკვავე ქალ-ვაჟთა სილუე-ტები მოჩანდა.

გიორგი იდგა და ვერ გადაეწევიდა. — ოთახში შესულიყო თუ ისევ უკან გაბრუნება აჭოებდა. დღის განმავლობაში განცდილისა და გადატანის შემდეგ ეს თავაწმენდილი მზიარულება მასში ფიზიკურ ტკივილს იწვევდა. საკიდიდან საწვმირის ჩამოღებას აპირებდა, რომ სამზარეულოდან თამარმა გამოიხედა.

— კარგ ღროს მოხვედი, გიორგი! — ხმამალა გამოსძახა მან. — სალომეს სტუმრები ჰყავს.

გიორგი სამზარეულოში შევიდა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

თამარი გაზის ჭურასთან ფუსფუსდა, თან საყვედურით ამბობდა:

— ნეტა რას აკეთებს თქვენი პროფკავშირი!.. რატომ არ გიკრძალავთ კვირა დღეს მუშაობას?!

— გვიკრძალავს. — გიორგიმ გალიმება სცადა. — გვიკრძალავს, მაგრამ ჩვენისთანა ურჩებთან რას გახდება...

თამარმა ხელზე ხელი შეავლო შვილს. ჩუმი შემოფოთებით უთხრა:

— შენ რაღაც შეგემთხვა, გიორგი.

— არაფერი. — გიორგიმ კვლავაც სცადა გალიმება, მაგრამ არ გამოუვიდა.

— უთენია რატომ დაგირეკეს? — არ მოეშვა დედა.

გიორგი ერთხანს დუმდა, მერე წუნარად თქვა:

— ჭოწნარში სანერგე ვენახი აჩენეს...

— ვაიმე! — ჩურჩულთი შეიცხადა თამარმა და თვლებში ზაფრა ჩაუდგა.

ოთახში მუსიკა შეწყდა. ახლა იქიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

სამზარეულოში დამძარბული სახეებით ისხდნენ დედა და შვილი.

— ის ნაჯახი ვენახს კი არა, შენ შემოგვრეს, გიორგი. — თქვა თამარმა.

— ვიცო, დედა.

თამარმა მაგიდაზე შვილის ხელი მოძებნა და მიუალღერსა.

— მე შენ კეთილ ბიჭად გზრდიდი... — თამარის ხმა დედური აღერისით იყო გამთბარი, მაგრამ მასში ჩუმი შემოფოთებაც გამოკრთოდა. — მხოლოდ სიკეთეს გასწავლიდი აკვნიდანვე... ზოდა, ის კი აღარ გამახსენდა, რომ სიკეთეს შახვილი უნდა ეჭიროს ხელში...

— მართალს ამბობ, დედა.

— მაშ, სულ აჩენეს მთელი სანერგე? — იკითხა თამარმა.

— სულ. — არ დაუმალა გიორგიმ.

— მერე? ახლა რა უნდა ქნათ? — გაბზარული ხმით იკითხა თამარმა.

გიორგიმ დედას გამამხნეველად მოუთათუნა მზარზე ხელი.

— ახლა ვიცეკვებთ! — გაზვიადებული ხალისით თქვა მან. — მტრის ჭინაზე!..

გიორგი მიტრიალდა და ოთახის კარი შეაღო.

...მერე, გვიან ღამით, გიორგი შუქგამორთულ ოთახში იწვა და ლოგინთან ჩამოშვადარ დედას ელაპარაკებოდა.

— რაკი ნაჯახს მოკიდეს ხელი, ეტყობათ, რომ ძალიან დაურღვიე მყუდროება. — ამბობდა თამარი. — ცუდია, რომ მასეთი ხალხი წუნარად და მშვიდად არის.

— ცუდია, რომ მასეთი ხალხი საერთოდ არის. — ჩუმი წუხილით შენიშნა გიორგიმ.

— რას იზამ! — ამოიოხრა დედამ. — სოფელი ჭრელია. ეჰ, გაგიჭირდება მაგათთან ბრძოლა, ბიჭო.

— არაფერი. — დაამედა დედა გიორგიმ. — ჩვენ გაცილებით უფრო ძნელი ბრძოლები მოგვივია. ვანა მამაჩემს ჩემზე ნაკლებად უჭირდა?

— მაშინ სხვა იყო, — თამარმა შორეულ მოგონებებს გაუღიმა, — მამაშენი კულაკობას რომ ებრძოდა, იმათ ქონებაც ჰქონდათ, იარაღიც და საქმაც გავლენაც გლე-

ხომაში. მაგრამ მამაშენს ძალაუფლება ჰქონდა. ხელისუფლება მისი იყო და ვერც
ომა მტრებს. ახლა შენ ვისაც ებრძვი, იმას თანამდებობაც აქვს და ძალაუფლებაც
ბევრს ჯიბეში მანდატიც უდევს და თავი საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზი-
აქვს. ეჰ, რამდენია შემომძვრალი პარტიაში კარგი ცხოვრებისათვის!..

— მასეთებიც არიან, რა თქმა უნდა. — დაეთანხმა გიორგი.

ერთხანს ჩუმაღ იყვნენ ერთ საფეხრალს აყოლილი დედა და შვილი.

ეძინა პატარა ქალაქს. განთიადის შუქში იცრიცებოდა ცისკიდური. ოთახში სინა-
თლე შატულობდა..



გიორგი, გურამი და ასმათი ერთად ისხდნენ კაბინეტში.

— ...ვერ გავიგე, რა მოხდა. — შეწუხებული კილოთი ჰყვებოდა გიორგი. — ეს
გზები გავიყვანეთ, სახლები ავაშენეთ. ელექტროდენი ყოველ სახლში მივიყვანეთ, ეს
ხალხი კი არა და არ ჩანს.

— საოცარია პირდაპირ! — ხელები გაოცებით გაშალა გურამმა. — ხომ იყვნენ
აქ აჭარის წარმომადგენლები. თითქოსდა ყველაფერი მოეწონათ. დარწმუნებული ვარ,
რომ კარგ ამბავს ჩაიტანდნენ...

— ამბობენ, ქალები ჭირვეულობენ, თორემ კაცები ძალიან მოწადინებული არი-
ანო აქეთ გადმოსახლებას. — თქვა გიორგიმ.

— ჰმ, ასეც ვიცოდი! — ხელს ხელი შემოჰკრა ასმათმა. — რა თქმა უნდა, ქალების
ხრიკებია ეს!..

— ქალბატონო ასმათ, ამ ამბავს ისევ ქალი თუ მოუვლის. — შეაპარა გიორგიმ.

— რა თქმა უნდა! — მაშინვე დაეთანხმა ასმათი. — ამას რა ლაპარაკი უნდა.

— დღესვე რომ წასვიდოდე აჭარაში. — თხოვნის კილოზე უთხრა მას გიორგიმ.

— ამ წუთასვე წავალ. — ასმათმა თავისი დიდი ჩანთა დაითრია.

— იმათთან ტკბილი ლაპარაკია საჭირო. — ურჩია გურამმა. — ქალები ქალის ნა-
თქვამს უფრო ენდობიან.

ფანჯრისაკენ პირშექცეული ასმათი ტუჩებზე პომადას იცხებდა და ქაღილით ბუტ-
ბუტებდა:

— მე იმათ ვუჩვენებ ტკბილ ლაპარაკს!.. სულ კუდღით დავიფრენ... დედა, დედა,
რა ხალხია, როგორ უბნევენ კაცებს გზა-კვალს!.. ერთი ჩავიდე იქა!.. მე ვიცი რანაც
ვეტყვი!.. ნახეთ, რა დღე წავიცილო მე იმათ!..



სამზადში შუაცეცხლი გივგიზებდა. დოლბანდით თავწაქრული დიასახლისი დაკ-
რულ კეცებთან საქმიანობდა.

ცეცხლს გარშემო ჯორკოებზე ქალები ისხდნენ.

კვამლით გამომწვარ ძელურ კედელთან ქალები გამწკრივებულიყვნენ. ქალებზე
მეტი მაინც ბავშვები იყვნენ. ზოგი ძუძუთა, ზოგი ახლად ფეხდაგმული, ზოგიც უფრო
მოზრდილი...

კერაისთან ასმათი იჯდა და ენამოუღელღალ ლაპარაკობდა. ხან ერთ ლოყას მოა-
რიდებდა ხოლმე შუაცეცხლის მცხუნვარებას, ხან მეორეს. საგარეოდ იყო გამოწყო-
ბილი.

— ...კაცები ფრთხილი და გაუბედავი ხალხია. რაგინდ კარგი საქმე იყოს, მაგათ
მაინც უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ღხი-
ნსაო, ეს ხომ კაცების მოგონილია. აბა, დედაკაცი ასეთ სისულელეს წამოროშავდა?!..
თქვენ უნდა გააბედინოთ, ქალებო, თქვენა. უნდა აუტყდეთ და არ მოახვენოთ... ხომ

გავიგონათ, — დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებო, უნდა მოაშოროთ ამ შერჩეულ ქირს და ლხინში უნდა გამოიშვით. იცით, იქნებ...
სიბილქე და სიხალდათა? მიწა ისეთი, როგორც ერბო. ახლა ბოსტნეული? წიწმითი ამოიზრდება, ერთ ეზოს დარბაზებს; იქაურ კიტრსა და პომიდორს ევროპიდან გვთხოვენ სათესლედ, მაგრამ იქ რომ დათესეს, ჩვენებურს მაინც ვერ გამოუმსგავსა. ყველაფერი მზე და ჰავაა. ჰო, ახლა ჰავას არ იკითხავთ?... — ასმათმა ჰაერი შეისუნთქა და წარბები უხიამოდ შეჰყარა — აბა, ეს ჰაერია?!. თქვენ იქაური ჰაერი უნდა ნახოთ!.. ჰო, მიწას საკარმიდამოდ ამაზე ორჯერ მეტს მიიღებთ. წყაროებია ანკარა... ჰა, რას იტყვით, ქალებო?

ქალები ისხდნენ და იღიმებოდნენ სტუმრის ენაწულიანობით გაოცებულნი.
დიასახლისმა კეციდან ლადარი გადაბერტყა, ცხელი ხაჭაპური ტაბლაზე დააგდო და დაჭრას შეუდგა.

— მასპინძელო, შენ რას იტყვი, ა? — ახლა დიასახლისის მიუბრუნდა ასმათი.
დიასახლისმა პასუხად გულლიად გაუღიმა და თეფშზე დადებული ხაჭაპური მიაწოდა.

— მიირთვით.

ასმათმა ხაჭაპური აიღო, ჩაკბინა და ისევ თავისას მოჰყვა.

— ასე არ შეიძლება, დებო! განა იქაც თქვენი სამშობლო არ არის?.. რომ განახათ, რამდენი გაპარტახებული ნასოფლარებია ჩვენში, გული მოგიკვდებათ. დედაკაცმა განა მარტო შვილი უნდა შობოს!.. — ასმათი გვერდით მჯდომ ახალგაზრდა შავთვალა ქალს მიუბრუნდა:

— აბა, მითხარი, პირადად შენ რატომ არ მოდიხარ? რა გიშლის ხელს?

ახალგაზრდა ქალმა შავი თვალები მორცხვად დახარა, მერე კალთიდან ვაშლი ამოიღო და ასმათს მიაწოდა.

— მიირთვი, სტუმარო.

ასმათმა ვაშლს გემო გაუსინჯა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— აბა, ეს ვაშლია?.. ჩვენებურ ვაშლთან შედარებით ეს ნამდვილი ტყის მაყალოა. მერტოლ, რომ იცოდეთ, რა ხილია ჩვენში! რა სიტკბო, რა სურნელებაა!.. არა, ბატონო, სიტყვაზე ნუ მენდობით, მოდით და იგემეთ...

ახლა გრძელნაწნავებიანი გოგონა მიუახლოვდა ასმათს და ლანგარზე დაწყოხილი ხილი გაუწოდა. ასმათმა გოგონას თმაზე აკოცა, ლანგარი ტაბლაზე დადგა და კვლავ ქალებს მიუბრუნდა. შეეცადა ენთუზიაზმით დაემუხტა ისინი.

— აბა, ჰე, ქალებო, რას გაჩუმებულხართ? ხომ მოდიხართ?.. თქვით რამე, თქვენი ადამიანებო!..

ქალები იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ გულკეთილად და იდუმლად იღიმებოდნენ...

ასმათი გიორგის წინ იდგა კაბინეტში დაბნეული და გაოგნებული. გაღახულ ბალდოვით ჩაქნებდა თავი და დიდ ჩანთას აქეთ-იქით აქნევდა.

— მერე? მაინც რაო, რა თქვენ?! — ჩაჰკითხავდა გიორგი.

ასმათმა მხრები უმწეოდ აიჩეჩა. ურუ ხმით ჩაილულულა:

— არაფერი არ თქვენს, ამხანაგო გიორგი... რაც მე იმათ ველაპარაკე, რაც მე იმათ ვუმტკიცე!.. იმათ კი არც „ჰო“ თქვენს და არც „არა“.

გიორგიმ მძიმედ ამოიხსრა. თავი ხელებში ჩარგო. გაბზარული ხმით იკითხა:

— რა უნდა ვქნათ? ნასოფლარები სოფლებად ვაქციეთ.. დაიხარჯა ამდენი სახსრები, ამდენი ენერგია!..

— ისე კი, ძალიან კარგად მიმიდეს. სულ გამუდმებით მილიმოდნენ... რა არ მომართევს, რით არ გამიმასპინძლდნენ! — შეეცადა გიორგის ნუგეშისცემას ასმათი. გიორგიმ ღიმილით გადაქნია თავი.

— კარგი. დაველოდოთ, რა მოჰყვება ამ თქვენს მისიას. — თქვა მან.

წინა მანქანა გაჩერდა. ერთმანეთის მოყოლებით ჩერდებიან უკანა მანქანებიც. მძღოლები ძრავებს გამორთავენ და ერთბაშად ჩამოვარდება სიჩუმე.

მგზავრობით დაღლილი ხალხი ძარაში წამოდგება და ცნობისმოყვარეობით იყურება გარშემო.

გზის მალლა ამწვანებული კორდია, უფრო იქეთ, გვირილებიანი ველის მიღმა, სოფლის სახურავები მოსჩანს.

ბაბუა ჭემალი გარინდებით დგას ძარაში. თვალს არ აშორებს შორეულ სახურავებს.

— ბაბუა ჭემალ, მოვედიო? — იკითხა ვილაცამ.

ბაბუა ჭემალმა ყაბალახი მოიხადა, შეოფლილ შუბლზე გადაისვა და თქვა:

— ჰო. აი, ესაა ჩვენი მიწა-წყალი...

კაბინის სახურავზე შემომდგარმა მამალმა მქექარე ხმით იყიფლა... ამან ყველანი გააშხიარულა.

ჭემალ ბაბუას ახალგაზრდები წამოეშველნენ და მანქანიდან ჩამოიყვანეს. ჭემალი კორდზე ავიდა და გაიხედა.

აქედან სახურავებს გარდა სვეტისთავებიც მოჩანდა.

ხალხი მანქანიდან ჩამოდიოდა და სოფლის ხილვას ეშურებოდა.

გზაზე ტალახში ამოგანგლული „გაზიკი“ იდგა. გიორგი მანქანას მიურდნობოდა და დაძაბული მოუთმენლობით გაჰყურებდა...

— ოთხმოცდახუთი ოჯახი მოდისო, ძია გიორგი, — სიხარულით ამბობდა შაქრო. — გაივება მთელი ნასოფლარი.

იგი მოუსვენრად ცმუკავდა. მანქანაში ადგილს ვერ პოულობდა. ზოგჯერ წამოდგებოდა, სავარძელზე შემდგარი შუბლზე ხელს იჩრდილებდა და მინდვრების ბოლოსაკენ იყურებოდა. სხვა დროს დინჯი და სიტყვაძუნწი, ახლა ენას ვერ აჩერებდა:

— ოთხმოცდახუთი ოჯახს ეხუმრებით? სოფელი სოფელს დაემსგავსება... მანქანების ხმა რომ არ ისმის? ეტყობათ ნახირთან შეყვანდნენ... იქნებ, პირდაპირზე გადმოჰქრა გადასწყვიტეს... აი აქედან.

გიორგიმ ღიმილით გამოხედა შაქროს.

— ჰო, ალბათ, ასე გადმოვლენ. — თქვა გიორგიმ. — ეჰ, დრო იყო, ჩემო შაქრო, აქედან, ამ მინდვრების გაღმიდან მტერი და მარბიელი მოდიოდა. ახლა კი...

უსტად ველის ბოლოში ფრანი გამოჩნდა. მტრედვით მოცურავდა ცაში.

— მოდიან! — დაიძახა შაქრომ და მანქანიდან ჩამოხტა. — გავიქცევი, ჩვენებს ვაზარებ!..

გიორგის პასუხს არ დაელოდა, კისრისტეხით მოუსვა სოფლისაკენ.

გიორგი თვალს არ აშორებდა თეთრად მოკიაფე ფრანს.

მტრე უთვალავი თავები გამოჩნდა. თანდათან ამოივაკეს და გვირილებთან ველზე ფართოდ გაშლილი ხალხის ზღვა გადმოიღვარა...

წინ ბავშვები გამოჩნდნენ. ცაში აშეხულ ფრანს მოარბენინებდნენ. თანდათან მობლოვდნენ. მოდიოდნენ ქალები, კაცები, მოხუცები და ბავშვები.

ვილაცას ძუძუთა ბავშვი აეხუტებინა მკერდზე;
ვილაცას ჩართული ტრანზისტორი ეჭირა ხელში; ვილაცას აკვანი ჩამოეკიდებინა მხარზე.

სივრცით გაღალბებული ეზოს ძაღლები პატრონების გარშემო დახტოდნენ.
იღვა გიორგი — დაღლილი, განცდებით გაბრუებული და უსაზღვროდ ბედნიერი.
წინ მომავალნი უკვე გასცდნენ მას. ვერავინ შენიშნა იგი. ზედაც არავის შეუხედავს.
უველას სოფლისაკენ ეჭირა თვალი.

ბოლოს ერთმა გამოსძახა:

— ეი, ჩვენი ძმა, სოფელი ნაცხარი ის არის? ხომ სწორად მივდივართ?

— სწორად მიდიხართ, სწორად — გაუღიმა გიორგიმ.

ხალხი კი გაუთავებლად ძიდიოდა და მიდიოდა იქეთ, სადაც ზავსიან ნაფუძარზე აღმოცენებული სოფელი გარინდულიყო მზეში და უკვდავებაში...



მეცხოველეობის ფერმის ეზოში თივას ზვინავდნენ. გვერდით ტრაქტორი ბუღრა-ობდა, — საკვებს ასენაუბდა.

„უაზ“-400-ის გვერდით გიორგი იღვა და ჩექმებიან კაცს ელაპარაკებოდა.

— უველაფერს ვითვალისწინებთ, ახსანავო გიორგი. — ტრაქტორის გრუზუნში რომ გაეგონებინა, გაჰყვიროდა ჩექმებიანი კაცი. — ზამთარმა მახსამდეც რომ გასტანოს, საკვები მაინც გვეყოფა.

— მოსახლეოაწეც იფიქრეთ, — უთხრა მას გიორგიმ. — ვინმეს რომ თივა შემოაკლდეს, თქვენ უნდა დაეხმაროთ.

— კი, ბატონო. — მზადყოფნით გაშალა ხელები ჩექმებიანმა კაცმა. — მთაში რასაც მოთიბავენ, ისიც ხასლში წაიღონ. ჩემს ფერმას მეტი აღარ სჭირდება.

გიორგი მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს გადაუღაპარაკა:

— მთაში!.. სათიბებზე!..

მანქანა ადგილიდან დაძრა.

იქაც მთიბავებით იყო დაფარული ფერდობი. სულ ახლოს იყვნენ აქედან. კაცები მკლავმოუღლედად იქნევდნენ ცელებს, ქალები და ბავშვები თივას ძნებად კრავდნენ და ზვინებად აწყობდნენ.

— რა ახლოს არიან აქედან! — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— ჰმ, ეს რაა! — თქვა ჭაღარა კაცმა. — აი, მაღლა როცა ვთიბავთ ხოლმე, ზოგჯერ ჩვენი და იმათი ცელი ერთმანეთს ხვდება...

ერთი მთიბავი მაინც სულ ახლოს იყო აქედან. ბრგე, ახოვანი მოხუცი იყო. ლაღად იქნევდა ცელს. ზოგჯერ გვერდულ მზერას გადამოჰყავდა ხოლმე საზღვრის ზედა მხარეს.

— ჩქარობენ. — გაიღიმა გიორგიმ. — ეტყობათ, მაგათაც იციან ამინდის პროგნოზი.

— იციან. — ღიმილით დაუდასტურა ჭაღარა კაცმა. — ჩვენ ისე ხმამაღლა ვლაპარაკობდით ხვალინდელ ამინდზე, რომ იქ ყრუც კი გაიგონებდა.

გალმელმა ახოვანმა მოხუცმა თიბვა შეწყვიტა. იგი ზურგით იღვა, თიბვით გართულ თავისიანებს გაჰყურებდა ცელზე დაყრდნობილი. უცბად ხმამაღლა აღაპარაკდა.

— ჰეი, გიორგი-ეფენდი, ერთი წუთით ყური მათხოვე ბერიკაცს...

— თქვენ გელაპარაკებთ. — გადაუღაპარაკა ჭაღარა კაცმა გიორგის და თვალით გალმა მხარეს ანიშნა.

გიორგი შეკრთა და იქეთ მიბრუნდა.

— ...კაი საქმე ამ ქვეყნად არ დაიმალება. — ისევ ხმამაღლა განაგრძობდა მოხუცი მთიანე. — შენ რომ გამოჩნდი მაქვთ, ყველაფერს სხვანაირი იერი დაეტყო. ამ მიწის შვილი რომ ხარ, ესეც შევითქვეთ ჩვენ... ნასოფლარების თავზე კვალი დავინახეთ აქედან და სიხარულმა აგვატირა... ახლა ვაიოს ველებს უპირებნო გაცოცხლებას, ამბავი მოგვწვდა აქეთ. შვილას წელიწადია უცდის ვაიოს ველი კაცის მარჯვენას. შენ დაგელოცოს ჭკუა და მარჯვენა, შვილო გიორგი. ნასაზღარზე სახლი დაგედგას, ნაწულურზე წყალი მიგეშვას, ნავენახარზე ვაზი დაგერგოს... თქვენს სიკეთეს რომ ვხედავ, ჩვენც აქეთ წელში გამართული დავიარებით...

გუშაგმა ნაბიჯი შეანელა. ხმამაღლა მოლაპარაკე მოხუცს თვალი დაადგა.

— დაუჩქარე, ჯე... — მსიარულად დასტეჭა მოხუცმა, კვლავ ცელი მოიმარჯვა. — ამისთანა ამინდია! ამისთანა ბალახია...

გალმელმა მთიანეებმა, თითქოსდა მოხუცის შეძახილმა ძალა შემატაო, კიდეც უფრო მოუჩქარეს ცვლეობის ქნევას. ელაცამ სიბღერა შემოსძახა. მას სხვებიც აჰყვნენ... გიორგი გაუნძრევლად იდგა და გაჰყურებდა ამღერებულ გაღმელ მთიანეებს...

რაკიომის შენობასთან „ვოლგა“ გაჩერდა, იქედან გიორგი თორელი, ასმათ იაშვილი და გურამ ლლონტი გადმოვიდნენ.

საუბრით აუყვნენ კიბეებს.

— ას ორმოც ათას ძირ ნერგს ბარდნარის სანერგე იძლევა, ოთხმოცი ათასი ბურბათის სანერგემ გამოგზავნა. — ამბობს გურამი.

— ეს ცოტა არაა, მაგრამ ვაიოს ველებისათვის წვეთია ზღვაში. — ჯავრიანად შენიშნა გიორგიმ.

მოლდავურ და ყირიმულ ნამყენ ჯიშებს თუ გავურევთ, იქედან უკვე წამოსულია ნერგები. — თქვა გურამმა.

ჩვენ ხომ ძირითადად ადგილობრივი ჯიშების დარგვა გვაქვს დაგეგმილი. — თქვა გიორგიმ. — მზიან ფერდობებზე მთლიანად თამარის ჯიში უნდა გაშენდეს.

დღერფანში ერთ-ერთი კაბინეტის კარებთან შალვა მოდებამდე და თორნიკე სეფერთელაძე დგანან. კიბეებზე ამოსული გიორგის დანახვა არ ესიამოვნათ. უხერხულად აწრიალდნენ.

— გამარჯობა! — მიესალმა მათ გიორგი და ნაბიჯი შეანელა. — ჩემთან ბრძანდები?

— არა... ჩვენ აი, აქ გამოგვიძახეს, დაბნეულად ჩაილაპარაკა მოდებამდე და კარზე ანიშნა ზეღით.

სწორედ ამ დროს გაიღო კარი და იქედან რაზმამდე გამოიხედა. გიორგისა და ასმათს უსიტყვოდ დაუკრა თავი და კართან მომლოდინეთ მიუბრუნდა:

— ამხანაგი სეფერთელაძე აქ ბრძანდება?

— დიას, შე გახლავართ. — მიუგო თორნიკემ.

— შემობრძანდით!..

გიორგი და ასმათი დღერფნის ბოლოში მივიდნენ. გიორგიმ კაბინეტის კარი გამოაღო. ასმათმა იგი წანით შეაჩერა.

— ნომ ეტქი მე პირველი დანახვისთანავე, — არ მომწონს-მეთქი ეს ვანიძის გამოგზავნილი კაცი! — ნიშნისმოგებით თქვა მან. — ნახეთ, რა ხალხი ჰყავს დაბარებული?

გიორგიმ თავგაბეზრებით ჩაიქნია ზეღი. იგი ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. უცბად ასმათს მიუბრუნდა.

— რა იქნება, რომ კახეთის სანერგეებში გავგზავნოთ კაცი. ისეთი ადამიანი გავგზავნოთ, რომ უარი ვერავინ უთხრას. ენაწყლიანი, მომზიბვლელი, საქმიანი...

— კარგი იქნება — დაეთანხმა ასმათი. — მაგრამ ასე ყოველმხრივ შემკული ვინ მოძებნოთ?

— მე უკვე ვიფიქრე ამაზე. — სერიოზული იერით დაამშვიდა იგი გიორგიმ. — ბევრი ვიფიქრე და ზოლოზ არჩევანი თქვენზე შევაჩერე.

— ჩემზე? — გაოცა ასმათმა. — მე ვარ მომზიბვლელი, ენაწყლიანი?..

— ხართ! — დარწმუნებით თქვა გიორგიმ. — ზომ იცით, გარედან ეს უფრო კარგად მოჩანს!..

დარიანი ალიონის მოლურჯო შუქი ნიბდგომოდა ფანჯრებს საშვარეულოში გაზის ქურასთან თამარი საქმიანობდა. საბაზანოდან წყლის ხმაური რომ შემოესმა, საძინებელ ოთახს მიაშურა.

ფრთხილად შეაღო კარი და მიაუურადა. ძველად, თანაბარი სუნთქვა რომ გაიგონა, მიხვდა, — სალომეს ჯერ კიდევ ეძინა. კარადის კარი გაშალა და ხელის ცეცებით შეუდგა ტანსაცმლის შერჩევას...

გიორგი საბაზანოდან გამოვიდა. მხარზე პირსახოცი გადაეგდო. გულდასმით ივარცხნიდა თმებს. უცბად შუა ოთახში მდგარი დედა დაინახა და შეჩერდა.

თამარი გაღიმებული იდგა. მკლავზე ახალთახალი კოსტუმი გადაეფინა, ხელში ქათამა პერანგი ეჭირა. იქვე გაკრიალებული ფეხსაცმელები ეწყო.

— რაშია საქმე? — იკითხა გიორგიმ.

— მე მინდა, რომ დღეს შენ ყველაზე ლამაზი იყო — მშვიდად თქვა თამარმა და პერანგი ჩასაცემლად მიაწოდა. — აბა, გაუყარე ხელები.

გიორგიმ თავი გადაიქნია და დედის ნათქვამს დამორჩილდა. მაგრამ, როცა თამარმა ყელსახვევიც მიაწოდა, მაშინ კი სცადა წინააღმდეგობის გაწევა.

— შენ ხომ იცი, რომ ყელსახვევის ტარება არ მიყვარს?!

— მე ვიცი, რომ ყელსახვევი შენ ძალიან გიხდება. — თქვა თამარმა. — გაიკეთე!

— კარგი, ბატონო, — მორჩილად ჩაილულულა გიორგიმ და ყელსახვევის განსაკვას შეუდგა.

თამარი კედელთან დადგა. იგი ვერ ხედავდა, მხოლოდ ისმენდა, თუ როგორ იცვამდა შვილი. დაფარული მღელვარებით იკითხა:

— როდის დაიწყებენ ყამირის გატეხვას?

— რვა საათზე. — მიუგო გიორგიმ. მთელი რაიონის ტრაქტორები ვაიოს ველზეა თავმოყრილი... თუ გინდა, შენაც წამოდი.

თამარმა სევდიანი ღიმილით გადაიქნია თავი.

— არა. მე აქედანაც ყველაფერს ისე დავინახავ, როგორც იქ მდგომი.

ქუჩიდან მანქანის საყვირის ხმა მოისმა. მერე ხმაშეწყობილი ძახილი:

— სა-ლო-მე!.. სა-ლო-მე!..

გვერდით ოთახიდან სალომე გამოვარდა, გზადაგზა თმას ივარცხნიდა. მამას შეხედა და გაიბადრა:

— რა ლამაზი ხარ დღეს!..

— ნამდვილი აპოლონი ვარ. — ჩაიიცინა გიორგიმ. — შენ საით, ამ ალიონზე?

— გასვლითი სპექტაკლი გვაქვს ბავშვებისათვის. — სალომე კარებისაკენ გარბოდა. უცბად მოაგონდა, მამას მივარდა, ლოყაზე აკოცა. — მოგილოცავ!.. დღეს ჩვენც

შოვალთ ვაიოს ველზე, მთელი თეატრი. — იგი მიტრიალდა და სირბილით გაქარდა ოთანიდან.

გიორგიმ ღია ფანჯარაში გადაიხედა. სალომემ ავტობუსთან მიიბრინა, მამას ამოხედა, ხელი დაუქნია და ავტობუსში გაუჩინარდა... ავტობუსი დაიძრა. უკან დეკორაციებით დატვირთული საბარგო მანქანა მიჰყვა...

თამარი შვილთან ნივიდა, ჯერ ყელსახვევი შეუსწორა, მერე ხელების ციცებით მოძებნა ჯერ სახე, მერე თმები...

— ბევრი ჯალარა გამოგერია! — დედის ხმაში თბილი ნაღველი გამოკრთოდა.

— საკმაოდ. — გაიღიმა გიორგიმ.

— მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, როგორიც იმ დღეს მქონდა, ეს სურათი რომ გადაგიღეთ. — თამარმა კედელზე მიმაგრებული ფოტოსურათი მოძებნა ხელით.

სურათზე პირველი ნაბიჯის გადადგმით გახარებული, წინ ხელგაწვდილი ბაღლი იყო აღბეჭდილი.

მაშინ პირველად გაგიშვი ხელი და შენ ფეხი გადადგი. ჯერ ბორძიკით გაიარე, მერე გასწიე და გასწიე...

— ჰოდა, აი, იმის შემდეგ სულ მივდივარ და მივდივარ. — გაიცინა გიორგიმ.

— ჰო, — ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა დედამ. — მაშინ, პირველად რომ ხელი შეგიშვი და შენ პირველი ნაბიჯი გადადგი, გულში ჩავითქვი, — კეთილი იყოს ეს გზა, რომელსაც შენ დაადექი, ჩემო ბიჭო-მეთქი.

— მე სულ იმ გზას მივყევბი, დედა. — თქვა გიორგიმ.

— ვიცი. — შვილს სიყვარულით გაუღიმა თამარმა. მერე მხრებში ხელი მოჰკიდა, კარებისკენ შეაბრუნა. — წადი, ნულარ დაგვიანებ!..

მოსახვევს იქეთ ერთბაშად გადაიშალა ათასნაირი ფერებით აკაშკაშებული ვაიოს ველი... მთელი სივრცე ტრაქტორების გრუხუნის მოეცვა. ყოველი მხრიდან მოემართებოდნენ და მწკრივად დგებოდნენ ბორცვების ძირას, სადაც თვალუწვდენელი, ქაღალდოვით სწორი მინდორი იწყებოდა...

— გაცოცხლდა ვაიოს ველი! — წამოიძახა შაქრომ.

აი, უკანასკნელმა ტრაქტორმაც დაიკავა თავისი ადგილი ბორცვების ძირას და ერთბაშად ისეთი სიჩუმე ჩამოედგა, დიდი შეტევის დაწყების წინ რომ დაისადგურებს ზოლმე ბრძოლის ველზე.

გიორგი გარინდებული იდგა და გაჰყურებდა.

გიორგის გვერდით მანქანა გაჩერდა. იქედან ასმათ იაშვილი და გურამ ლლონტი გადმოვიდნენ. გიორგის მიესალმნენ და ველს გახედეს. გიორგიმ საათს დახედა და მღელვარებისაგან დაძაბული ხმით თქვა:

— ათ წუთში დაიწყება ყამირის გატეხვა.

— შვიდასი წელიწადია ამ მიწას გუთანი არ შეხებია. — ჩაილაპარაკა გურამ ლლონტმა.

უკან კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა. იქედან რეზო დავითაძე და აბესალომ დევნოსაძე გადმოვიდნენ. რაიონის ხელმძღვანელებს მიესალმნენ და ველზე გამწკრივებულ ტრაქტორებს გახედეს.

ასმათმა ყოყმანით შეხედა გიორგის. რაც მოვიდა, მას აქეთ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს ისევ თქმა ამჯობინა. გიორგის მკლავზე მოჰკიდა ხელი, გვერდზე გაიყვანა და სხადაბლა უთხრა:

— ახლა ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ... თბილისიდან დარეკეს, ცეკაში გიბარდებენ ვანიძესთან.

— როდის? — მოიღუშა გიორგი.

— დღეს საღამომდე აქ უნდა იყვესო. — მიუგო ასმათმა. — ალბათ, უკვე წასვლაა საჭირო. — მერე იუჟია და დასძინა, — წარმოდგენილი მაქვს, რა მასალებს ჩაუტანდა აქედან რაზმამდე.

— ჰო, ვანიძესაგან, ალბათ, კარგს არაფერს უნდა მოველოდე. — დაეთანხმა გიორგი.

— ჰო, ვიცო, ვანიძე ძველი დემაგოგია. — ჩაილაპარაკა ასმათმა. მერე გიორგის გამამხინვეებლად გაუღიმა და დასძინა, — არაფერია!.. ვანიძემ ახლა ისეთი ბრძოლა წამოიწყო, რომ უეჭველად კისერს მოიტეხს. ადრე თუ გვიან ასეც უნდა მომხდარიყო. გიორგიმ აბესალომ დევნოსაძისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— ახლა თქვენზეა საქმე. — უთხრა მან აბესალომს. — ტრაქტორები გაივლიან თუ არა, დარგვა უნდა დავიწყოთ.

დევნოსაძეს არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დააქნია. იგი ველს გაჰყურებდა.

— დარგვით კი დავრგავთ, — მოსავლელად თუ გავწვდით ამოდენა ზვრებს. — შეურეებული კილოთი თქვა რეზო დავითაძემ.

— იმ დარჩენილ ხუთ ნასოფლარშიაც რომ ჩამოსულიყო ხალხი, მაშინ, იცოცხლე, ამ ზვრებს კაცის ხელი არ მოაკლდებოდა! — ნატვრით ჩაილაპარაკა გურამ ლლონტმა.

— ჩამოვლენ, ვენახი რომ გაშენდება, მევენახეც გამოჩნდება. — დარწმუნებით თქვა გიორგიმ. — ჩვენი კაცი ვაჟს უპატრონოდ არ დატოვებს.

უცბად მთელი უკიდევანო სივრცე ტრაქტორების გუგუნით აივსო.

— წავიდნენ! — დაიძახა რეზო დავითაძემ, — გატყდა ყამირი!..

გიორგი გარინდებული იდგა და გაჰყურებდა...

ტრაქტორები გრუხუნით უტევდნენ შვიდი საუკუნის მღუმარებას. ამობრუნებული ბელტების შავი ზოლები რჩებოდნენ უკან. წინ კი, უსასრულოდ გადაშლილ ვაიოს ველზე ჭიხვინითა და თქარა-თქურით მიჰქროდნენ ამომავალი მზის ბურუსში მეწამულისფრად დაფერილი ფაფარაშლილი ბედაურები...

გიორგი მანქანაში ჩაჯდა. მასთან ასმათი და გურამი მივიდნენ.

— ნახვამდის! — თქვა გიორგიმ.

— ამხანაგო გიორგი, თუ საკითხი გამწვავდება, შეგვატყობინეთ და მაშინვე თბილისში გავჩნდებით, — უთხრა მას გურამმა.

გიორგიმ ნაღვლიანი ღიმილით გადაიქნია თავი.

— თქვენ აქაურობას მიხედეთ. — თქვა მან.

— დამერწმუნეთ, ცეკა თქვენ დაგიჭერთ მხარს და არა ვანიძეს. — დაბეჯითებით დაამედა ასმათმა. — ამაში მე მენდეთ!..

— გენდობით. — მკერდზე ხელი მიიღო გიორგიმ.

შაქრომ მანქანა ადგილიდან დაძრა.

მერე სწორი, პირდაპირი გზა დაიწყო. გიორგი ფიქრებში წასული თვალებით გაჰყურებდა წინ.

გზა ერთხანს მინდვრების გასწვრივ მიდიოდა და გიორგი სარკმელიდან ახალგაზრდებულ ხნულებს გაჰყურებდა. მერე მანქანამ გვერდზე გადაუხვია, ბორცვი გადაიარა. გზა ახლა ქედნისფერ გორაკებს შორის მიიკლავებოდა.

გზაზე ჩაიქროლეს მორებით დატვირთულმა მანქანებმა. შაქრომ თავი საყვედურით გადააქნია და რაღაცა თქვა, მაგრამ გიორგის არაფერი გაუგონია. იგი ახლა მხოლოდ საკუთარ ფიქრებს უგდებდა ყურს.

— „აი, ტყე კი ვერ დავიცავი... ამხანაგო თორელო, ტყე რომ დახურულად გამო-
აცხადე, ხე-ტყის დამამუშავებელი ფაბრიკა ხომ არ გაჩერდება?! ჰო, იმათ თავიანთი
ხიმართლე აქვთ. მაგრამ ტყე თუ მოისპო, აჭაურობას ქარი და მეწყერი წაიღებს. ენც
ხიმართლეა და, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფაბრიკის გეგმები.. მაინც რა
მასალები ჩაუტანეს აქედან ვანიძეს? ზოგიერთი გეგმის შესრულებაში რაიონი ჩამო-
ჩა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. რა ვქნა, ვაიოს ველებმა ძალიან ბე-
ვრი სახსრები და ენერგია მოითხოვა. სამაგიეროდ სამ-ოთხ წელიწადში ყველაფერი
ასმაგად ანაწლავდება. ასეა, ყოველდღიური საჭრუნავის იქეთ თუ არ იყურები, წინ
ვერ წახვალ, მომავალს ვერ შექმნი.. ჰო, ვაიოს ველების ათვისებას რომ საკუთარი
ძალებით შევუდექი? ამისათვის ალბათ მადლობას არ მეტყვიან. მაგრამ, ბოლოს და
ბოლოს, ეს დიდი საქმე უნდა დაწყებულიყო. საჭირო იყო ამის დაწყება, ყამირი უნ-
და გატეხილიყო. დარგულ ვაზს კი უპატრონოდ არ დატოვებს ჩვენი ხალხი. დღე-ღამეს
გაასწორებს და ვენახს მოვლას არ მიაკლებს. არა, პარტია ამას დანაშაულად არ ჩა-
მითვლის. იქნებ სხვა შეცდომები მქონდა? შეიძლება... უშეცდომოდ ის ცხოვრობს, ვინც
არაფერს აკეთებს. თუმცა არაფრის მაქნისობაზე დიდი შეცდომა რაღა იქნება.. და
მაინც, ამხანაგო გიორგი თორელო, კარგად დაფიქრდი და გაიხსენე: ყოველთვის მოქ-
მედებდი ისე, რომ შენი ხალხისთვის, შენი ქვეყნისთვის სიკეთე მოგეტანა?.. დიან, ყო-
ველთვის!.. შენ რაიონის ხელმძღვანელი ხარ, გიორგი თორელო, რაიონში კი, ხომ იცი,
ყველაფერი იმ დონეზეა, რა დონისაც პარტიული ხელმძღვანელობაა. ათასობით ადა-
მიანის ბედი გაბარია შენ. ამიტომ, კიდევ ერთხელ დაფიქრდი და გაიხსენე“...

„კარგად დაფიქრდი და ვამბობ: არ მახსოვს ისეთი დღე, ისეთი საათი, ისეთი
წუთი, როდესაც მე ჩემი ხალხის, ჩემი სამშობლოს სიკეთეზე არ მეფიქროს!.. ჰოდა,
თუ ასეა, მაშინ ნურაფერი გეფიქრება!.. თუ ეს ნამდვილად ასეა, შენ ნაღდად გაიმა-
რჯეხ, გიორგი თორელო!..“

უეცრად შეწყდა ფიქრთა დენა და გიორგიმ გაიგონა შორეული გაურკვეველი ხმა.
ეს იყო მიწას დაკრული წერაქვის ხმაური... იგი თანდათან ახლოვდებოდა. გარკვეული
ხდებოდა, მთელ სივრცეს ავსებდა...

ჩახ... ჩუნ... ჩახ... ჩუნ... ჩახ... ჩუნ... ამ ხმაურს თანდათან წყლის ჩქაფანის ხმა შე-
ერია და უეცრად გიორგიმ ისე აშკარად გაიგონა ბიჭის გახარებული ძანოლი, რომ შეყ-
რთა და წინ გადაიხარა...

— მამა!.. მამა!.. დედა!.. წყალი!.. წყალი ვიპოვე!.. წყალი ვიპოვე!..

ეს იყო შორეული ბავშვობის მზიანი დღე. ველზე იდგა პატარა გიორგი, დაღლი-
ლი, გახარებული, ბედნიერი... სახეზე ტალახიანი წყლის შხეფები აჩნდა. წყალი, რომე-
ლიც მის ფერხთით გადმოჩქეფდა, იყო მისი პირველი გამარჯვების წყარო, მისი პი-
რველი ნამდვილი სიხარული...

ვაიოს ველებს კაშკაშა მზე დაჰნათოდა. დასიცხულ ფერდობზე რაკრაკით მოედო-
ნებოდა ახალფეხადგმული ნაკადული.

ნაკადულს კვალდაკვალ მოსდევდა პატარა გიორგი. უკიდვანო ველებს მისი ძახი-
ლი ეფინებოდა:

— წყალი!.. ანკარა წყალი!.. ბროლის წყალი!..



ახლა მიწას ყვავილები ათოვს, გაუპარსავ სახეს,
 არც არავინ არ წასულა, როგორც ძეძენარს
 მე კი ჯიქურ ველი, სიქალწულის კაბა...
 ისე ჩუმი წვიმებია, როგორც ახლა მიწას ყვავილები ათოვს,
 შუალამის სასთუმალზე არც არავინ არ წასულა,
 მონატრების ცრემლი, მე კი ჯიქურ ველი,
 ძველ მაისებს გაგახსენებ, ისე ჩუმი წვიმებია, როგორც
 სხვა რა გითხრა, აბა, შუალამის სასთუმალზე
 შენი ლოყა შერჩენია მონატრების ცრემლი.

გადამა სოფლიდან მოვიდა ქვრივი
 და მოიტანა ბინდისფერი შავი თავშალი...
 და აჩურჩულდა უკანა მწკრივი,
 — გაძლება ცრემლითო, მაინც, საწყალი.
 წიფლის კატარში თეთრი ღრუბელი —
 სულუბედურის სულის ნაფლეთი,
 და დღე ძკვდარივით იყო უბარი,
 სადღაც ყვავების გუნდი დაფეთდა.
 სტკიოდა დედას დამტკნარი ძუძუ,
 ექცებოდა ავქართ კერტი,
 არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტი ბიჭი
 გაზეთისთვის ნეკროლოგს წერდა...
 ნეკროლოგს, რომელშიც არა სჩანს ცრემლი,
 ოპოლი ბაიას შიშველი ფეფი,
 მოგება შავზე ნუშის და ტყემლის
 და არ მოჟონავს სიტყვიდან ცრემლი.
 მსხლის ძირში — თეთრი სიგარეტები,
 ეშნას მაცდური, მკრთალი თითები
 და მოქანავე კაპრონის თოკზე
 თავს რომ იხრჩობენ თეთრი დღეები...
 გადამა სოფლიდან მოვიდა ქვრივი
 და მოიტანა ბინდისფერი შავი თავშალი
 და აჩურჩულდა უკანა მწკრივი,
 გაძლება ცრემლითო, მაინც, საწყალი...

ნიშას ტყავი გაგივრია
შავი ბეღლის უკან,
როგორც ასგზის დაჩეხილი
საქართველოს რუკა.
ფრთა ღრუბელი გაფრენილა
ოცნებების წყებად,
წაბლის ოდის ცხელ დადარში
ობლის კვერი ცხვება.
ხევ-ხევ გარბის ტურის კვალი,
ბუმბულს გაყრის ქარი,
ცისკენ ხელებაყრობილი
იწყევლება ქალი.
რა მინონი, რა მანანა
აქაური წყარო,

ქარი ელვას ეფერება,
მარად ჩემი ხარო.
შავი ბუხრის ხერხემაღში
ჭრიჭინები ჩივის,
ღვას წისქვილი
ფეხშიშველა წყალში, —
მარტოობით არეული ქვრივი.
მთების ცერზე წამოდგომა,
შენი ზეცის ღილა...
მე არ მინდა არსად წასვლა,
შენს ბუხრებთან თბილა...
მზეო, მზეო მიმწუხრისავ,
მიმქრალი და ჩუმო,
მზეო, ყველას მზეო,
მაგრამ მაინც ჩემო.

მ ა მ ი დ ე ბ ი

ვუძღვნი ჩემს ხუთ მამიდას

ჩვენი ეზოს ნიაფს,
ჩვენი კაკლის ჩხრიალს
მისტირიან გულნაკლული მამიდები,
ღღეებს წვიმიანს და ღღეებს მზიასს
მუდამ ემდურიან მამიდები...
წელს ვერ არისო, ვერ არისო
კარგი ამინდები,
მაგრამ, როგორც მახსოვს,
ძარშან, შარშან წინაც
ღარებს ემდუროდნენ მამიდები...
წაკლენ შაოსანნი, მამის საფლავს
კრემლის წვიმას აწოთებენ,
კორაობენ, სიზმარობენ,
უღმერთობენ, აღმერთებენ — მამიდები...
და ცოცხლობენ ღამის დები,
ჩემა შაოსანი მამიდები...
ჩვენი ეზოს ნიაფს,
ჩვენი კაკლის ჩხრიალს
მისტირიან გულნაკლული მამიდები,



წყალთაშუას — ხანის წყლისა და საირმის წყლის შესყვარში
— დაუხვდა სოლომონი იმერთა ჯარით, დაუხვდა და ისე ამო-
ვლიტა მალხაზანი, მოამბეც აღარ წასვლია ახალციხეს.

ზურაბ ზაბაძის ნახატი.

ხმალის და ჯვარის

ამონარიდი „უპარქაშო ხმლების“ IV წიგნიდან

ხრესილთან მირთმეულმა მარცხმა და იმერეთის ციხე-სიმაგრეთა დაკარგვამ შეა-
რყია და შეაზანზარა ბრწყინვალე პორტა. გაცოფებულმა სულთანმა მუსტაფა მესა-
მემ ახალციხის ფაშას იმერეთის დასჯა და ხელახალი დაპყრობა უბრძანა.

სოლომონმაც იცოდა, რომ ოსმალეთი ქართული მიწა-წყლის დაკარგვას ასე იოლად
არ შეურიგდებოდა და თვითონაც ემზადებოდა მტრის მოხალოდნელი შემოსევის
უკუსაგდებად.

ქართველ მეფეს ქართველების იმედი ჰქონდა.

ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე სოლომონ პირველს „საიმედოვნოსა“ და „ყო-
ვლის სიკეთის მქონებელ ძმას“ უწოდებდა.

1758 წლის ივლისში, გორში, თეიმურაზმა და ერეკლემ „იმერელ ძმასთან“
ურთიერთდანიშნულების ხელშეკრულება დასდეს. სანამ სოლომონი გორიდან დაბრუნდე-
ბოდა, ლეკებმა, ჩონჩოლ-მუსას ბელადობით, იმერეთის აოხრება და გელათის გატია-
ლება მოასწრეს („ქუთაის ქვეით და ზევით სულ დაატყვევეს... გააოხრეს იმერეთი,
მრავალი იშოვეს... გელათის ეკლესია მაშინ წახდა“). ლეკები სწორედ ახალციხის ფა-
შამ, ჰაჯი-ახმედმა გამოგზავნა მაშინ იმერეთის ასაოხრებლად.

დროზე გაექცნენ მოხარნი „ხრესილურ ხმალს“ და გადაასწრეს ახალციხეს.

თითები დაიჭამა სოლომონმა.

მეორედ სამი ათასი ოსმალი მეომარი გამოგზავნა ჰაჯი-აჰმედ ფაშამ იმერეთის
დასარბევად და ციხეების დასაუფლებლად.

წყალთაშუას — ხანისწყლისა და საირმის წყლის შესაყარში — დაუხვდა სოლო-
მონი იმერთა ჯარით. დაუხვდა და ისე ამოუღიბა მოხარნი, მოამბეც აღარ წასვლია
ახალციხის.

ბრავით ბანალაშვილმა მუსტაფა ხონთქარმა ჰაჯი-ახმედი დაახრჩობინა და ახალ-
ციხის ფაშად მისი ბიძაშვილი ხასანი დანიშნა.

ასე გადაგორდა 1758 წელი.

...

თურქეთის საქმემპყრობელებმა „დრომდე“ ხელი დაიმოკლეს იმერეთისაგან.

სოლომონი შინაურ საქმეთა განწყობილებას შესდგომოდა გამალებული.

აღმოსაფხვრელი იყო უცხოუფლებური ბატონობის შხამიანი ფესვები.

ქართული სარწმუნოება შელახული და შებილწული იყო.

ეკლესიები დანგრეული.

მათ ადგილზე აყუდებული მეჩეთები.

საეკლესიო ყმა და მამული დატაცებული, ან გავერანგებული.

სასულიერო კათედრები დაშლილი და გაუქმებული.

გაუქმებული იყო თვით ქუთაისის მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი კათედრა. „ქუთაისის ეკლესია ხელთ ეგდო მძევნარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმოზნეულიყო და რომელიმე დაშთომილიყო, საეროთ გამხდარიყო. და ქუთათელი აღარ იქდა“.

1759 წლის 4 დეკემბერს სოლომონ მეფემ ქუთაისის შეშარა საეკლესიო კრება. ესწრებოდნენ საერო წარჩინებულებიც, მათ შორის — სამეგრელოს და გურიის მთავარნი.

კრებამ აღადგინა ქუთაისის საეკლესიო კათედრა.

ქუთათელად აკურთხეს მაქსიმე აბაშიძე.

აღდგენილი იქნა ყმა და მამული საქუთათლო საქუთრებაში.

კრებამ საგანგებო დადგენილებით ყველა ეკლესია და საეკლესიო კათედრა გაათავისუფლა ყოველი გადასახადისა და ვალდებულებისაგან, თვინიერ „სალაშქრო“ და „სანადირო“ ვალდებულებებისა.

საერო ფეოდალებს ეკრძალებოდათ საეკლესიო ყმა-მამულთა ხელყოფა.

გადაყენებული იქნენ უღირსი, უნიჭო და ანგარი მღვდელმთავარნი და მათ ადგილზე დაინიშნენ ღირსეულნი, ნიჭიერნი და უანგარონი.

მეორე დღეს, 5 დეკემბრის სხდომაზე, ფიცო დასდეს „ტყვის სყიდვის“ აკრძალვაზე. სასულიერო ხელისუფლება შეაჩვენებდა და ხატზე გადასცემდა ტყვის მყიდველ-გამყიდველთ, ხოლო საერო ხელისუფლება სიკვდილით დასჯიდა.

აღადგინეს და დაწერეს: „... ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვიტოვალა, ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო. ახლა ამაზე ასეთი ერთბირობით დაგვიტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდევ ერთმანეთს მივუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ“.

ტყვის სყიდვის აკრძალვა ქართველი ერის ახალშობილებას უდრიდა.

1761 წლის 23 აპრილს სოლომონ მეფემ მეორედ მოიწვია იმერეთის საეკლესიო კრება. ამჟერად აღდგენილი იქნა ხონის საეკლესიო კათედრა და დადგინდა მისი სამფლობელო ყმა და მამული. ხელახლა დამტკიცდა და განმტკიცდა წინარე კრების გადაწყვეტილებანი.

აღადგინდა და აშენებდა ქვეყანას სოლომონ მეფე.

ნივთიერად აღონივრებდა და სულიერად განამტკიცებდა.

ხელახლად აღაშენა კაცხის, ჭალატყის და გოგნის ეკლესიები. რკინის ყავრულით გადახურა და ძვირფასად შეამკო გელათის ტაძარი.

...

1759 წელს სოლომონ მეფე იმერეთა ჯარით თეიმურაზს და ერეკლეს ეხმარებოდა ქართლში, ლეკებთან ბრძოლაში. დიდმა ქართულმა სამეფულმა სრულად გაანადგურა კონტა-მალაჩილასა და ჩონჩოლ-მუსას ლეკური მხედრობანი.

იმავე წელს მუსტაფა ხონთქარმა პასან ფაშა გადააყენა და ახალციხის გამგებლად იბრეჰიმი დანიშნა.

იმერეთს მობრუნებულ სოლომონ მეფეს ერთჯერ კიდევ მოუვიდა ბრძანება, ამჟერად იბრეჰიმ ფაშასაგან: ტყვის სყიდვა აღადგინე და ციხეებში თურქული ციხიონები დააყენეო.

სოლომონმა ისევ ცივი უარი შეუთვალა.

მაგრამ სწორედ იმ დღეს ახალი დალატის ამბავი შეიტყო მეფემ. მისი ბიძაშვილი, თეიმურაზ მამუკას ძე, თურქეთს გაქცეულიყო და ხონთარისათვის ეცნობებინა; იმერეთი დალაშქრეთ, სოლომონი ჩამოადგეთ, ტახტზე მე დამსვით და ტყვის სყიდვასაც აღვადგენ, ხარკსაც მუდმივად მოგართმევთ და, თუ თქვენ მიბრძანებთ, იმერეთს სულსაც ამოვართმევო.

სულთანმა მუსტაფამ იმერეთის დალაშქრა და სოლომონის განადგურება ბრძანა.

1760 წლის გაზაფხულზე ოცი ათასიანი თურქული მხედრობა შემოიჭრა იმერეთს. მოუძღოდა სერასქერი მოლა-აბდულა ფაშა. მიეგება სოლომონ მეფე ხუთი ათასი მეომრით.

სძლიეს ქართველებმა რიცხვმრავალ მტერს.

მრავალი გასწყვიტეს, მრავალი დაატყვევეს. მოლა-აბდულამ მცირეთა თანხლებით გაასწრო სიკვდილს.

მომდევნო 1761 წელს მეორედ შემოიჭრნენ ოსმალები იმერეთში.

ისევ მიეგება სოლომონი. ისევ გასწყვიტეს და გააქციეს ქართველებმა მოსისხარნი.

ხონთარმა მუსტაფამ იბრეჰიმ არზრუმის ფაშად გადაიყვანა და ახალციხის გამგებლად ისევ ხასან ფაშა აღადგინა.

1763 წლის იანვარში მესამედ წამოემართნენ თურქნი იმერეთისკენ.

ცამეტი ათას მეომარს მოუძღოდა არზრუმის ფაშა იბრეჰიმი ორ ნაკადად მოთქარუნობდნენ.

სოლომონი მტერს მოეჩვენა და გაუჩინარდა.

იბრეჰიმ ფაშამ იმერთა უკუქცევა დაიჭერა და გულდანდობილად წამოვიდა ქვეყნის სიღრმეში.

გზაზედ საბეკას ციხე აიღეს და შემოგარენი გაძარცვეს.

უეცრად დაეცა თავს სოლომონი გათამამებულ მტერს.

ხუთი ათასი ქართველი ეკვეთა ცამეტ ათას ოსმალოს.

მწარედ დამარცხდნენ ისევ ოსმალნი.

თოვლიანი ბრძოლის ველი სისხლით შეიღება და გვამებით დაიხრება.

ახალციხის გზას მიაშურეს სიკვდილს გადარჩენილმა და შიშით ატანილმა ოსმალოებმა.

გამოედევნენ ქართველები და კვლავ მრავალი დახოცეს თოვლით და შიმშილით მუხლმოკვეთილი მოსისხლენი.

გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ თურქული დროშები, ცხენები, საჭურველნი, ხმები დაირბა აზიასა და ევროპაში; სოლომონ მეფეს თურქებთან ბრძოლაში ერეკლე მეფე და მისი მეგობარი რუსი ოფიცერები ეხმარებოდნენო...

იმ წლის შემოდგომაზე ისევ წამოემართნენ თურქები იმერეთისკენ.

ამჯერად ახალციხე-ბორჯომ-კორბოულით აპირებდნენ ზემო იმერეთს ჩასვლას. მაგრამ ერეკლე მეფე გადაუდგა ხმალზე ხელდადებული, — არც ქართლში შემოიჭრებოთ და არც იმერეთისაკენ გაგატარებთო, — მკაცრად ბრძანა პატარა კანმა.

თურქები თურქეთს გაბრუნდნენ გაწბილებულნი.

სულთანს მომავალი წლისთვის შეუდგა ახალი, „გადამწყვეტი“ ლაშქრობის სამზადისს.

„დიდი და პატარა საქართველო“ (იმერეთი და ქართლ-კახეთი) ერთად უნდა მოგსპო და გავანადგუროო, — იქადინდა ოსმალების ფაღიშაბი.

ცოტა რომ ჩაწყნარდა, მუსტაფა ხონთარმა ერეკლე მეფეს ელჩი გამოუგზავნა

და დამუქრა: იმერეთს რომ ფარულად ეხმარები, გიჯობს, ხელი აიღო, თორემ იმერეთი კი არა, იქნებ შენი ქვეყანაც დაჰპარგო.

ერეკლემ ტყვიასავით ატაკა პასუხი: ეგ მუქარა უკანვე მიირთვით და, თუ ომს ინებებთ, არც ჩვენ დაგხვდებით ჯაბნებო.

რუსეთის სტამბოლელი ელჩი ჩაერია და ხონთქარს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე ხელი ააღებინა.

იმერეთის განადგურება კი ისევ „მთავარ საკითხად“ ჩარჩა ოსმალეთის სახანლის კარზე.

1764 წლის გაზაფხულზე არზრუმში თავი მოიყარეს იმერეთს მოლაშქრე ჯარებმა: არა საფაშოს მხედრობანი — არზრუმის, ახალციხის, ქანეთის, ამასიის, თოკათის, ტრაპიზონის, ბაიაზეთისა და დიარბექირის საფაშოებისა.

სულ — ასი ათასი მეომარი.

მთავარსარდალი — ახალციხის ბატონი, ხასან ფაშა.

გვერდით ედგა იმერეთის „კანონიერი“ ტახტის მემკვიდრე — თეიმურაზ მამუკას ძე.

1765 წლის გაზაფხულზე აწვავდა და წამოწვავდა ოსმალური ურდო. საქართველოსკენ.

ჯერ გურიაში შემოიჭრნენ ცეცხლით და რკინით.

ბერიძის ციხესთან ბევრი სისხლი ადინეს გურიელებმა ოსმალთა ურჩხულს. მაგრამ მაინც თავისი გაიტანა ხასანმა, მამია IV გურიელი ჩამოაგდო და გურიის მთავრად მისი ძმა, გიორგი დანიშნა (გიორგი V გურიელი).

ურთიერთ უნდობლობამ და ურთიერთისგან განკერძოებულობამ ისევ დაღუპა დასავლეთ საქართველო. გურია მარტო შერჩა მტერს. სამეგრელოს მთავარს, კაცია დადიანს, ხასან ფაშამ დახმარება სთხოვა „საერთო მტრის“ — გურიელის წინააღმდეგ ბრძოლაში. დადიანი ნამდვილ მტერს ზეუშინდა და თურქთა მბრძანებლობა უხმოდ მიიღო. მან ჯერ სურსათი გაუგზავნა ოსმალთა ჯარებს, მერე გამოსაწამებლად ჩაიყენა ყველა, უკლებლივ, სამეგრელოში.

1766 წელს იმერეთს შემოესივნენ ოსმალი.

ხასან ფაშასა და თეიმურაზ მამუკას ძეს მაშინვე ეახლნენ და ეყმენ სოლომონ „ხალხოსანის“ მოძულე თავადები და ტყვეობით ვაჭრობის მოტრფიალე ერისწყვეულნი. თურქებმა ხელთ იგდეს ქვემო იმერეთი, საჩინო, საბეკას ციხე.

სვერის ციხე დაუხვდა მედგრად. მაგრამ სვერიც დაეცა, ერთოვანი თავგანწირული ბრძოლის შემდგომ.

თურქები ქუთათისში შემოვიდნენ და თეიმურაზ მამუკას ძე იმერეთის მეფედ გამოაცხადეს.

მოღალატე თავადებმა თავისი უღირსი ხელრთვით დაადასტურეს ახლად გამომცხვარი მეფუკის „კანონიერი მეფობა“.

სოლომონის დამხობა და თეიმურაზის გამეფება სცნეს: კაცია დადიანმა, გიორგი გურიელმა, როსტომ რაჭის ერისთავმა და მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა.

როსტომ ერისთავის ასული ცოლად ჰყავდა თეიმურაზს. ამდენად, „დიდ სიამარს“ გამორჩევით უნდა გამოედო თავი სამეფო ტახტზე აღზევებული სიძისათვის.

მაგრამ სანამ სოლომონ პირველი ფეხზე იდგა და თავისუფლების ჰაერით სუნთქავდა, მანამ თურქებისა და მათი თოჯინა-მეფისათვის ყოველივე „მიღწევა“ და „გამარჯვება“ სავსებით პირობითი და უნიადგო იყო.

სოლომონი ზემო იმერეთს, მოდინახეს ციხე-სიმაგრეში შეიფარეს ძმებმა, ქაინოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა.

იქიდან ჩრდილო კავკასიაში მდგარ რუსულ სარდლობას დახმარებას ეაჭებოდა

სოლომონი. ქაიხოსრო წერეთელი ყიზლარის კომენდანტთან გაგზავნა თხოვნით — თუ
თურქები დამამარცხებენ, რუსეთში მომეცით თავშესაფარიო.

მეფემ პასუხი ვერ მიიღო — ვერც კარგად, ვერც ავად.

მაინც არ მოეშვა სოლომონი. ახლა თურქეთის ხელისუფლებასთან შესარიგებელ
შუამდგომლობას სთხოვდა ყიზლარის გულდრკუ კომენდანტს: თურქებმა სამეფო-
დამიბრუნონო, ტყვეების დატაცებაზე ხელი აიღონ და ხარკის აღება იკმარონო.

არც ამ თხოვნაზე მიუღია პასუხი სოლომონს.

მაგრამ სოლომონი მაინც სოლომონობდა.

ხალხი თავის სათაყვანო მეფეს ერთი წუთითაც არ იფიწყებდა, მის დაძაბილზე
სალაშქროდ იკაზმებოდა, თეიმურაზის „მეფობას“ მეფობად არ აგდეშდა.

სოლომონმა თარეშული ომი გაუმართა თურქებს.

თურქი მეომრები ფეხის გამოდგმას ველარ ბედავდნენ ციხეებიდან.

ყოველი საფრიდან, სევიდან, ბუჩქნარიდან, კლდიდან და ფლატედან შურისმგებელი
„სოლომონელის“ თვალი და ნძალი ელავდა.

ძვირი უჭდებოდათ თურქებს იმერეთს ლაშქრობა. მარტო 1765 წელს ქართულ
მიწა-წყალზე დაშპრობლებს 1200 ქესა (360 ათასი მანეთი) დაეხარჯათ.

სოლომონი კი ვერ დაიჭირეს.

ვერც ნეფობა წაართვეს.

ვერც ხალხი ჩამოაშორეს...

1766 წელს ხასან ფაშა ახალციხეს გაბრუნდა.

იმერეთში ოთხი ათასი მეომრით დატოვა ჰაჯი-ალი-ბეგი, წარმომავლობით ქანი—
ქართველი. ამათ ხარკი უნდა ეკრიფათ და თეიმურაზის უმწეო ხელმწიფობა როგო-
რმე შეენახათ.

ოსმალთა მთავარი ძალები რომ იმერეთიდან გადაქარდა, სოლომონი მაშინვე აღ-
ჭდა საომარ უნაგირზე.

„იმერნი შეკრბნენ წინაშე მეფისა და უყვეს ზედა დასხმაი ოსმალთა მრავალ-
გზის“.

ორასი ლეკიც დაიჭირავა მეფემ, ყოველ მეომარს თვითრად ორ-ორ თუმანს
აძლევდა.

სულ მალე მთელი იმერეთი ისევ სოლომონს ეკუთვნოდა.

თეიმურაზი ისევ თურქებთან გაიქცა.

სოლომონი უხვად აჯილდოებდა ერთგულ თანამებრძოლებს.

როსაფ მაჭავარიანს თურქთა ჟლეტისთვის ყმა-მამული უბოძა.

ამირან და პაატელა მესხებს საურის გადასახადი ამოუკვეთა.

ქაიხოსრო წერეთელს, „ნამეტნავად თავდადებულ“ ქვეშევრდომს, უშვილძი-
როდ გადაგებულ ძმათა — პაპუნასა და ქველის ნაქონი ყმა-მამული მიუბოძა.

გიორგი აბდუშელიშვილი „თათრობიდან“ გამოიხსნა, თვითონ მეფე ნათლიად
დაუდგა, ქრისტიანობაზე მოაქცია და სოფელი შალაური მინცა, თავისი მოსახლეობით.

1766 წლის გაზაფხულზე სულთანმა მუსტაფა მესამემ ისევ შეშქარა ჯარები
ახალციხის, არზრუმის, ტრაპიზონის, დიარბექირის, ჭანეთის, ალბანეთის და ყარაბაღი-
ის საფაშოებისა.

ბევრი მოხალისე მაწანწალაც შეუერთდა საქართველოს წასახდენად აღძრულ
მხედრობას.

სულ ორმოცდახუთი ათასი მეომარი მოთქარუნობდა ნახევარმთვაროსანი
დროშების ქვეშ.

ოცდაათი ათასი ოქრო გაედო ამ ლაშქრობისათვის სტამბოლის ხაზინას.

აღბათ, ამ ჭარბების შეყრის ამბავს რომ შეიტყობს, სოლომონი შეშინდება და შეირიგებას მოგვთხოვსო, — უთქვამთ ფადიშაჰის კარზე.

მაგრამ სოლომონმა, შერიგების თხოვნა კი არა, უფრო გაამძაფრა ბრძოლა იმერეთში შემორჩენილი თურქების გასანადგურებლად.

მაღლე საცნაური გახდა, რომ, თურმე, ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლება დამდგარიყო სოლომონთან შერიგების გუნებაზე. ის ჭარბები კი, თურმე, იმიტომ შეეყარა ხონთქარს, მისი ქვეყნის „პრესტიჟი რომ არ შელახულიყო“ და ზავიც ისე დადებულყო, „გარეგნულად მაინც პორტასთვის საპატიო ყოფილიყო.“

ერთი სიტყვით, ოსმალეთი იმერეთს სამშვიდობო მაგიდასთან იწვევდა.

შუამავლად ორივე მხარემ მეფე ერეკლე მეორე აირჩია.

იმერთა ელჩობას სოლომონ მეფის ძმა, იოსებ გელათის მიტროპოლიტი მეთაურობდა.

1766 წელს სტამბოლს ჩავიდნენ სოლომონისა და ერეკლეს ელჩები.

მოლაპარაკება ერთი წელიწადი გაგრძელდა. ზავი ორივე მხარემ 1767 წელს დაამტკიცა.

ხოლო, თვითონ ზავი ასეთი გახლდათ: იმერეთი აღარ არის თურქეთის ყმა; იგი შედის მხოლოდ თურქეთის „მფარველობაში“; თურქეთის მთავრობა მეფედ სცნობს ისევ სოლომონს; იმერეთის ხელმწიფეს, თავისი ერთგულების გამოსახატავად, ოსმალეთის ხონთქარისათვის ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა სამოცი ქალი, იმ „შეღავათით“, რომ სავალდებულო აღარ იყო მაინცა და მაინც ქართველი ქალები ყოფილიყვნენ.

ერთი სიტყვაც არ დამრულა ტყვეთა სყიდვის აკრძალვაზე თუ აღდგენაზე.

ვევლას გაუკვირდა ოსმალეთის ხელმწიფის ეგზომი დათმობანი იმერეთის მეფის წინაშე.

რუსები კი ამბობდნენ: ოსმალები ამ დამამცირებელ ზავს იმიტომ დათანხმდნენ, რომ იმერეთს ველარ მოერივნენ და „ძიულებული შეიქნენ“, როგორმე ბოლო მოეღოთ ამ „სამარცხვინო, თავისმომჭრელი, გაუთავებელი ომისათვისო“.

სულთანმა მუსტაფამ ჭარბი დაშალა...

1767 წელსვე, ზავის დადებიდან ორი კვირის თავზე, ახალციხის ფაშამ ხასანმა სოლომონს შემოუთვალა: პირობისამებრ, სამოცი ქალი გვეკუთვნის და გამოგზავნას ნულარ დააყოვნებო.

რა ქალი, რის ქალიო, — იყვირა სოლომონმა — ქალების გაგზავნას ხონთქარს როგორ შევპირდებოდით, როცა სწორედ მაგნიარი ხარკის აღკვეთისათვის ვიბრძვი და ვიწვი მთელი ჩემი წუთისოფელიო!

ხასან ფაშამ შეატყობინა მუსტაფა ხონთქარს სოლომონის შემონათვალი.

ლამის კკუაზე შეცდა ბრაზისაგან ხონთქარი.

მაშ, მოუტყუებია ცბიერ გურჯს ოსმალეთის ფადიშაჰი!

გამწარებულმა მუსტაფამ ხასანი ისევ ჩამოაგდო და ახალციხის ფაშად სულეიმანმა ჩაყელი დანიშნა.

ხოლო სოლომონს „წყრომის წერილი“ გამოუგზავნა.

სოლომონმა წაიკითხა, ამრეწით გაიცინა და შორს მოისროლა წერილი იგი.

„რა ვუპასუხო ხონთქარს?“ — ჰკითხა პაპუნა წერეთელმა.

„არაფერი“, — მშვიდად ბრძანა მეფემ და ხმლის ვადა მოისინჯა.



არსენ ფონსუას

ეს ორი თვეა, ბავე დამუნჯდა
და ეს სიჩუმე ძვირად დამიჯდა,
მუზა წყალობას აღარ აპირებს,
ველარც სიბერე გადმოვიბირე,
ველარ მოვსტაცე ეშხი ყვავილებს,
სულ დავიდვარე, დავიყვავილე...
ეს ორი თვეა, გაშრა ბაგენი,
აბრილის ფერებს ვერ მივაგენი,
არ მეყურება ჭექა-ქუხილი,
უნაყოფობის მოდგა წუხილი,
ვერ ავაგლიჯე ღუმილს ურდული,
ვწვალთ, ვწურწურებ ძილგაქურდული,
გადაყოლილმა წვრილმან დღიურებს,
ოცნება ველარ გავამზიურე.
თუ გამერია თაფლში იელი
და თავს გავუხდი გადამთიელი.
ჯაი, ოუ დაცხრა ლექსის სათავე,
ყველა სათქმელი ამოვათავე...
ოცნების ყანა ველარ დავხანი,
ვერ გავიგონე ლექსის ჯახანი,
ნუთუ წამერთო მშობლის ღირსება,
სული სიმღერით არ აივსება?
ვერ დავაბიე დაუტევარი,
სიტყვა ვერ ვლესე ვით სატევარი,
და რომ მეგონა დავრჩი ნაცარი,
მაშინ შეირხა ლექსის ფაცერი,
ზეშთაგონებამ ოდეს გამთელა,
ლექსიც ამინთო წმინდა სანთელად...

ქორნილში რომ არ დავკავიქე...

მოგონებათა წიგნიდან

1918 წელია. ივნისი. მამა გარდამეცვალა. მალე უმცროსი ძმაც. უფროს ძმებს თავიანთი ოჯახები ჰქონდათ და ცალკე ცხოვრობდნენ.

მშობლების ოჯახში მხოლოდ მე და დედაჩემი დავრჩით. იძულებული ვარ, სემინარია დავტოვო და სახლს მივხედო, სხვა გამოსავალი არ არის.

ანდა ესეც, კაცმა რომ თქვას, ვერაფერი გამოსავალია. ოჯახს კი ვუვლი, ყანაშიც ვმუშაობ, მაგრამ ამ მუშაობის ნაყოფი მომავლის საქმეა. შემოდგომამდე, როცა სიმინდის შერჩევა, გამოტეხვა და დაფქვა შეიძლება, მთელი ოთხი თვეა. მამის და ძმის დაკრძალვამ მხოლოდ ვალი და წუხილი დავეიტოვა. ვისი რა და რამდენი მმართვებს, არც ვიცი. ჭიბეც ცარიელია და ბელელიც. სიმინდის ყიდვაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ანდა იმდენი ფული სადაა, რომ ყიდვა სცადო, როცა ერთი ცალი კვერცხი მილიონ ნანევარი მანეთი ფასობს!

ძმებს თავისთვის არა აქვთ და მე რას მომცემენ, თუმცა შესანიშნავი ძმობა გვაქვს. მასწავლებლის თავისუფალი აღგილი აღმოჩნდა, ვითხოვე და დაიმედებულიც ვიყავი, მომცემდნენ, რადგან სკოლებში ჩემზე ნაკლები ცენზის მქონენი მუშაობდნენ. უარი მითხრეს: მენშევიკი არ ვიყავი!

...საცოლედ დანიშნული გყავს მამის სიცოცხლეშივე, სასიამაოო ხოსო ჩხაიძე ხურო, მამასახლისად ნამყოფი, საკმაოდ შეძლებული, თავმოწონე გლეხი იყო და აცანაში სოფლის ერთ-ერთ თავკაცად ითვლებოდა. იგი ჩემს სიძობას ერთხანს კიდევაც თაკილობდა, ქალი მალაზონიას მივათხოვო და ისიც მამათხოი?! მაგრამ ოჯახში ჩემი მომხრე უფრო მეტი აღმოჩნდა და გავიმარჯვეთ.

ახლა, როცა ოჯახის უფროსობა გამოუცდელ სასიძოს დარჩა, ბუნებრივია, საცოლის ჭირისუფალიც შეწუნდა.

და ერთ დღეს თავის განუყრელ ლურჯაზე ამხედრებული ხოსო ჩხაიძე მოულოდნელად მეწვია დაწუნებულ მამათხო.

— შეილო, — მითხრა მან მშობლიური დაჟვავებით, — ქალი დანიშნული გყავს. იგი ისეთი ხასიათისაა, რომ შენს გარდა სხვას აღარ გაჰყვება. მით უმეტეს, რომ ნიშანი მიღებულია აქვს და ეს ქვეყანამ იცის... მერე კიდევ, შენ სწორედ ახლა გჭირდება ცოლი, მეგობარი, მანუგეშებელი და დამხმარე.

დედაჩემმა ცრემლი ვერ შეიკავა, სიტყვა ვერ თქვა, მაგრამ თავი უარის ნიშნად გადააქანა.

— მესმის თქვენი გულისტკივილი, ჩემო დაო და ბატონო, — ჩვეული სიდინჯით განაგრძო პატივცემულმა ხოსომ, — ამ დახარჯულ ოჯახს ახლა ქორწილისა და ზედმეტი ცერემონიების თავი არა აქვს... მაგრამ ეს არცაა საჭირო. ათი-თხუთმეტი კაცის ხარჯი უვლას შეგვიძლია გავიღოთ და საქმისთვისაც ასე აჯობებს... დიდი სტუმრობა თუ გინდათ, ეს მერეც შეიძლება, ოღონდ ჭერ-ჭერობით, სანამ წელში გავიმართებოდეთ, ასე

გამოვიდეთ. მერე ჩემი შვილის იმედი მაქვს. იგი ხელს თუ შეუწყობს ოჯახს, თორემ არაფრით არ შეუშლის.

რა თქმა უნდა, ჩვენ მადლობა მოვასხენეთ ხოსოს, და ქორწინება შედგა.

მაგრამ ოჯახს რომ ვალის მეტი არაფერი გააჩნია? საფქვილეში კი მხოლოდ ორი-სამი კოთხო ფქვილია. დიდი-დიდი, ერთი კვირა გაგვიტანოს... ჩვენ კიდეც ჰო, მაგრამ ამ შეძლებული ოჯახიდან გამოყვანილ ქალს უქმელობაზე უფრო დარდი და ფიქრი მოკლავს!

— ეჰ, მამა! შენ რომ ცოცხალი იყო...^რ

ღამით არ მძინავს. ფიქრები მესევს. დედაჩემიც ხშირად ინაცვლებს გვერდს. ახალ-შერთულმა ცოლმა კი ჭერ არც იცის ჩენი ჯიბის, კუჭისა და ბეღლის ასავალ-დასავალი. დილიდანვე დავდივართ მე და დედაჩემი. სადაც გვიმედობოდა, ყველგან უარი გვითხრებს.

შევაწუხოთ წვრილშვილიანი ძმები? რა სინდისით? მერე მათ უჩვენოდაც იციან ჩვენი ავლადიდება. რომ შეეძლოთ, ისედაც დაგვეხმარებოდნენ.

უკანასკნელი კოთხო დარჩა საფქვილეში. შეიძლება ეს ორ დღეზე გავუნაწილოთ ცოლს, ჩვენ უმადობა ან სხვა რამე მოვიგონოთ. მაგრამ როდემდე?

ერთადერთი გამოსავალია: ცოლოურს თუ ვასოცა შევლას. უმჯეფლია, დაგვეხმარებიან... მაგრამ როგორ ვუთხარათ! ეს ჩემ ღონეს აღემატება.

გამოვუტყდე ცოლს? მაინც რაღაცას თვითონაც უნდა გრძნობდეს, ისე ეტყობა... არადა, ტენიში მირტყას ერთი მოკონება: როცა მაღალად ცხენზე შევსვი, სიდედრმა, სულგანათლებულმა, სათნო და მოყვარულმა ადამიანმა, ძლივს გასაგონი ხმის კანკალით და თვალზე მომდგარი ცრემლით განანდო: — შეილა, ჰამაზე რჩევა და ხვეწნა უნდა... შენ იცოდე ესო.

მეც ხელი მოვსვიე და ხუმრობით ვუთხარი: თუკი იშოვის, ჰამა არ გაუჭირდება-მეთქი.

სიდედრმა გაიცინა და გადამოცნა, მოსწრებული სიტყვა გქონია შვილოო, და მკლავგამოდებულმა გამომაცილა ცხენამდე.

რას მიხვდებოდა იგი ჩემს „ხუმრობას“!

ჰოდა, ახლა მიდი უთხარი, მაშინ არ მიხუმრია-თქვა! არავითარ შემთხვევაში! თავს მოვიკლავ და მაგას ვერ ვიტყვი.

და რადგან სხვა საშველი არაა, მივწერო უნდა... მაგრამ ვის? სიდედრს, სიმამრს თუ ცოლისძმებს?

დედას გავანდე ჩემი აზრი.

— თავი მოგვეჭრება, ბიჭო, მარა მოქარგე შენებურად... ხუმრობაც გაურიე... ტყუილიც...

საღამოს თავი დავიმართოვე ჩემი ორთვალი, ჭერ კიდეც დაუმთავრებელი ოდის წინა ოთახში. ვწერ. ვხევ. ვფიქრობ. სათაურს ვუცვლი. გადავჩხრიკე... „ჩემო საყვარელო მოყვრებო. უნდა შეგაწუხოთ“. ვხევ. „შეწუხებით“ როგორ დავიწყო! ეგება გული გაუსკდეთ მოხუცებს და ბოლომდე ვეღარც მიაღწიონ... მერე კუბო, სანთელი, გვირგვინი, წასაბურავი... ვფიქრობ... აბა, „რა უნდა გახაროთ: შიმშილით ვისოცებით-მეთქი?“ და გამახსენდა ერთი ძველი ანეკდოტი, შვილს რომ დედის სიკვდილი აცნობეს დღეებით: „ყველანი კარგად ვართ. სულ მზიანი დარებიან. დედაშენს ვასაფლავებთ კვირას ხუთ საათზე“... და ძალაუნებურად გამეცინა... დაწერილიც დავხეი და საწერი ქაღალდიც...

არაფერსაც არ ვწერ... რომელიმე უისტიბრო მეზობელს ეთხოვ და გავაგზავნი. როგორც უნდა, ისე შეალამაზოს და იტესოს თავი...

— „ესეც გამოსავალი!“ — ხმამაღლა და სისარულით წამოვიძახე მე.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა? — ოთაში შემოიღობარაჲა დედაჩემმა.

ჩემი გეგმა გავაცანი და ლოგინს მივაშურე.

დილით დედაჩემსაც ავასწარი. აივანზე გავედი, ოდის პირდაპირ ბელეღის გვედგას. შევხედე, ბელღის კარი ღრიჭედაა მიხურული. დავეჭვიდი. ჩვეულგებრივად ლობიოთი, ფქვილითა და სხვა სურსათით სავსე აღარ ჩეგულდებოდა და მოპარვისაც არ შეეშინებია, მაგრამ დაუკეტავს არასოდეს არ ეტოვებოდა. ახლა ღიაა! რატომღაც მაინც შემეშინდა.

ფეხბარეფით მივუახლოვდი. წვეჭვრიტე: არავინაა. უფრო გამოვადე კარი და... ტომარი!.. ფქვილით სავსე!.. საიდან? როგორ?

გაოგნებული, ფიქრით და ეპვით აფორიაქებული, წავედი ოღაშა. დედაც ამდგარიყო ამასობაში და კიბესთან შემხვდა.

— დედა, ეს რაა? — ჩუმაღ ვეკითხები, რომ ცოლმა არ გაიგონოს.

— რა იყო, ბიჭო? — მასაც შიში გადაედო უნებურად.

— წუხელ ხელა არ დაგიკეტია?

— როგორ არა, მარა დაუკეტავსაც რა უჭირს. ვინ რას წაიღებს? — რაღაც ნუგეშით თქვა დედა.

— წაიღებს არა... მთელი ტომარი ფქვილი ჩამოუდგამს ვიღაცას!

— დიდება შენდა, უფალო... — პირჭვარი გადიწერა, — არ გადამრიო, ბიჭო!.. ქურდი იქნებოდა...

— მერე ქურდს მოაქვს თუ მიაქვს?!

— არა, ბიჭო... შეიძლება, ქურდს მოჰქონდა წიხქვილზე მოპარული... ჩვენს ეზოზე გადმოაპირდაპირა... ვიღაც მოელანდა... სოჲ იცი, ქურდს ეშინია, სულის კარი მოსწია, უბოქლომოდ რომ იყო, გააღო და შიგ ღამალა... აღმათ, მეწე მოაკითხავს და წაიღებს.

— ასეც შეიძლება, მაგრამ იქნებ ვინმემ მტრობით მოგვიწყუო, ქურდობას დასწამებენო... ახლა ხშირია წიხქვილების გატეხვა და ფქვილის ქურდობა!..

ცოლმაც გაიგო ეს შემთხვევა, მაგრამ ახსნა ვერც მან უპოვა. მისი წინადადებით, ახლო მეზობლებს გავანდეთ, მაგრამ ქურდი არ აღმოჩნდა.

ერთმა მეზობელმა მითხრა: ყველამ ვიცით, რომ ქურდი არა ხარ, არ მოგიპარავს და არც დაგიფარავს... ღმერთს მოუცია და ნუ გეშინია, ჭამეო. ჩვენ აგერ ვართ, თუ სალაპარაკო გახდაო.

ეს მეზობელი იყო სალამპრე როყვა...

ჩვენც შევიტყბეთ და თავი გავიტანეთ, ძმებმაც გაიხარეს, მაგრამ გვაწუხებდა, რომ საიდუმლოებას ფარდა ვერ ავსადეთ, ვერ გავიგეთ რა მოხდა.

შემოდგომა დაილია. სოფელმა სული მოითქვა. უკვე ახალ სიშინდს ახმოზღნენ. შიმშილობა შეწყდა. ქურდის ხსენებამ იკლო, თითქმის აღარც გვახსოვდა...

ერთ საღამოს მეზობელი და ახლო ნათესავი ივანე მაღაზონია მხიარული ღიმილით გვეწვია. სამფხნა სკამი თავისით დაიდგა, „ღაბრძანდი, ბატონო ივანეო“, თავის თავს უთხრა და დაჯდა. შინაური კაცი იყო. ცოტა ხნით მივიტყვადმოკითხვის შემდეგ ღიმილით მიუბრუნდა დედაჩემს:

— ეჰა, თუ ჭალი ხარ, ჩემი ტომარი მომიტანე, მეჩქარება.

— არ გადამრიო, კაცო... როდის გამოგართვი, რომ მოგიტანო?

— ბატონო, ტომარს რაღას მერჩით!

ტომრის ხსენებაზე ყური ვცქვიტე, გულმა რეჩხი მიყო.

— რა ტომარია, ივანე? — არ ეშვებოდა დედაჩემი.

— ბიჭო, ტომარიც სომ არ შემოგეჭამათ? — სიცოლით თქვა მან..

— მაშ, შენი მოტანილი იყო ის ფქვილი?! — თითქო ერთხმად შევიძახეთ. ჭა-

დღეში იკივლეს, მე ენა ღამება. მივცვივლით ივანეს. ატყდა ერთი კოცნა და ვაიუშვე-
ლებელი.

როცა პირველი მღელვარება შეწყდა, ივანეს მივუბრუნდი:

— შე კაცო, აშკარად მოგეცა... ეს ხომ ერთგვარი ქურდოაა!

— ქურდოაა თქვენ ჩაიღინეთ, მე არა... ერთ ფუტს რომ იძლევი, მეორე ფუთი
რატომ დამაკელით? წელი მომტება მოტანამ...

— ვაიმე, ივანე, შეილო, ჩვენ ხომ არ აგვიწონია, თვალის ზომით ვთქვით... თვა-
ლა, ორი ფუთი თუ იყო, ოთხად გადაგხდით, შენი ჭირიმე!

— ახლა კარგი, ჩემო ივანე. ქურდი აღმოჩენილია და სასჯელსაც გამოვნახავთ, —
მეგობრე მე. — მაგრამ რატომ აშკარად არ მოგვეცი? მაღლობასაც გეტყუდით და
ზურგითაც არ მოგატანებდით... ნაბარევი ხომ არ გქონდა?

— ნახევრად ნაბარევი კი იყო, — თქვა ივანემ და მორთმეული არაყი თავისით
ღამისა.

— რა უცნაური კაცი ხარ! ეს „ნახევრად“ რაღა? კიდეც გამოცანა?!

— არც ესაა ძნელი მისახვედრი: შინაურებისათვისაც არ გამიმუდავნებია ჯერ. მარ-
თალია, ოჯახის უფროსი მე ვარ. მაგრამ ოჯახი ჭრელია — ცოლი, შვილები, — შეი-
ძლება რომელიმეს დამეძღვებია... და ასეთ ლუკმას რა გემო აქვს?

მერე კიდეც. რამდენი მეზობელი გავაწბილე. ზარმაცი კაცი შურიანი და ექვიანია.
ჩვენ ერთი კოთხი არ გვასესხა და იმას ორი ფუთი თავისი ზურგით მიუტანაო...
რომელი წითელი კვერცხი მყავს იგიო, იტყოდნენ. — დაასკვნა ივანემ. ჭიქას დასწვდა,
ათი ქალ-ვაჟი გვისურვა და არაყი გადაჰკრა.

ახლა მე დავუსხი მეორე ჭიქა და ბოდიში მოვუხადე, ქორწილზე ვერ დაგპატი-
ვდით-მეთქი.


— სიამოვნებით დავლევ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს. რაც შეეხება ქორ-
წილს, ნამეტანი ვიცი... გადაჰარბებული არ ვარგა... ისე, ნუ გეწყინება და, გულს კი
დამაყლდა...

— და მაინც ამხელა პატივი გვეცით? — ველარ მოითმინა ჩემმა მეუღლემ.

— არა უშავს, ჩემო საყვარელო რძალო... გაამოთ! ეს თქვენი და თქვენი მომავალი
შვილების სადღეგრძელო იყოს! — თქვა ივანემ, ყველას თვალი მოგვავლო, თვალდა-
ზრუნველად დასცალა ჭიქა და წამოდგა. მერე ტომარი დაკეცა, ილიაში ამოიღო, ეზო-
ში გავიდა და გვითხრა:

— მე ქორწილზე არაფერი მომილოცავს. ეს ფქვილი მოსალოცად ჩამითვალეთ და
გადახდაზე რომ ილაპარაკოთ, ძალიან მეწყინება; იქნებ, კიდეცაა დაგემდუროთ! —
ჭიმკარი გაიხურა და წავიდა.

ასეთი იყო უაღრესად პატიოსანი მშრომელი გლეხი, ძველი ბოლშევიკი ივანე მა-
ლაშონია.





ღამეა, წვიმს...

ო, რა ზეპირიელად წვიმს...

ბალახმა გაიხარა ძირს,

სუნთქვა შემომესმა ხის,

ნადველი მომერია მზის,

ღამეა, წვიმს...

ე, რა ლოთიანად წვიმსო,

ბუხარს მიჯდომია გლეხი,

ფლოსტები დაუყრია ძირს...

ციცას ელოდება მამა,

როდის შემოვაო შინ...

ღამეა, წვიმს...

ო, რა გემრიელად წვიმს...

კუზიან ორღობეში გზის,

მეორე მხარეზე ჩემთან,

ნეზვიან ალაგებზე ზის,

ელოდებიან ვისაც,

მისი ალერსი მღლის,

ღამეა, წვიმს...

ო, რა უცნაურად წვიმს...

ლოდინი არ არისო ცუდი,

მერწურწულება ის,

არ შემოვალო შენთან

თვალის დასაფსებად მტრის...

გაოცდებოდი, ალბათ,

შეჭყვარებიხარო ვის?..

მე კი ქალის ჟინი მკლავდა,

შენ თუ გამიფრთხობდი ძილს...

ღამეა... წვიმს...

ა. კახეშტოვას

ურმის ჭრიალზე ისეთი სინაზით შეკრთა აკაცია...

მე გახსენება მომინდა შენი.

ჯოკონდას

თვალეში უნდა გიცქიროს ყოველმან

და არა ტუჩებში,

მონღომებია ვისაც ახსნა ღიმილის შენის...

მთვარევ,


ჩემი გულის ანარეკლო,
ციცქნა... გაღუელო მთვარევ...
შენ, ალბათ, საფლავებს დასცქერი ახლა...

მეც მესმის, მთვარევ, დუმილის ენა...
ფოსფორის შუქი თუ გწვდება შენა,
მამის საფლავიდან ავარდნილი,
მიტხარი ბარემ...

მთვარევ,
შიშისაგან დაზაფრულო,
დარდით გატეხილო, მთვარევ..
შენსას ვგრძნობ, ალბათ, მარტოობის მწუხარე
მკლავებს...

ობლის სიზმარავით გრძელია წამები...
წვიმს... ქარიშხლებით განაწამები
რად ნებდებიან სიკვდილს მამები,
მდუმარე სიკვდილს,
მთვარევ...
არ იტყვი?!

შე მიყვარს შენი ჩემი ერთგულება...
საფლავთ მცველობა.



თ ა ა

ასალი რომანის ფრაგმენტი

თავდაპირველად თეამ მოიწყინა, არ ჭამდა, ოთახში გავლა ეძნელებოდა, ხელს არაფერს ჰკიდებდა... გახდა, თვალეები ამოულამდა და რბილი, სავსე ლოყები ჩაუცვივდა. ეგონა, ოთახში თუ გაივლიდა, ან ქუჩაში გაიხედავდა, ქვეყანა გაიგებდა. მხოლოდ მესამე დღეს ჩაი თავისი ხელით დაიხსნა, მარტო იყო და შეთამამდა. მერე ისევ ტახტზე დაჯდა ფეხმოკეცილი და თვალეზნაღვლიანი გამოიყურებოდა. იცოდა, თავი არ გამოე... ჩინებოდა, მაგრამ რა ელონა, ვისთვის გაემხილა?.. უცებ ატირდა და ტახტზე პირქვე ჩაემხო.

ეს იყო წამიერი თავდავიწყება, ქვითინებდა და თავისი არსებობა არ ახსოვდა. ქვითინში კლავდა თავის მეობასა და უიმედობას. ქვითინით რომ დაიღლებოდა, ხევდა შეუმსუბუქდებოდა, თითქმის მეორედ იშვაო, აღარაფერი აღარდებდა. მერე ცრემლიც შეაშრა, უნდოდა, მაგრამ ვერ ტიროდა, გარინდებული ეძლეოდა სულიერ ტანჯვას. ერჩინა ეტირა, რომ ფიქრი არ შემოჰარვოდა. ოთახში სიარულს მოჰყვებოდა, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მივიდოდა და ეგონა, ჩვილივით ფეხს ახლა იდგამდა. ასე შემოიარა მეორე, მესამე ოთახი, ხმა არავის გაუცია, ჩვეულებრივ დადის და არც ხინ... დისის ქენჯნას გრძნობს, თავად თუ არ იტყვის, არაფერიც არ მომხდარა... მერე ტახტზე ფეხმოკეცილი დაჯდა, შეპარვით შეათვალიერა ოთახის ყოველი კუთხეუმი. მაგიდაზე იდო ფული... თვალი ფულისკენ გაეჭვა. ჩით-ს თხელი კაბა, რომელსაც გულის... პირი შემოხეოდა, სხეულს ვერ უფარავდა, რამდენიმე დღეა, თმა არ დაეგარცხნა. ფული მაგიდაზე იდო... შეუძლია, კაბა იყიდოს, რაც მას სურს იყიდოს, თვალი ფულისკენ გაურბის. ნემსი და ძაფი ძლივს მიაგნო გარდერობის უჯრაში. კაბის გულისპირი ამოიკმისა.

ოთახში ღამეც მარტო იყო და დღეც. დავითის ფეხის ხმას რომ გაიგონებდა, ღამის გული მეკრდიდან ამოვარდნოდა. მისი ფეხის ხმა საიმედოც იყო და შემამფოთებელიც, დამაღვაც უნდოდა და მასთან შეხვედრაც.

ფული კი ისევ მაგიდაზე იდო...

ფანჯარასთან მივიდა. ქუჩაში გადახედვა შეეშინდა, ფარდა ოდნავ გასწია და, თითქმის მთელი ქალაქი უყურებსო, ისე გაიჭვრიტა. მზიანი დღე იყო, ცხელოდა, ხალხი ჩრდილს მიჰყვებოდა. ქალებს თხელი, ფერადი კაბები ეცვათ, კაცებს — თეთრი, ჭეშქრელა პერანგი. ბიჭები ქუჩის კუთხეში შეგროვილიყვნენ, ერთი კიბის საფეხურზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. თიას ტანში დაერულო, ინანა, ნეტა ფანჯარაში არ გადახეხებოდა და გამობრუნდა. საშინელმა თრთოლვამ აიტანა, ციებბიანვით აცანცახდა. რაღაც უხილავი, ჭერ შეუცნობი ძალა მოქმედებდა, და იგი ტახტზე უგონოდ მიეგდო. ვერ იტყოდა, რამდენხანს იყო ამ მდგომარეობაში, სხეული დამუხტოდა და რაღაცაბ ითხოვდა, რაღაც ამოძრავებდა, რაღაც აწვალებდა და აწამებდა. გონს რომ მოეგო,

გაფრთხილებული იყო, მისუსტებული, უღონო. ჯერ ასეთი რამ არ დამართია და შემინდა, რა უნდა იყო.

ერთხანს ტანტზე იჯდა კალთაში ხელგმარაწყობილი.

ოთახი, სადაც ტანტი იდგა, სასტუმრო იყო, გერმანული ავეჯით გაეწყობ, ჭერზე ბროლის სანთლებიანი ჭალი ეკიდა. ნეილონის ფოთლებიანი ფაფები მთელ სიგრძეზე ჩამოეშვათ. პარკეტის იატაკი ლაპლაპებდა. თემა ყურადღება ნივთებზე გადაიტანა. და-ნაბული სხეული სოფელა და იგრძნო, მთელი ეს სილამაზე თავისკენ იზიდავდა.

ფული ისევ მაგიდაზე იდო...

დავითის სამუშაო ოთახში შევიდა. ერთადერთ ფანჯარასთან, რომელიც ეზოში გადმოდი, საწერი მაგიდა იდგა. კედელს ორივე მხარეს, ჭერიდან იატაკამდე, წიგნების თაროები ფარავდა. საწერ მაგიდაზე რამდენიმე გადაშლილი წიგნი იდო. იქვე დაბალი მაგიდა იდგა და სავარძლები იყო შემოწყობილი. წიგნებს რომ მიაჩერდა, თავი დამცირებულად იგრძნო, თითქმის ეს წიგნები აშორიშორებდა სინამდვილეს. მან არ იცის ამ წიგნების საიდუმლოება. სახეზე ნაღველი გადაეფარა, გამობრუნდა და თავის ოთახში მაგიდასთან დაჯდა, უკან მიიხედა, თითქმის წიგნები ეძახდა... იგი ფრთხილად ფრთხილად ჰგავდა, რომელიც ცას მიჩერებია, მაგრამ ფრთების შერხევა არ ძალუძს.

ფულს თითი გაჰკრა.

„თე, აი ფული, — უთხრა დავითმა, — ნუ მოგერიდებ, აიღე, მაღაზია აქვეა, მეორე ქუჩის კუთხეში, იყიდე, რაც გაგიხარდება!“

„არა, არა!“

„ასე ხომ არ იქნება, სირცხვილია, ფული როცა გექნება, მაშინ მომეცი.“

თემა ხელი ფულისაკენ წაიღო და ზემოდან დააფარა. ჰოდა, სად გამოჩნდეს, გამო-საცვლელი არაფერი აქვს, ეტყვის, როგორც კი მუშაობას დაიწყებს, დაუბრუნებს. ფულს ხელი მოჰკიდა, გულს დაგა-ღუგი გაჰქონდა. ეს ხომ სხვისი ფულია?! ფულიანი ხელი შუბლზე მიიღო და თავი სინანულით გააქნია, არა, იგი ცუდი კაცი არ ჩანს, უპატრონო შეიფარა, იგი არ დამრანავს.

სარკესთან მივიდა, თმა ჩამოივარცხნა, შემუშებულმა თვალებმა შეაერთო ეს დღეის სარკეში არ ჩაუხედავს — ნაკვთები დამძიმებია, თვალები ამოღამებია. ვერ გაძლო სარკესთან, გამობრუნდა და ფული ჩამოიღო. გასაღები კარებში იყო, გარედან დაკეტა და კიბეზე რომ ჩაბოლდა, მუხლები მოეკვეთა. კიბის მოაჯირს მიეყრდნო. ვი-ღაც ზემო სართულზე გარეთ გამოვიდა, კარი ჩაკეტა და კიბეს დაჰყვა. თემა ძალა მოიკრიფა, თუ ჰკითხეს, აქ რატომ დგას?.. კიბე სირბილით ჩაიარა და ქუჩაში გაიჭრა. კუთხეში შექუჩიერებულმა ბიჭებმა თვალი დაატანეს.


— ვაჰ, ეს მესმის!...

— ეე... გოგონა!...

თემა მიხვდა, მას ეძახდნენ და მიწა გასკდომოდა, ერჩინა. სიმწრის ოფლში გაიღვარა. პირველსავე კუთხეში შეუხვია, მერე მოაგონდა, მაღაზია მეორე კუთხეში იყო. სიჭებბის თვალს რომ მიეფარა, შეება იგრძნო. დაბნეულობისგან ძლივს შენაშნა, რომ მაღაზიის წინ იდგა. გამყიდველი მისი ტოლი გოგო შეხვდა, თავაზიანად მიიღო.

— თქვენ ეს კაბა უფრო მოგიწდებათ, — უთხრა გამყიდველმა და ახალი კაბა გადმოუღო, — ფერიც კარგია!

— ჰო, ჰო, — მაშინაღუროდ დაეთანხმა თემა და სთხოვა, შეეხვია. მაღაზიიდან რომ გამოვიდა, კაბა მკერდზე ჰქონდა მიხუტებული. ოთახის კარი შენიღბიდან ჩაკეტა და სული მოიქცა, ეგონა შეუძლებელი შესძლო. ფანჯარასთან მიიჭრა — ბიჭები წასულიყვნენ. უცებ მთელი სხეული ისევ წაერთვა, დაურჯოლა და ტუჩები შეაცაცახა. ტანტზე ცერად ჩამოჯდა, მუთაქა ველარ გასწია, მიეგდო და რამდენიმე წუთს არ განძრუელა. მკერდზე მიკრული ნავაჭრი ტანტზე დადო და წამოდგა, ხედავდა, რაღაც ემართე-



სარკესთან მივიდა, თმა ჩამოივარცხნა, შეშუბებულია თვა-
ლებზე შეაკრთო. ის დღეები სარკეში არ ჩაუხედავს — ნაკეთე-
ბი დამძიმებია, თვალები ამოღამებია...

ზურაბ ხაბაძის ნახატი.

ბოლა, უზილაღი ძალა იმორჩილებდა, გონებას უკარგავდა, რაღაც დიდი სურვილი იპყრობდა. რა იყო ეს სურვილი?... კარგი მოხიზა, დაუკეტავი ხომ არ დამარჩინიალად... კანა გაიხადა, ახალი ჩაიცვა, მაშინვე ბავშვურმა სიხარულმა აიტანა. სარკესთან მივიდა, თმა გაიწორა და ორეულს მიუხედ-მოუხედა. კაბა საკუთარ ტანზე შეკერილივით ადგა. კმაყოფილებიდან შეუხტა კიდეც. ოთახში გავიდა, დავითის საწოლ ოთახში გარდერობის წინ დაბალ სკამზე დაჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და უცნაური გამომეტყველება მიიღო. სახეზე არც შიში ეხატა და არც სიხარული, ოდნავ ნაღვლიან თვალებში მქრქალი დიმილი ღჰკრავდა.

საწოლი აშლილი იყო, თვა დაატყერდა აშლილ საწოლს. მერე შერცხვა, რომ ეს რამდენიმე დღეა აქ ცხოვრობს და ხელი არაფრისთვის უხლია. მარტოხელა კაცს დახმარება უნდა, დღეიდან ოთახებს დაგვის, საწოლს გაასწორებს, და თუკი ეტყვის, სადილსაც გაუკეთებს. წამოხტა, ლეიბ-სანანი გაასწორა და სკამზე გადაღებული ზეწარი საწოლზე გადააფარა. აღარ ასხვდა თავისი გუშინდელი დღე და გულისტკივილი. მასში გაიდვია ბავშვურმა სიწმინდემ და ამ წაიერ თავდავიწყებაში უნდოდა ყველას ენახა. მას იზიდავდა მზე, რომელიც ფანჯარაში უხვად იღვრებოდა, იტაცებდა საკუთარი მომსიბღლელობა, რომ სწვენსაც ენახა, რომ იგი ისევ ისაა, როგორიც იყო გუშინ, გუშინწინ, როცა მამიდამ ჭიშკართან მიაცილა და გზას ქალაქისაკენ დაადგა.

არასოდეს შეუფერძნია საკუთარი პიროვნება, თითქოს უბედურებამ ახალი ძალა შემატა, ავტონომია, რომ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი. ეს უფლება არ უნდა დაკარგოს და მან მოუტანოს ბედსაერება.

სარკის წინ შეტრიალდა, გაშალა მკლავები, გაუღიმა ორეულს და ჩქარი ნაბიჯით გარეთ გავიდა. ქუჩაში მზე იღვრებოდა, იყო მკვეთრი სინათლე და მსუბუქი, გამჭვირვალე ჰაერი. არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ რაკი ქუჩაში იყო, ხალხის გვერდით იყო თავისუფალი, არავითარი დაცინვა, არავითარი ზიზღი, პირიქით, მშვენიერმა მანდილო-ხანმა მოუხედა. როდის ექნება საკუთარი ქერი და ფული, ჩაიცვამს, დაიხურავს და ივლის კინო-თეატრებში.

— უჰ, რა ლამაზია?! — ამბობს პირტიტველა ბიჭი.

— გოგონა, საით? — ეძახის მაღალი, როსროხა ყმაწვილი.

თავს ძალა დაატანა, არ გაუხედავს, მაგრამ უზილაღი ძალა უკან ეწეოდა. ეს ძალა ზიზღსაც გვრიდა, აძულებდა უკან მიეხედა, და — სიამაყესაც, რომ ყურადღებას იპყრობდა. ფეხი აებლანდა, როცა ვინმე გვერდით ჩაუვლიდა, გული საგულეს არ ჰქონდა, და თვალს რომ მიეფარებოდა, შვებას გრძნობდა... უკან მიიხედა, გზა არ ამეხნესო. გადავიდა მეორე მხარეს, ფეხი აითრია, რომ კუთხეში დაყუდებული ბიჭები არ შეხვედროდა. ტუჩები მკაცრად მოეკუმა და ხელშესახებად დაინახა თავისი უბედურება, ასე ეგონა, ყველამ იცოდა და ჩუმად უთვალთვალებდნენ, ქირდავდნენ, დასცინოდნენ. ნეტა, ქუჩაში არ გამოსულიყო. მერე მოაგონდა დავითი, როცა თავზე ადგა და დასიებული სახეზე ცივ ტილოს ადებდა. როგორ შერცხვა მაშინ თვას, თვალი ვერ გაახილა.

„მეორედ ქუჩაში არ გამოვალ!“ — გაიფიქრა.

ნაბიჯს აუჩქარა, ნაცნობი რომ შეხვდეს, რა თქვას?! შინ, ალბათ, შეშინებული არიან?... როგორც დავითი ეტყვის, ისე მოიქცევა, წერილს მისწერს, მისამართს არ შეატყობინებს, ვიდრე მუშაობას არ დაიწყებს, ვიდრე თავისი კუთხე არ ექნება. მოერიდება ქუჩაში ხეტიალს. ოთახებს დალაგებს. დავითი თუ ეტყვის, სადილსაც გაამზადებს. ბაზარშიც წავა, შეიხვეწება, სამუშაო უმოგოს, ბოლოს და ბოლოს, განსაკუთრებულს არაფერს ითხოვს, ერთი შესაფერი ადგილი, რომ თავისი ფული ჰქონდეს. გონებაში დაალაგა, როგორ ეცხოვრა. სამუშაოს შემდეგ რას გააკეთებს, სად წავა, ნდობით არავის არ ენდობა, არც ვინმეს დაუახლოვდება. ქალს სახლში იმდენი საქმე

აქვს, თავის მოსაბრუნებლად ვერ მოიცლის. კარგად თუ მოეწყო, მაშიდას ჩამოიყვანს წარბი გაესწნა. მაგრამ იმავე წაას დაფიქრდა. დავითს ბინა აქვს, შესანიშნავად ცხოვრობს, არც ერთი ქალი უარს არ ეტყვის... იქნებ, ცოლი ჰყავდა და გაუშვა? სახეზე წამოენთო, იქნებ, მშობლებიც ჰყავს და ცოლ-შვილიც?!. შეიძლება, ხვალ სოფლიდან წამოვიდნენ და... იქნებ, აქმა ერიდება, წადიო.

— გოგონა, რომელი საათია? — მოესმა დამორცხვებული ხმა.

თეიმ ანახლად განზე ვაიხედა, გაწითლდა.

— საათი არ მაქვს. — უპასუხა და მასაც გაუკვირდა, თუ რამ გააწითლა და რატომ გაიხედა განზე. თითქოს წამით შეჩერდა. იგი ვერ იტყოდა, შეჩერდა თუ არა, მაგრამ თვალი ვერ მოეწვეცა ემაწვილს, რადგან იქნებ ქუჩის გაზონებში ხეც ცალი ხელით მიყრდნობოდა, ცალი წელზე შემოედო და ფეხებგადაჯვარდინებული იდგა. თეიმ შეუხიზნველი არ დარჩებოდა, არც მისი მშპისა ანა, როგორც გვერდზე სწორად გადაეყარცნა. პირგრძელი ჩანდა, სქელი, მსუქან ტუჩებზე წვრილი უღვავი გასდევდა. ფარული, შემპარავი ღიმილით უცმციმებდა თვალი, თეთრი შარვალი და ალუბლისფერი პერანგი ეცვა, წელზე შავი ბრტყელი ქამარი ეტყა.

— არც ეს იცით, რა დროა? — ჰკითხა მან და ნაბიჯი გადადგა, ხელით ხეც აღარ ეყრდნობოდა. თეა ვერ გრწნობდა, რომ გაჩერდა, სახე გაციკროვნებული ჰქონდა და ემაწვილს მონუსხულივით მიჩერებოდა. მერე თეა გამოერკვა და დაინახა. ეაუს თვალებით ამოკითხებოდა, თითქოს ნასვამი იყო, ყვრიმალზე სილურჯე დაჰყარავდა და რაც მასში დამაზა, იყო, ეს სილურჯე პეწს უკარგავდა.

თეიმ სელი გააქნია, არაო, და, ადვილს მოწყდა.

— „რა სულელა ვარ, რომ გავჩერდი, — გაიფიქრა მან, — რას იტყვის იგი?!”

ქუჩის კუთხეში ბიჭება აღარ იდგნენ. თეა აიტანა ფარულდა თრთოლვამ, არ უნდოდა ეფიქრა ემაწვილზე, მაგრამ ღანდევით დასდევდა, თითქოს ეძახდა იგი და, აღბაო, შენ რო? ყოფილიყო, ესე შენოენებოდა ეს უხილავი ძალა.

დაილა, ძალზე დაილა. ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ტახტზე ჩამოქდებოდა. კარი ჩაქცდა, რომ თელი ეს ტანჯვა, რომელიც ქუჩაში განიცადა, ოთახში არ შემოხულოდა. ერთხანს ტახტზე გაუნქრევალ იჯდა, თვალის უბეზე ცრემლი დაუვრცოდა, მერე ცრემლით ორივე თვალი ამოევსო. არა, იგი არ ტირიდა, სველი თვლებით იჯდა ტახტზე და ხელებით ეყრდნობოდა ზედ, რომ არ დაწოლილიყო, რომ იმ უხილავ ძალას არ მიეზიდა.

კედლის საათი ხუთს უჩვენებდა. ერთ საათში დავითიც მოვიდოდა. თეიმ ძველ კაბას გადახედა, რომელიც სვამზე ედო. დავითს ახალ კაბაში არ უნახავს, ნეტა როგორ შეხედავს?! არა, ფული არ უნდა აეღო, ასე ვერ დაენახვება, ძველ კაბას ჩაიცვამს და ეტყვის, ახალი კაბა ვიყიდეო, თუ სთხოვა, მაშინ ჩაიცვამს. ძველი კაბა აიღო, მკერდზე მიიღო, ერთხანს გაშეშებული იდგა.

— იქნებ ფული ვისესხო?! — ფიქრობდა იგი, — გამოვუტყდები, ცალკე ცნობრება მიწა-მთქი. უნერხულია, ვინმე აქ მნახოს, რას იტყვია?! სანამდე ვიყო უცხო ადამიანთან სახლში. იგი კეთილია, გულთბილი, ფულს მასესხებს და ცალკე ვიცხოვრებ. ხანდახან გამოვივლი, თუ რამე დასჭირდება, გავუეთებ!

სახეზე უცნაური ფიქრი დასთამაშებდა. ასეთი ფიქრი აქვს ემაწვილ ქალს, როცა ამოპოქრებულ ზღვას პირველად იხილავს, ან ღოდზე ჩამოქდარი იგონებს თავისი ბავშვობის საუკეთესო დღეებს. კაბა გამოიცვალა და ტახტზე ჩამოჯდა. ახალი კაბა ხელში ეჭირა. საშინელი, შეურაცხყოფელი ფიქრი შემოეკარა, მოაგონდა თბილისი, ვაგზალი, „ვოლგა“. — სახეზე ხელები აიფარა. არ ატირებულა, მაგრამ სულიერად დაცარიელდა, გამოიფიტა. ფიქრიან თვლებში გაუელვა ხისქეშ მდგომარეობა ემაწვილმა.

უთუოდ დაშავა, ემაწვილს უკმეხად არ უნდა დაშორებოდა. სხვისი ხელის შემცურება სანამ დარჩეს, იქნებ ის დაეხმაროს?!

კაბა ტახტზე მიაგდო. მაგრამ დავითს კაბას ასე ვერ დაახვედრებს, იფიქრებს, და უდევარი ყოფილაო. კაბა აიღო, დაკეცა და თითქოს არ ჩაეცვას, გაწეთში შეხვეული სკამზე დადო. ასე დამცირებული არასოდეს ყოფილა, თითქოს ახლა დაატყდა თავს უბედურება. ლამის ეყვია — პირზე ხელი აიფარა და შეშინებული თვალები კარებს მიაჩერა. სიმარტოვე კიდეც უფრო აუტანელი გახდა. დავითს მეგობრები ჰყავს, მას კი წასასვლელი არა აქვს, როდემდე იყოს მარტო გამოკეტილი?

ოთახში გაიარა.

„დავითს შეაგვიანდება!“ — თქვა თავისთვის.

მერე მოაგონდა, დავითის საწოლი დილით გაასწორა. არ უნდა დაეღაგებინა, ბოლოს და ბოლოს, რა მოვალეა, შეიხედა საძინებელში და გაწითლდა. უცხო მამაკაცის საწოლს არ უნდა შეხებოდა, სირცხვილია, ცუდ რამეს იფიქრებს.

— „აჟშლი!“ — გაიფიქრა და ზეწარი აიღო, მაგრამ ვერ მოიგონა, სად იდო იგი, რომ დავითი არ დაქვებულყო. იქნებ, სკამზე იყო გადადებული, ან საწოლის თავზე... ზაბანი ნახევრად გადაწია, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა კაცი დილით ღებდა და აშლილს ტოვებს? შორიდან შეხედა. გული დაიმშვიდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ იქნებოდა საბანი...

მეორე ოთახში რომ გადიოდა, სარკეში ორეულს მოჰკრა თვალი, კაბის გულისპირი ჩამოჩაჩოდა, ცალი მხარე ჩამოვარდნოდა და უპატრონო ქურის გოგოს ჰგავდა. თმა გაიწორა. მერე კაბაზე დაიხედა, ვინ იცის, დავითი როდის მოვა, ერთხელ კიდეც გაივლის ქუჩაში, დროს მოკლავს და დაბრუნდება. ახალი კაბა ჩაიცვა, თმაზე ბაფთი წაიკრა და თმის ბოლო მამლის კუდივით გაიკეთა. წარბზე სველი თითი გადაისხვა, სიხალისე დაეტყო. ექვსის ნახევარი იყო, როცა ქუჩაში გავიდა. ხალხი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდათ, თითქოს სადღაც აგვიანდებოდათ. იგი ქუჩას ნელი ნაბიჯით გაჰყვა, უურადლებას არავის აქცევდა. ფულის წამოღება დაავიწყდა, თორემ სადმე ნაყინს შეჭამდა. ნაყინი იმდენად არ უნდოდა, სურდა დრო მოეკლა. ჩაიარა ნაცნობ ქუჩაზე, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, თვალი არავის დაუტანებია.

საკონდიტრო მაღაზიის წინ გაჩერდა, მაღაზიაში ხალხი ირეოდა. თეამ თვალი ჰკიდა ქალ-ვაჟს, რომლებიც მაღაზიიდან გამოდიოდნენ. ქალიშვილს ხელში შოკოლადი ეჭირა და ვაჟს თვალანთებული ელაპარაკებოდა. თეას მათი შემუურდა.

— პაემანზე ხართ? — შეეკითხა ვიღაცა.

— არა, ისე... — ემაწვილს თვალს არ აშორებდა, მოეჩვენა მთვრალი იყო, — მე აქ არავის ვიცნობ.

ემაწვილს გაეცინა.

— მაშ, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე ვიქნები შენი პირველი ნაცნობი!..




მ ა მ უ ლ ი

ჩემი მთაა და ჩემი ველია,
ჩემი ღზენაა, ჩემი დარდია,
რომ ბრწყინავს, განა საკვირველია? —
ჩემი ოცნების სხივად ანთია.
მამულის ტრფიალს ფიცი არ შვენის,
მაგრამ სხვა რა გვაქვს დასაფიცარი?
სამშობლოვ ჩემო, შენა ხარ ჩვენი
სამარის მიწა, აკენის ფიცარი!

მ ე ლ რ ე ბ ა

ღმერთო, ნუ მოაკლევ მგზავრს ნუგეშს და საგზალს,
შეფარებულ ქალ-ვაჟს — სიყვარულს და ხალოსს,
გლეხიკაცის სახლ-კარს — ხვნა-თესვას და სამკალს,
წუთისოფლის შვილებს — ნათელ რწმენას ხვალის.
მზეს — სითბოს და სხივებს, მიწას — თესლს და წვიმას,
ცოლ-ქმარს — შვილთა ჭკვიკს, შვილებს — მშობლის
აღერსს,
შემოქმედის კალამს — შთაგონების ბრწყინვას
და სიყვარულს მშობელ ბაღზის უმზურვალესს!



മ ക ച ട ങ ഞ റ

ხატვას მონატრებული მამა ძილის წინ შვილს უხმობდა.

— გიგა-ბიჭო. ამ შაბათ-კვირას მივდივართ?!

— რა ვიცი?! — შვილს ეჭვი ეპარებოდა.

— უმჯავლოდ წავალთ, შვილო, ქალაქს თუ ვერ გავცდებით, ძველ უბანში სადმე ჩრდილში მივმყუდროვდეთ, რომელიმე მადლიანი ჩვენებური ხელი ავიჩიოთ და ვხატოთ მშვიდად, აუჩქარებლად, შენ ფერადი ფანქრებით, მე — აკვარელით. — ამბობდა და თან თვალებში ისეთი შუქი ედგა, თითქმის ერთი მშვენიერი ნახატი უკვე დაესრულებინოს.

შაბათი, მთელიღოლა.

ბიჭი აღრიანად მიაკითხავდა სამუშაო ოთახს. სახვით გართული მამა ამოღამე-
ბული თვალეებით შეჩნედავდა, დამნაშავესხვით სახე გვერდზე მოექცეოდა, შვილს მზე-
რას არიდებდა, თან უხსნიდა: „სასწრაფო სამუშაო ვიშოვე. ორშაბათისათვის უეჭვე-
ლად მზად უნდა იყოხო“, წამით შეჩერდებოდა, ღრმად ამოიხსრებდა და თითქოს
ბოდიშს იხდისო, „არ უნდა ამელო, ეს საქმოდ უინტერესო სამუშაო, რა აუცილებე-
ლი იყოო“. მამა თითქოს ყველაფერს ამბობდა, შვილი გრძნობდა, რაღაც მთავარს
მაინც უმაღავდა.

იმედგადაწურული ბიჭი ღოჯიაში გადოდა, მაგიდას მიუჯდებოდა, სახატავ რვეულს გაშლიდა და თავისი პატარა ფანტაზიით ხატავდა კოშკურა სახლებს, ღრუბლებში კენჭერობდებიდა მთებს, გაუვალ ტყეებსა თუ ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ მიწელებს.

ზოგ შაბათს მამა სამუშაო ოთახში არ დახვდებოდა, ბიჭი მოიწყენდა. დედა ეფერებოდა და ამშვიდებდა, „რა ექნათ, შვილო, სოფელსაც მიხედვა უნდაო“. მამის ჩამოსვლაზედ გულის ვერაფერს უღებდა, არაფერი ახარებდა. მამა კვირას გვიან ღამით ბრუნდებოდა. სისხამზე, ბიჭი გაიღვიძებდა თუ არა, ჩუმად შეიპარებოდა მამასთან და მძინარეს თავს წაადგებოდა. მამა მაშინვე იგებდა შვილის სიანლოვეს, ოდნავ თვალშედებითი იღიმებოდა. ბიჭი მამას უშუბლზე პატარა თითებით ეფერებოდა და ჰკითხავდა:

— დახატე რაში, მამი?

კარგად თუ დაკვირდებოდით, მომღიმარი მამის თვალების ჭრილობი სინნთეტიკაფუზობდა. შვილს გაბზარული სმით უპასუხებდა:

— ვერა... — თან მოაყოლებდა ათასგვარ საქმეს: ვენახისას თუ სახლ-კარისას, ადვილსა თუ საძნელოს, სამაჟოს თუ სათაქილოს.

ბიჭი უხმენდა და მაინც ბოლომდე ვერ ჩასწვდომოდა მამის მოუცლელობის
მიზეზს.

კაცს ყველაზე უფრო მაშინ უკვდებოდა გული, საქმეში გართულს რომელიმე უქმე დღეს თავს რომ წადებოდა შვილი და სათხოვდა:

— მამი, დაანებე რა თავი მაგ სამუშაოს და წავიდეთ.

— ჰა?! — გამოერკვეოდა და სირცხვილითა თუ ბრაზით პასუხს ვერ უბრუნებდა. მეგრის ქვევით შვილის შავქოჩორა თავს მიიხუტებდა და ერთხანს ცრემლიმორეული გაირინდებოდა. მერე თავს მოერეოდა და რამე მხოლოდ უყვებოდა ბიჭს...
კაცს განსაკუთრებით შემოდგომის ფერები უყვარდა. მთელ სითაოს იმ სუქიანი ფერების ახსნაში აქსოვდა.

— ეს ფერები წელსაც თუ ასე დაუხატავად გაგვეპარა... — იტყოდა გულსაკლავად და საქალღელდნად ძველ, აკვარელით ნახატ ფერგაცრეცილ პეიზაჟებს გამოაჩენდა. ბიჭს ამაზე უკეთესი ნახატები ქვეყნად არსად ეგულებოდა: არც სახელმწიფო მუზეუმში, არც საგამოფენო დარბაზებში და არც წიგნებში ჩაკრულ რეპროდუქციებში.

მამა დიდი გატაცებით უყვებოდა ნახატების შექმნის ამბებს. რომელი მონასტერი წლის რომელ დროს იყო ნახატი, ძველი თბილისის რომელი უბანი იყო ქალღელზე ფერებით გადმოტანილი, რა რუღუნებითა და სიყვარულით იყო ყველა ნახატი შესული, რა სიხარულით ჰკიდებდა თავისი პატარა ოთახის კედელზე ახალ ნახატს და რა ბედნიერი იყო მთელ კვირას.

და ნატრობდა ბიჭი ამ ნახატებით მოჩითულ პაწაწინა ოთახში ცხოვრებას.

ბიჭს ასეთი შაბათიც ახსოვს.

— ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! — იტყოდა მამა და მაშინ მისი თვალების ხილვას არაფერი სჭობდა: გამჭვირვალეს, დწმენდილს და რაღაც შშვენისფერს შესაქმნელად შემართულს!

— რაც არის, არის! ჩაიცივი, შვილო, მივედივართ — იტყოდა და თვითონაც იწყებდა მზადებას სპორტულ-მთხველდურად. დედაც აფუსფუსდებოდა, ზურგჩანთას ხანოვავით ავსებდა, არაფერს დაივიწყებდა. სამგზავროდ გამოეწყობოდნენ და აღრიანად ტოვებდნენ სახლს. დედა ზღურბლზე იდგა და მამა-შვილს ღიმილით აცილებდა.

მაგრამ არ ეწერა მათ ოცნებას ასრულება!

დაბარებულივით, თითქმის ჯიბრით, ეგოში ძია მერაბი ელოდა თავისი ღილისფერი „უიჯულით“. საღამო-ქალამის მერე მაშინვე საქმეზე გადადიოდა. „წავიდეთო. ავტოგარაჟებისათვის აღგიღებია შესარჩევი, ორ კვირაში სამივეს პროექტი უნდა მოასწორო, მაღრჩობენ ისეთი სასწრაფო“, — მოაყოლებდა შეუსვენებლივ. ბიჭი მერე გაახსენდებოდა: ოჰ, გიგა-ბიჭო, როგორა ხარო, ნოლი კლასი როგორ დაამთავრეო. სწავლაში ხომ არავინ გკობნისო?“. ბიჭი შეკითხვებზე უგემურად უპასუხებდა.

ბოლოს მამა-შვილი ზურგჩანთებს საბარგულში ჩააწყობდნენ და ავტოს სალონში ყურებჩამოყრილები სხდებოდნენ. ძია მერაბი გზაში დაინტერესდებოდა:

— ამ ზურგჩანთებით საით გაგიწევიათ?

— ქალაქგარეთ სუფთა ჰაერის გადასაუფლავად! — უპასუხებდა ბრაზმორეული მამა.

— მთელი ქალაქის გარეუბნებს მოგატარებთ კომფორტით. უკეთესი ჰაერი არსად შეგულება! — ამბობდა ძია მერაბი და თან კმაყოფილი იღიმებოდა.

იწყებოდა ახალი საცხოვრებელი რაიონების დალაშქვრა. უსახურ სახლებს შორის დარჩენილ ხრიოკებზე არჩევდნენ ავტოსადგომებისთვის ნაკვეთებს. მამა და ძია მერაბი ავტოდან გადადიოდნენ, დიდხანს იქნევდნენ ხელებს და დახვეულ ნახაზებს. ბიჭი მობუზული მიუყუდილიყო სალონის კუთხეში და მოწყენილი შეჭყურებდა უგემურ პეიზაჟებს.

უკან მობრუნებისას ქალაქს ბინდი ეპარებოდა. ფერებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო ნაცრისფრად იცრებოდნენ: მწვანე თუ ოქროსფერი, ვარდის თუ შინდისფერი. ნარინჯის თუ შროშანის ფერი. ერთნაირად გამოხუნებული ფერები საერთო ბინდში მიყურებულიყვნენ და სახატავიც აღარაფერი იყო.

— სხვა დროს, მოცილილობისას, უფრო შორს წაგიყვანთ. — პირდებოდა ძია მე-
რბი გამომშვიდობებისას.

მამა-შვილს უიმედოდ ელიმებოდათ.

მოწყენილები ფესკარეფით შედიოდნენ სახლში. ოდნავ დაღლილი დედა ყველა-
ფერს ხვდებოდა და პირუჩუმრა ამზადებდა ვახშამს.

მეორე დღეს მამა დილიდანვე უკირკიტებდა გარაჟის ცხიკებს. ბიჭი აღარ შედი-
ოდა მამასთან. გავეთილებს ამზადებდა და ეზოში ჩასვლის ნებართვას თხოულობდა.

ვერზვის ხეებით გარშემორტყმულ ეზოში ბურთის თამაშით გართული ბავშვების
გნიახი იდგა. ბიჭიც აჰყვებოდა ტოლებს და ერთხანს ყველაფერი ავიწყდებოდა. მერე
წამით რაღაც გაახსენდებოდა და გაირინდებოდა. როდის-როდის, ტოლების კიჟინი
გამოაფხიზლებდა, კვლავ ფეხბურთის ორომტრიალში ჩაითრევდნენ.

ბოლოს გახვითული ბიჭი ყველაფერს თავს ანებებდა და მამასთან გარბოდა. სა-
მუშაო ოთახის კართან გაყუჩდებოდა. ჩუმად, ძალზე ჩუმად გამოაღებდა კარს და მა-
მის მოხრილ მხრებს მიაშტერდებოდა. მამა გრძნობდა შვილის თბილ მზერას. მხრებგა-
უშლელად თავმოგრეხით გამოხედავდა, გამოქანცულ თვალებში უდიდესი სიმშვიდე და
სიყვარული ჩაუდგებოდა.

ბიჭი მამასთან მიდიდოდა, ილიის ქვეშ შეუძვრებოდა. სახეატკრეცილი უზომო
სითბოს უზიარებდა კაცის სხეულს. ძალიან დიდხანს იდგნენ ასე გაქვავებულნი.

მომავალ შაბათს მამა უეჭველად შეასრულებდა ბიჭის სანუკვარ სურვილს. ქალაქ-
გარეთ თუ ვერ გაიყვანდა, შინ მაინც გააწყობდა ლამაზ ნატურმორტს. მიუსხდებოდნენ
მამა-შვილი დაფებს, გადახედავდნენ ერთმანეთს შუქიანი თვალებით და იწყებდნენ
სახატრელ ხატვას.

ღმერთო, მიმიხედე ხატვას მოწყურებულ დიდსა თუ პატარა ბავშვს, შედეგრი თუ
არა, რაიმე მშვენიერი შეაქმნევენე!



კოლეგები

მხატვარი ვაჟა ბჟალავა.

შილიამ შექსპირი

ჰენრი მერვი

პროლოგი

დღეს საღადლობოდ არ შეეყრილებართ, ესე ამბავი,
 ამაღლებული, სევდიანი, სულის შემძვრელი,
 კეთილშობილი, დიდებული, ამშლელი ღარდთა
 გვინდა მოვითხროთ გულაზდილად და თუ აქ დამსწრეს
 გულანუყვებულს სიბრალულის მოადგვს ცრემლი,
 დაე აწვიმოს უხვად იგი, მისი ნებაა;
 რასაც მოისმენს, უცილობლად ღირსია ჭეშუნების!
 ჭეშმარიტების სამაებლად ვინც აქ მოსულა,
 გულს ნუ გაიტებს, უეჭველად კადეც იპოვნის.
 ხანაზაობის საზილველად დღეს აქ მოსულიც,
 მართლაც მოიკლავს მოძალდებულ წყურვილს ნაზვისას;
 მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი შილინგის ფასად
 ეზიარება მეფურ ყოფას ორი საათით.
 მარტოდენ იმას, ვინც თავს ირთობს ბალწსიტყვაობით,
 სურს, რომ დაიტკბოს ყურთასმენა ბრძოლის ყიჟინით,
 ანდა მოვლის მოუთმენლად ტაკიმასხარას,
 გაუცრუვდება, უსათუოდ, იმედი თვისი.
 ჭეშმარიტების მასხარობით გაიაფება
 ყველგან და მუდამ დაადონებს ღირსეულ მსმენელს;
 შემოგვაკლდება თანაგრძნობა და მეგობარი,
 ჭეშმარიტების დაღადებას თუკი ვერ შეეძლება.
 პოდა, მამენულნი დღეს იყავით გულისხმიერნი,
 სათქმელი ჩვენი, თუ დმერთი გწამთ, გავიგეთ სწორად.
 და თუ შევიბერობთ სევდიანი განწყობილება,
 ნეკდრეთით აღვიდგენთ აქ სურათებს გარდასულ დღეთა.
 წერაღად მოვითხრობთ, დიდებულნი ამა ქვეყნისა
 როგორ იდევოდნენ, აღზევება ეღირსად როგორ,

რარივ ლაღობდნენ მეგობრებით გარშემორტყმულნი
და როგორ წახდნენ, დაბეჩადნენ სულ მოკლე ხანში.
ამის მნახველი გულდიანად თუ გაიცინებს,
და თუ იპოვის მაინც მიზეზს საძხიარულოს,
მაშინ მითქვამს, რომ ვერას გავხდით, ეს იცეკვა,
რომ თეთრის ნაცვლად ჯერისწერისას ჩაიცვია შავი.

ინგლისურიდან თარგმნა.
თამაშუნა ჯაფარიძე.

საბამოფენო სტენდი



შეიქმნა ლაღბა...

სოსო შენგელიას ფოტო.

სიტუაცია ბათუმელ ქაბიშკაში

საოცარი ქალაქი გაზღავთ ბათუმი. მის განუყოფლობას განსაკუთრებით შორიდან შეიგრძნობ. როცა მასზე ფიქრობ, თითქოსდა ჩვეულებრივს, ნაცნობსა და შეჩვეულს ახლებურად ხელავ და ძალიან ხშირად ახალ ფასეულობათა აღმოჩენის სიხარულით ივსები. ჩვენი მშობლიური ზღვისპირა ქალაქი აღამიანს უპირველესად ანიჭებს სულის სიამეს, ავსებს რაღაც ღვთაებრივთან ნაზიარები სიმშვიდისა და სიკეთის განცდით. ბათუმში, ყოველ შემთხვევაში ამ 20-30 წლის წინათ, ყველა ერთმანეთს იცნობდა, ხშირად დღეში რამდენჯერმე ვსალმებოდა. მეგობრისა თუ უბრალო საცნობის კეთილმოსურენ, თანამდევნი თუალი შინაგანად გაწესრიგებდათ, ბუნებრივი და სადა თანაცხოვრების სურვილით გავსებდათ, ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვის უნარს გმადლიდათ. ჩემი ღრმა რწმენით, ცხოვრების ეს ბათუმური წესი, მისი გამოკვეთილად ზნეობრივ-პატრიოტული შინაარსი და სულისკვეთება, ასე ანდამატივით რომ იზრდავს მისკენ ყველას, ვინც ამ ქალაქს ერთხელ მაინც გაეცნობია.

თავისთავად გებადება სურვილი, კეთილი სიტყვა თქვა ამ საოცრად ქართული ქალაქის აღამიანებზე. ამჯერად მინდა გავიხსენო ექიმები. ალბათ, ყოველი ბათუმელი დამეთანხმება, რომ ამ კეთილშობილური პროფესიის აღამიანები ყოველთვის თვალსაჩინო გავლენას ახდენდნენ მშობლიური ქალაქის მორალური კლიმატის ფორმირებაზე, აღამიანთა შორის კეთილმოსურნეობის სულისკვეთების დამკვიდრებაზე.

როცა ბათუმელ ექიმებზე ვფიქრობ,

რატომღაც ისინი უპირველესად წარმოგვიდგებიან არა თავიანთ სამუშაო კაბინეტებში, არამედ ყოველი მათგანისათვის ესოდენ საყვარელ საკრებულო ადგილას — თეატრში. როცა რომელიმე პრემიერაზე ერთიანად სავესე დარბაზს გადახედავდით, ერთბაშად გულს გაგინათებდათ ინტელიგენტური სახეების ხილვა. ყოველთვის უზალო სიფაქიზით ჩაცმულნი, აუცილებლად თავიანთ სათანო მეუღლეებთან ერთად საპატიო რიგებში დარბაისლურად მსხდომნი, შეგახსენებდათ, რომ თქვენ აქ მოსული იყავით გულის კარნახით და სულის წყურვილით, ხელოვნების ნამდვილ ზეიმზე. მათი დარბაზში გამოჩენა თავისთავად ნიშნავდა კარგი საზოგადოებრივი ტონისადმი ერთგულებას. ამ აღამიანების წინაშე მსახიობი თავს უფლებას ვერ მისცემდა მოშვებულად ეთამაშა, მათ გვერდით ვერავინ წამოისროდა გაურანდავ სიტყვას, მით უფრო — ვერ დაუტყვენდა.

მათს პრაქტიკულ ყოველდღიურ საქმიანობაში, ცხოვრების წესში, ზნეობრივ თავისებურებებში იგრძნობოდა, რომ მემკვიდრე-გამგრძელებელნი იყვნენ იმ მოვლუბისა და ტრადიციებისა, რომლებიც ერის საუკეთესო შვილებთან ერთად თავის ღრობზე დანერგეს დედასამშობლოსთან შემოერთებულ კუთხეში პატრიოტული მოწოდებითა და გულის კარნახით მოსულმა პირველმა ქართველმა ექიმებმა. ბევრს თითქოს შემორჩენოდა კიდევ წინა საუკუნის იერი. საკმარისია გავიხსენოთ მოკირწყლულ ქუჩებში გრალით მიმავალი კრიალა ეტლი, რომელშიც დარბაისლურად იჯდა

ცილინდროსანი მოხუცი პლატონ გიგინეიშვილი. მისი ბინა ყოველთვის ღია იყო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისათვის. საგანგებოდ მოწყობილი ოთახიც კი ჰქონდა გამოყოფილი მათთვის. წლის ყოველ დროს გიგინეიშვილთან ნახავდით ბათუმში სტუმრად ჩამოსულ სახელგანთქმულ ადამიანებს, რომლებიც აქ თავს შინაურად გრძნობდნენ. ან, განა შეიძლება დაგვიწყდეთ მუდამ ქათქათა „ტოლსტოვაში“ გამოწყობილი ტანმაღალი პედიატრი ბორის ჩერტოვი, რომლის არსება ერთიანად სიკეთეს აფრქვევდა?

სიცოცხლეშივე ლეგენდებს ჰყვებოდნენ ვალერიან მაქაყარიანე. ცხოვრებიდან ნაადრევად წასული ჯადოქარი ქირურგის ინსტრუმენტებმა მაშინვე მუზეუმში გადაინაცვლეს, როგორც თაყვანისცემის ღირსმა საგნებმა.

განა შეიძლება დაგვიწყდეთ ბათუმელებს კემშარიტად სახალხო ექიმის ზურაბ წერეთლის კეთილშობილური საქმეები, მედიცინის მეცნიერებათა პირველი დოქტორების იოსებ ჩარკვიანისა და გიორგი ხეჩინაშვილის გამორჩეული დეპოზიტი; გერმანე ურუშაძის მომხიბვლელი უბრალოება, მიხეილ ლოლუასა და ვალენტინ ეგოროვის დახვეწილი ინტელიგენტურობა, მარკ ტერ-მინასოვს მრავალმხრივი განსწავლულობა და ენა-მოსწრებულობა, ილია მარკოვის ასკეტურობამდე მისული უანგარობა, სევერიანე შარაშიძის უშუალოება? ეს უკანასკნელი თითქმის საბაბს ეძებდა, რათა სიტყვა თეატრზე ჩამოეგდო, სიამაყეს ვერ უარავდა იმის გამო, რომ ძმა მოსკოვის თეატრალურ სამყაროში ეგულეობდა. მისებრ გატაცებული თეატრალი მარკ ტერ-მინასოვი მთელი სიცოცხლის მანძილზე უსასყიდლოდ ემსახურებოდა მსახიობებს.

ექიმი ქალებიც გავიხსენოთ. რაღაც ძველი, შორეული იერი და სიღარბისღე ახლდა მუდამ თამარ ბეთანელს. ნათელი გონებითა და იშვიათი ქალური მიმზიდველობით ერთბაშად გზიბლავდათ ნევრესტან შაშვიკაშვილი. იგი ჩი-

ნებული საზოგადო მოღვაწე და ორგანიზატორიც გახლდათ. პირველმა აქამდე ღია ექიმმა ქალმა დიდი ამაგი დასდო მშობლიურ კუთხეში სამედიცინო საქმის გაუმჯობესებას, იგი წლების მანძილზე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იყო.

ბათუმელ მედიკოსთა ამ შესანიშნავ კოპორტას კარგად ავსებდნენ და ერწყმოდნენ მომდევნო თაობის ექიმები. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შესანიშნავი პედაგოგის ოჯახიშვილი და თავადაც ჩინებული ინტელიგენტი ვალერიან კვაჭაძე, მუდამ ანთებული და თავდაუზოგავი გენო მგალობლიშვილი, სათნო და დარბაისელი აენი დიასამიძე. არაერთხელ შევესწრებოვარ, ეს უკანასკნელი როგორ მობრუნებულა კიბიდან საავადმყოფოში ახლად მიყვანილი ავადმყოფისათვის გადაუღებელი დახმარების გასაწევად.

ძველ ბათუმელთა შორის, ალბათ, ერთიც არ იქნება, ამ ადამიანთა უანგარო, კეთილი სამსახურით რომ არ ესარგებლოს, მათი კეთილშობილური გულის სითბო არ ეგრძნოს. ამ მხრივ პირადად მე თავი განვებივრებულ ადამიანად მიმაჩნია. დაეძვრდები მხოლოდ ერთ მაგალითს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი სული ტრიალებდა, საერთოდ, ბათუმელი ექიმების ოჯახში.

ჩამოთვლილ ჩინებულ მედიკოსთაგან დღეს ცოცხალია მხოლოდ ერთი — ბათუმელ ექიმთა კემშარიტი პატრიარქი გიორგი ხეჩინაშვილი. მისი უფროსი ვაჟიშვილი გაბრიელი, დღეს ფართოდ ცნობილი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჩემი სკოლის მეგობარი გახლდათ. ამის გამო ხეჩინაშვილების ოჯახს თავიდანვე მჭიდროდ დავუახლოვდი. ეს პროფესიულ ექიმთა ოჯახი იყო. ექიმები გახლდათ ოჯახის ღელა და მამა, შემდეგ კი მათსავე გზას დაადგა ორივე შვილი — გაბრიელი და ლევანი, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ასევე ექიმ-მეუღლეებს დაუკავშირეს. როცა ამ დიდებულ ოჯახში პირ-

ველი შვილიშვილი გაჩნდა, მას აკვან-
შივე ექიმობის პროფესია დაანათლეს.

მთავარი მაინც ხეჩინაშვილების ოჯა-
ხის ატმოსფერო გახლდათ. იგი გამოირ-
ჩეოდა სიმშვიდით, სრული ურთიერთ-
გაგებობითა და კეთილგანწყობილებით,
რომელიც სტუმარსაც გადაედებოდა. ამ
ოჯახისათვის ორგანულად უცხო იყო
მოხვეჭის სურვილი, მეშინაური ფუფუ-
ნებით გატაცება, მოჩვენებითი სალო-
ნურობისაკენ სწრაფვა. ხეჩინაშვილების
ოჯახის ერთადერთ გამორჩეულ ნივთად
ძველებური შავი როიალი და წინაპრის
ნაქონი რამდენიმე უბრალო საგანი და-
მაბახსოვრდა. სადა იყო ამ ოჯახის ცხო-
ვრების წესი, ადამიანებთან ურთიერ-
ობა. წარმოიდგინეთ ჩემი გაორკეცე-
ბული სიხარული, როცა ათობით წლე-
ბის შემდეგ ასეთივე გარემო და ატმოს-
ფერო დამხვდა ლენინგრადში — თამარ
ახმეტელისა და გაბრიელ ხეჩინაშვილის
ოჯახში. ვერავინ იტყოდა, რომ ასე მოკ-
რძალებულად მოწყობილ ბინაში ცხოვ-
რობდა მთელს ლენინგრადში აღიარე-
ბული სპეციალისტი, ერთ-ერთი დიდი
სამეცნიერო დაწესებულების ბურჯი. რაც
მთავარია, ვიხილე ნირჟუცელაუდ კეთი-
ლი, გულგახსნილი, მოკრძალებული, მა-
გრამ ნაღდი შინაგანი ღირსებით აღსავ-
სე ბავშვობის მეგობარი.

აქვე მინდა აღვნიშნო პედიატრი ვახ-
ტანგ ღიასამიძე, რომელიც დღესაც მო-
ღვაწეობს.

სულიერი რაინდობა ყოველი ნამდვი-
ლი ექიმის აუცილებელი თვისება გახ-
ლავთ. ამის მაგალითებიც მრავლად ვი-
ციტ ჩვენ — ბათუმელებმა. ერთსაც აქ
გავიხსენებთ.

იმ წლებში გაზეთის რედაქციების
ფანჯრებში შუქი ჩვეულებრივზე გვიან,
ნაშუალამევს ქრებოდა. საათის ისრები
მორიგი დღის წუთებს ითვლიდა, როცა
რედაქციიდან გამოვედით და ღამის სი-
წყნარეში ბათუმის მთავარ ქუჩას გავ-
ყევით. კუთხეში, ძველი აფთიაქის კიბის
საფეხურზე, შორიდანვე დევლანდეთ
ნაცნობი ფიგურა. არ შემეცდარვართ. ნა-
მდვილად ამბროსი პერტია აღმოჩნდა—

აქარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის
მოადგილე, შესანიშნავი ექიმი, ეფ-
ვითი სათნოებისა და მომხიბვლელობის
ადამიანი. ხელში წამლის ფლაკონები
ეჭირა. ვკითხეთ — ამ დროს აფთიაქში
რამ წამოგიყვანათ, ასეთი რა გაგქირვე-
ბითათ?

როგორც გამოირკვა, დღისით მასთან
სამინისტროში ვიღაც ქალი მისულა —
ერთადერთი შვილი მიკვდება და მიიხ-
რეს, თუ გადაარჩენს, მხოლოდ პენიცი-
ლინიო. ეს პრეპარატი მაშინ ჩვენში არ
მზადდებოდა, უკვდავების წამლად ითვ-
ლებოდა და მისი შოვნა ადვილი არ იყო.

— დასაძინებლად დავწექი, — დაამ-
თავრა ამბის მოყოლა მინისტრის მოა-
დგილემ, — რომ იმ ქალის სახე გამო-
მეცხადა. ვერაფრით ვერ მოვიკვნე,
რადგან ექვი მომეძალა — ვაი, თუ დე-
ფიციტური წამალი რაიმე მიზეზით აფ-
თიაქში დაუკავეს-მეთქი. თანაც დაბი-
რებული ვიყავი, ბავშვს ვინახულებდი.
ძალიან რატვირთული დღე მქონდა და
ვერ მოვიცალე...

და აი, შუალამით საწოლიდან წამომ-
დგარი ექიმი ზოდის აფთიაქში, რათა ბი-
რადად დარწმუნდეს — მიუვიდა თუ
არა ავადმყოფს წამალი. რეცეპტი მისი
რეზოლუციით აფთიაქში არ აღმოჩნდა.
მინისტრის მოადგილეს ექვები უფრო
მოეძალა: რატომ არ გაიტანა დედამ
წამალი? ხომ არაფერი მოუვიდა ბავშვს?
იქნებ დედას, უბრალო დამლაგებელ
ქალს, ძვირად ღირებული წამლის ფული
არ აღმოაჩნდა? ყველა შემთხვევაში სა-
ჭიროა შეჭირვებული ადამიანების მო-
ნახულება, მაგრამ როგორ? იცის მხო-
ლოდ ის, რომ დედა-შვილი რუსები არ-
იან, როსტოვიდან ევაკუირებულნი და
ცხოვრობენ „არდაგანის ყაზარმების“
დასახლებაში.

„არდაგანის ყაზარმებს“ ბათუმში ემა-
ხოდნენ პირველი მსოფლიო ომის დრო-
იდან შემორჩენილ, თავის დროზე ჯა-
რისკაცებისათვის განკუთვნილ რამდენი-
მე გრძელ ბარაკს, რომლებიც სამამულო
ომის ძნელებდობისა და სიციწროვის

ქამს, საცხოვრებელ ოთახებად დატბრაეს.

ექიმის შეშფოთება, ცხადია, ჩვენც მაშინვე გადმოგვედო, მაგრამ ამ სოცია-რი გულის კაცმა მხოლოდ ერთი ჩვენი კოლეგა — გიორგი ლორთქიფანიძე და-იმგზავრა. თითქმის გათენებამდე უძებ-ნიათ და, ბოლოს, კითხვა-კითხვით მა-ინც მიუგნიათ. ანთებით გათანგულ ზავშეს უკვე ცნობიერება ჰქონდა დაკა-რგული. მინისტრის მოადგილეს ბიქისა-თის საკუთარი ხელით გაუქვებია ნე-მისი, სასოწარკვეთილი დედა დაუმშვი-დებია, სათანადოდ დაურეგებია, მთელი ის დღეები ფეხით დადიოდა იმ სიმო-რეზე, ვიღრე ზავშემა არ მოიხელდა...

ეს შესანიშნავი მოქალაქე და მკურ-ნალი კარგა ხანია ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ მთელი ეს ამბავი პირვანდელი სიცხადით აღმიდგა მესხი-ერებაში, როცა ამას წინათ პრესაში გავეცანი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გამსე-ლელი სსდომის მასალებს. რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფო-ში გამოვლენილმა მახინჯმა ფაქტებმა შეუძლებელია არ აღგვაშფოთოს, მაგრამ ასეთი ფაქტები მაინც ვერ შეგვაცვლე-ვენებს შეხედულებას მედიცინის მსახუ-რებზე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ ურჩიულეს ნაწილზე. ექიმის პრო-ფესიისადმი ასეთი პატივისცემის გრძნო-ბას ასაზრდოებს მისი მოვალეობის გან-საკუთრებული ეთიკურ-ჰუმანიური ში-ნაარსი. ეს ძველთაგან კარგად ესმოდათ მედიცინის სჯულმდებელთ, მათ შორის შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო ძეგლის — კარაბადინის შემდგენელს. იგი საოცარი სიზუსტითა და ლაონიურობით აყალიბებს ექიმის მოღვაწეობის ზნეობ-რივ პრინციპს — „პირმართალი, მისან-დობელი და უხარბო იყოს“.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იდეები და ზნეობრივი ნორმები ითავსებს ჭოველივე საუკეთესოს, რაც კი კაცობ-რიობას გამოცდილებით დაუგროვებია თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილ-ზე. საბჭოთა კონსტიტუციით განმტკი-

ცებული უფლება უფასო სამედიცინო მომსახურებისა გახლავთ ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ჰუმანური გულითა და გონებით მივგებული, შემდეგ კი არა-ერთხელ მივიწყებული პრინციპის და-კანონება და განვითარება სახელმწიფო-ებრივად. ცნობილია, რომ ანტიკურ სა-ბერძნეთში იყვნენ სამოქალაქო ექიმები, რომელთაც ევალეზბოდათ უსასყიდლო სამედიცინო დახმარების გაწევა მოსახ-ლეობის უღარიბესი ფენებისათვის. ძველ ჩინეთში, რომელიც მედიცინის ერთ-ერთ აკვნად თვლება, პაციენტები ექიმს საერთოდ არ უხდიდნენ გასამარჯლოს. ექიმის ღირსება და სახელი იზომებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენი სამაღლო-ბელი სახობტო უსტარი ჰქონდა მიღე-ბული განკურნებულთაგან. მედიცინის მამა ჰიპოკრატე მოითხოვდა, რომ ექიმს ავადმყოფი არ განესხვავებინა სოცია-ლური, კლასობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

შორს წასვლა რა საჭიროა. ქართული მედიცინის მთელი ისტორია აღსავსეა ხალხისადმი უანგარო სამსახურის იშვია-თი მაგალითებით. საკმარისია გავიხსე-ნოთ თუნდაც ივანე გომართელი. საერ-თოდ, რევოლუციამდე ხალხს თავისი დუხჭირი ყოფის ერთ-ერთ შემამსუბუ-ქებლად მიაჩნდა სახალხო ექიმი, რომ-ლის მოღვაწეობის შინაარსმა და ზნეო-ბრივმა მემკვიდრეობამ დიდად განაპი-რობა საბჭოთა სამედიცინო მუშაის სა-ხის ჩამოყალიბება. როგორც უკვე აღვ-ნიშნეთ, იმავე ბათუმში, ომამდე ცხო-ვრობდა უფროსი თაობის რამდენიმე ჩინებული ექიმი. ერთ-ერთი მათგანი გა-ხლდათ ზურაბ წერეთელი — იშვიათი ფიზიკური და სულიერი ღირსებებით შემკული ადამიანი. ხელმოკლე ოჯახის ავადმყოფთან ვიზიტს ეს სათნო მოხუ-ცი ამთავრებდა სიტყვებით — ბაბაია, ჩემგან არაფერი გეწყინოთ. შემდეგ ირ-კვეოდა, რომ ექიმს რეცეპტს ქვემოთ წამლის ფულად დაეტოვებინა. საექიმო მზრუნველობას რომ იჩენდა, მას არც ადამიანის ღირსება ავიწყდებოდა. იგი ყველასთან თანაბრად ყურადღებანი და

ფაქიზი გახლდათ. ამიტომაც, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა აჭარელ ქალებს ჩადრის ჩამოსხნა ვერც კი წარმოედგინათ, ისინი მთებში ჩაკარგული შორეული სოფლებიდანაც უყოყმანოდ ჩამოდიდნენ ქალაქში, რათა წერეთლის ტკბილი სიტყვა და დარიგება მოესმინათ. დიდია ძალა ზნეობრივი სიწმინდის!

„ვერცხლმოყვარულობა“, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, სენივით შეყვრა ზოგიერთ თეთრხალათიანს, იუდასათვის გაღებულ გასამრჯელოსა ჰგავს, ადრე თუ გვიან პიროვნების ზნეობრივი აღსასრულით რომ მთავრდება. მართლაც, რამდენად იმცირებს თავს და ამცირებს თავის პროფესიულ მოწოდებას ექიმი, რომელიც პალატაში შედის და მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ავადმყოფებს განსხვავებულად ეკიდება, მათ ქონებრივ შესაძლებლობას თუ თანამდებობრივ ცენზს ზომავს. იგი უკვე საკუთარი სიხარბის, ვერცხლისმოყვარულობის მსხვერპლი გამხდარა. რა გასაიდუმლოებულ ვითარებაშიც არ უნდა მოხდეს წინასწარი გარიგება, ასეთი ექიმი მაინც გასცემს თავს, რადგან გაყიდულ სულს უმაღლესად უჩნდება ყურმოჭრილი სამსახურისათვის მზადყოფნის კომპლექსი. ასე ეწირება მეშხანური მომხვეჭელობის ცდუნებას ადამიანური ცხოვრების ყველაზე დიდი შინაარსი და მონაპოვარი — პიროვნული ღირსება. პიროვნება კი უპირველესად გულისხმობს ღრმა კაცთმოყვარეობას, შინაგან მზადყოფნას — უშუალოდ, დაუმაღლებლად გაუწოდო ხელი ყოველ შეჭირვებულს. ცნობილია, თავის დროზე როგორ დაირაზმნენ ერთი უბრალო სტუდენტის სიცოცხლის გადასარჩენად სახელგანთქმული ქართველი პროფესორები ნ. ყიფშიძე, ნ. წინამძღვრიშვილი და ა. ალადაშვილი მაშინ ახალგაზრდა ექიმ გ. მხეიძესთან ერთად. არ დაგვიწყდეთ, სამედიცინო სამყაროში უდიდესი ავტორიტეტის მქონე ამ მედიკოსებს ხშირად იწვევდნენ ხალხისა და სახელმწიფოსათვის ყველაზე ფასეულ სიცოცხლეთა მეთვალყურეებად. მაგრამ ისინი ღირსეული მკურნალი უპირველ-

სად იმიტომაც იყვნენ, რომ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეც და უჩინარი სტუდენტიც მათ თვალში ფასობდა ერთი უმთავრესი შინაარსით — ადამიანური სიცოცხლის უფლებით.

როგორ გნებავთ, მოვალეობისადმი ასეთი ამაღლებული სამსახურის მაგალითებს შევეუთავსოთ ზნეობრივი დაცემულობის ფაქტები, რომელთა მოწმენიც არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით. მართლაც და რა გამოვა, თუ საოპერაციო მაგიდასთან ექიმის გულმოდგინების განმსაზღვრელი იქნება ჯიბეში ჩაცურებული ფულის დასტის სისქე; თუ მშრომელი მოქალაქისათვის სახელმწიფოს მზრუნველობით დადგმულ საწარზე მთელი წლით დამნაშავეს წამოვწვენთ, ავადმყოფ ადამიანს კი ამაოდ ვალოდინებთ; თუ ჰუმანური სამსახურისათვის განკუთვნილ საათებს პირადი მეშხანური გატაცებების მოგვარებაზე გავფლანგავთ და ავადმყოფის ზედს სასწორზე შევადგებთ მხოლოდ ექთანის იმედით; თუ აფთიაქის სეიფებში სახელმწიფოს მიერ ხალხისათვის სოგჯერ ვალუტით ნაყიდი წამალი გვეგულებად, ავადმყოფის ჰირსუფაღს კი სპეკულანტთან ვისტუმრებთ ისევ აფთიაქიდან გაპარებულ წამლის საყიდლად...

თბილისში როგორღაც ასეთ სურათს შევესწარი. ერთი ყოვლად დარბაისელი კაცი მუშტმოღერებული მიიწვება აფთიაქის გამგისაკენ. ადამიანს დღის მძიმე ავადმყოფობის ამბავი მოსვლით სოფლიდან. მაშინვე ორი კარგი ექიმი ჩაუვსვენს მანქანაში და აფთიაქს რამდენჯერმე მიდგომია წამლების მისაღებად. აფთიაქის გამგეს ხან რა მოუმიზეზებია და ხან რა, მიუხედავად იმისა, რომ რეცეპტებზე სათანადო განკარგულებაც ყოფილა დადებული. რომ აღარ მოშვებიათ, ამ თეთრხალათიან მგელს ჰირსუფალო თავისებურად „უწუგმეზებია“: თუ დედაშენი ასეთ დღეშია, როგორც ამბობ, ცოცხალი აღარ იქნება. რა წამალი უშველის. თანაც ამ გაგანია სიცხეში ხომ შეიძლება მანქანის საბურავი გასკდეს და თქვენც ზედ მიჰყვითო.

ძნელია უპატიოსნო კაცის ასეთმა ცინიზმმა წონასწორობიდან არ გამოვიყვანოს.

მაინც რა ასეთი სიხარბე და გაუმაძღრობა მოძალბებით ზოგიერთებს, რომ ასე უპირობოდ არღვევენ საზეიმოდ დადებულ პიპოკრატეს ფიცს, რომ არაფერი აღარ ჰყოფნით და აკმაყოფილებთ, იმასაც კი არ სჯერდებიან, რაც წინა თაობათა ექიმებს საოცნებოდაც არ მოლანდებოდათ? მეშინური მომხვეჭელობით სულ-დაღრღნილი ამგვარი „პრაქტიკოსების“ მაგალითიც ხომ განაპირობებს ზედმეტი უზრუნველობის პირობებში გაზრდილი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ლტოლვას სამედიცინო ინსტიტუტისაკენ? იოლი ცხოვრების მოწყობის მაცდუნებელი აზრი ხომ არ უტრიალებს თავში ზოგიერთ სათნოსაზიან ქალიშვილსა და ქაბუქს, იერიშით რომ აწყდება პიპოკრატეს ტაძრის კარებს?! ღმერთმა ნუ ქნას ასეთი კონტინგენტისაგან გამომცხვარი ექიმების მომრავლება. პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს საქმეს დიდად დააზარალებდა, ჩრდილს მიაყენებდა საბჭოური ცხოვრების ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ მონაპოვარს. მედიცინის ვაიმსახურთა მეოხებითაა, მათგან გაწვალებული პაციენტი ზოგჯერ რომ გაგულისებული ჩაილაპარაკებს, ასეთ უფასო მკურნალობას რა ვუთხრო. ამას, ცხადია, ცხელ გულზე ამბობს, თორემ მისი აღშფოთება და გამწარება მაშინ გეკითხათ, მართლა ფულის გადახდა რომ მართებდეს. იმას, რაც უშურველად გვეძლევა, ხშირად სათანადოდ ვერ ვაფასებთ.

სახელმწიფოთის ორმოცდაათზე მეტ სახელმწიფოში ეყოფილვართ და მრავალგან საკუთარი თვლით გვინახავს პირდაპირ ქუჩაში ღვთის ანაბრად დაყრილი სნეულნი და დავრდომილნი, რომელთაც საერთოდ არ იციან, რა არის სამედიცინო დახმარება. დამოუკიდებელი განვითარების გზაზე ახლახან გამოსული აზიისა და აფრიკის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მხრივ დიდად სახარბიელო მდგომარეობა არც ბევრ მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოშია.

ამერიკის შეერთებული შტატებშიც კი მედიცინის უაღრესად მაღალი დონის კლინიკების ულტრათანამედროვე აღჭურვილობის მიუხედავად, სტატისტიკური მონაცემებით, ორმოც მილიონამდე ამერიკელი ფაქტიურად ერთხელაც ვერ ესინჯება ექიმს, ან თუ ესინჯება, მხოლოდ მაშინ, როცა უკვე დაგვიანებულია ჩვენს სუპერლიანერზე, რომლის მგზავრები ჩვეულებრივ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა უმდიდრესი ტური-სტები იყვნენ, საათობით ელოდებოდნენ მიღებას გემის პოლიკლინიკაში. მათ არ უნდოდათ ხელიდან გაეშვათ შესაძლებლობა უფასოდ გასინჯულიყვნენ საბჭოთა ექიმებთან, ზოგჯერ საავადმყოფო პალატაში ვაეტარებინათ ტურისტული გასერინებისათვის განკუთვნილი დღეები. ზოგიერთი ამას არც მალავდა — ამ გზით მკურნალობა გაცილებით იაფი გვიცდებოდა, ვიდრე ჩვენს კლინიკებშიო.

სამედიცინო დახმარების საბჭოთა სისტემის სიკეთე ყველას კარგად მოეხსენება. ამ სიკეთეს ჩვენ შევეჩვიეთ, როგორც ჩვენი ყოფა-ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. მით უფრო საჭიროა ვუფრთხილებოდეთ მას, სრულყოფილად, ვაუმჯობესებდეთ. ეს მარტო სამედიცინო პერსონალზე როდია დამოკიდებული. რა დასამალია, ხშირ შემთხვევაში თვით ავადმყოფები და მათი ქირისუფლები უწყობენ ხელს სამედიცინო პროფესიის ეთიკურ საფუძველში კოროზიის გაჩენას.

მადლიერების გრძნობა, მოგესხენებათ, ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანური გრძნობა გახლავთ. იგი, ბუნებრივია, ებადება ყველას, ვინც თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, მით უმეტეს, სიცოცხლით დავალებულია ექიმისაგან. არა გვეგონია, ამ მადლიერების გამოხატვის ადამიანური საშუალებები ისე ღარიბი იყოს, რომ მარტო ფულით ან მდიდრული საჩუქრებით ამოიწუროს. სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „მადლის გადახდა ესე არს, რომელმანცა კეთილი გვიყოს, ნაცვლი ვავით ანუ სიტყვით, ანუ საქმით, ანუ თაყვანის—

ცემით“. ამჟამად ყურადღება: სიბრძნის მამა უპირატესობას, პირველობას მაღლიერების სიტყვას ანიჭებს. იქნებ ზოგიერთი თეთრხალათიანისათვის ეს ძალიან ცოტას ან სულაც არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ამის გამო მატერიალურ კონიუნქტურას ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპებზე მაღლა ვერ დააყენებს საზოგადოება. საბედნიეროდ, ამ პრინციპებისადმი ერთგულებაზე ხელის აღებას ზრულებითაც არ აპირებენ ჩვენი მედიცინის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მრავალზე მრავალნი არიან. ალბათ, ბევრ ბათუმელს დღემდე ახსოვს ჩინებული ექიმი ომარ ჭანტურია, რომელიც კარგახანს მოღვაწეობდა ჩვენს მშობლიურ ქალაქში. იგი სულ პირველად ამ ოცდახუთი წლის წინათ თბილისში გავიცანი. მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტმა ჩვენს თვალწინ ერთი ქაბუკის სიცოცხლე იხსნა სრულიად უანგაროდ. მძიმე ოპერაციის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ, ქაღალდივით გათეთრებულ ახალგაზრდა ქირურგს მთელი დღე-ღამის მანძილზე საავადმყოფოდან არ მოუტყვლია ფეხი, პალატაში პირადად

ადგა თავზე ჭაბუკს, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ მან ისევ სიცოცხლისავენ იტარუნა პირი. ცხადია, ექიმმა უდიდეს მორალურ ვალში ჩააგდო მორჩენილიცა და მისი ჭირისუფლებიც, მაგრამ ეს არასოდეს არაფრით არ უგაძნობინებია, რადგან წუთითაც არ დაუკარგავს პროფესიული ღირსებისა და საკუთარ ღირსების გრძნობა. სწორედ ეს თვისება ქმნის ჭეშმარიტი ექიმის გარშემო იმ უხილავ მაგნიტურ არეს, რომლის შიგნითაც ვერავითარი ანგარება და მწიკვლი ვერ აღწევს. სამაგიეროდ დარჩა ახალ ადამიანთა შემომტკიცების, მეგობრული კეთილგანწყობილებისა და სიყვარულის გრძნობა, რომელიც დრომ ოდნავადაც ვერ გაანეღა. დღესაც, როცა ამ კეთილშობილ კაცს მისი გადარჩენილი ადამიანის კარგადმყოფობის ამბავს ეტყვიან, სახეზე კეთილი, სათნო ღიმილი გადაეფინება. ასეთ ღიმილს, მხოლოდ ზნეობრივი სიწმინდე და უანგარობა ჰბადებს.

მამ, ვადიდოთ ყველა, ვინც მართლა პირნათელი, მისანდობელი და უხარბოა!



რამაჳ სჳრმანიძე

ზაქარია ჭიჭინაძის უკანასკნელი დღეები

თბილისში, ხელოვანთა სასახლეში, 1922 წლის 3 თებერვალს ქართველმა მწერლებმა ქართული წიგნის დღესასწაული გამართეს, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი კაცის სახელს თუ გაიგონებდით. თანამედროვე მწერლებმა ეს დღე მთლიანად ქართული მწიგნობრობის დიდი მოამავის ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლისთავს მიუძღვნეს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მოწოდებაში, რომელიც ამ საღამოზე წაიკითხეს, ნათქვამია: „...იყვნენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან მისი აყვავებისა და აღორძინების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე. 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობს ეს რაინდი ქართული წიგნისა. როდესაც იგი, ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით გატაცებული პიროვნებანი. ზაქარია ჭიჭინაძე თავდადებით შეუდგა უკეთილშობილეს საქმეს. მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით. მან მრავალი ზღნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას... სამაჳჳდიანო საქართველოში პირველად შეიჭრა ქართული

წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით. იქ მშობლიური ენის აღდგენის საქმეს ტკიცე საფუძველი ჩაუყარა მან“.

საქართველოში მწიგნობარსა და წიგნის მოყვარულს რა გამოლევდა, მაგრამ ზაქარია ჭიჭინაძისთანა ხელხვაეროელი მართლაც ძნელად თუ მოინახებოდა. საკმარისია ითქვას, რომ მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მან დაწერა 250-ზე მეტი წიგნი, ე. ი. წელიწადში საშუალოდ ხუთი, რომელთაგან სიცოცხლეში გამოქვეყნდა 115. მან ერთ-ერთმა პირველმა დაწერა წიგნი ქართველ კათოლიკეებზე, ქართველ ებრაელებზე, ოსებზე, ლაზებზე; გააცნო ქართველ მკითხველს პრუდონი, ოუენი, სენ-სიმონი, ფურიე; 1887 წელს მიუძღვნა წერილი პროლეტარიატის დიდ ბელადს კარლ მარქსს, მისი „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოსვლის გამო.

ზაქარია ჭიჭინაძის ხელი საქართველოს ყველა კუთხეს მიწვდა, მაგრამ მას გამორჩევით აწუხებდა უცხოელთაგან საუკუნეობით მიტაცებული აჭარის ბედი. როგორც კი ეს კუთხე გათავისუფლდა და აქედან თავისუფალი მისვლა-მოსვლა დაიწყო თბილისში, მაშინვე აჭარელთათვის ერთი უახლოესი მეგობარი, მრჩეველი და გზის მასწავლებელი ზაქარია ჭი-

ჭინაძე გახდა. მის ოჯახში ხშირად ნახავდით რეჟებ ნიჟარაძესა და ის- მაილ კაკიკაძევილს, რომლებიც სწო- რედ ზაქარიას რჩევით გახდნენ სტუ- დენტები, მოწინავე აჭარლებს აბდულ მიქელაძეს, ხასან ციციანს და სხვებს.

1889 წლიდან ზაქარია ჭიჭინაძე ყოველწლიურად მოგზაურობდა აჭა- რაში. ის აქ ჩამოდიოდა წიგნებით და ლტინათულის და უფასოდ უთმობდა და მოსახლეობას წიგნებს, რომელთა თემატიკასაც თვითონვე შეარჩევდა ხოლმე. აჭარლებისათვის რამდენიმე წიგნი სპეციალურადაც გამოსცა ქარ- თულ ენაზე, ამ წიგნებში უხვად იყო ისტორიული წერილები, სახალხო ლექსები, პატრიოტული თუ რელიგი- ური თემები, შოთა რუსთაველის აფ- ორიზმები, რომლებიც ისედაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა ადგილობრივ მო- სახლეობაში ზეპირი გადმოცემების, თქმულებებისა და ანდაზების სახით.

როგორც ცნობილია, გასული საუ- კუნის 80-90-იან წლებში აჭარაში ფეხი მოიკიდა მუჰაჯირობამ — ადგი- ლობრივ მცხოვრებთა აყრა-გადასახ- ლებამ. მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საშიში პროცესის შესაჩერებლად. თუ აჭა- რის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა უა- რი განაცხადა მშობლიური მიწა- წყლის მიტოვებაზე, ამაში დიდი წვლილი სწორედ ზაქარია ჭიჭინაძეს მიუძღვის. იგი თვეობით რჩებოდა აჭ- არის სოფლებში და მოწინავე აჭარ- ლების მეშვეობით ურჩევდა ხალხს არ მიეტოვებინა სახლ-კარი. კრებდა ლექვენებს, ხალხურ თქმულებებს, ან- დაზებს, ძველ მანუსკრიპტებსა და სიველ-გუჯრებს, სამკურნალო ხელ- ნაწერებსა და პირად ბარათებს. მოსა- ხლეობის ცნობის მოსაპოვებლად დი- დმა პატრიოტმა აქვე შეისწავლა მა- ჰმადიანური ლოცვები, ზოგჯერ ჯამე- შიც კი შედიოდა და ლოცულობდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერ- თად. ლოცვები ქართული შრიფტით

არაბულ ენაზე დაბეჭდა და წიგნადაც გამოსცა. საერთოდ, თავისი წიგნები- დან ზ. ჭიჭინაძემ რვა აჭარას და სა- მაჰმადიანო საქართველოს მიუძღვნა, რომლებსაც აბდულ მიქელაძის, ხა- სან ციციანის და სხვა პროგრესულად მოაზროვნე აღაშიანების მეშვეობით ავრცელებდა. მართო ამ წიგნების სა- ხელწოდებათა ჩამოთვლაც საქართველო- იძის წარმოსადგენად, თუ რა დიდი მონდობებითა და რუდუნებით მუშაო- ბდა მათი ავტორი აჭარის წარსულის წარმოსაჩვენად: „ოსმალეთის ყოფილი საქართველო“, „ქართველების გამაჰ- მადიანება“, „ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება, — მუჰაჯირთ ემი- გრაცია“, „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, „ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება“, „ქართველ მაჰმადიანთ ლოცვები არ- აბულის სიტყვებით და ქართული ას- ოებით“, „ქართველ მაჰმადიანთ სახა- ლხო ლექსები“, „ალი ფაშა თავდგი- რიძე და მისი გვარის დღეატი“. აღარაფერს ვამბობთ რამდენიმე ასე- ულ საგაზეთო და საჟურნალო წერი- ლებზე, რომლებშიც აღწერილია აჭა- რის წარსული, ცალკეული ისტორიუ- ლი პიროვნების მანამდე უცნობი ბი- ოგრაფია, მათი ღვაწლი ეროვნული ერთიანობის, ენისა და ადამ-ჩვევების შენარჩუნებისათვის.

შესაძლოა, ზ. ჭიჭინაძის ზოგიერთ წიგნსა და სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები დღეს სადაო იყოს, მა- გრამ ეს სრულიადაც ვერ შეამცირებს იმ დიდ ამაგს, რაც ზაქარიამ, ქარ- თულ მწიგნობრობას, ისტორიასა და სხვა ეროვნულ საქმეებს დასდო. აჭა- რაში სულ უფრო მატულობდა ქარ- თული წიგნის კითხვის მსურველთა რიცხვი, ქართულ სკოლაში მოიმატა არამართო მაღალი ფენის წარმოა- დგენელთა შვილების, არამედ ღარიბ მოსწავლეთა რიცხვმაც.

აჭარაში ყოფნის დროს ზაქარია ჭი- ჭინაძე ხშირად ლაზეთსაც ესტუმრე- ბოდა ხოლმე, ეცნობოდა იქაური

სოფლების ცხოვრებას. ჩხალის ხეობის სოფლებში შეისწავლა ლაზების ყოფა-ცხოვრება და ქართულ გაზეთებში გამოაქვეყნა ათეულობით წერილი ლაზების ისტორიისა და აწმყოს შესახებ.

აჭარის კულტურულ აღორძინება-განვითარებაში ზაქარია ჭიჭინაძის წვლილს განსაკუთრებით თბილად წარმოგვიდგენს ცნობილი ქართველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი საინტერესო მონოგრაფიაში „ჩემი ცხოვრების წიგნი“.

ერთხელ გოლოვინის პროსპექტზე სეირნობის დროს ზაქარიას და იოსებს აკაკი შეხვედრიათ. პოეტს ზაქარიასათვის აჭარის ამბები უკითხავს და თან ჩვეული ენამახვილობით უხუმრია.

— ბარემ იქვე დასახლდი, ჩემო ზაქარია, იმათი მოქრისტიანების რა ვითხრა, მაგრამ შენ რომ გამაჰმადიანებული ხარ, ეს კი ცხადია.

— რაზე მიბრძანებ? — შეეკითხა შეკრთობით ზაქარია.

— რაზე და... თურმე იმათ ჯამეში ფეხმორთხმული მაჰმადს ლოცულობ, — განმარტა ღიმილით აკაკიმ.

— რას იზამ, როცა ეს ჩვენი ერისათვის საჭიროა, — მიუგო ზაქარიამ, — თუკი თქვენ, ბატონო აკაკი, ერის გადასარჩენად ბავრატ მეფეს სჯული გამოაცვლევინეთ, მე ვანა დამნაშავე ვიქნები, რომ ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის, ჩვენ ძმა მუსლიმანთა ჯამეში ვილოცო?..

— გეზუმრე, ჩემო ზაქრო, გეზუმრე, შე კაცო, კი არ უნდა გაფხუკიანდე. ჩვენი ერის გამთელებისა და გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიკისროთ, ჯამეში კი არა, თუნდ ჯოჯოხეთში ვილოცოთ — უთხრა აკაკიმ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში უცხო აგენტები აჭარაში კვლავ აგრძელებდნენ თავიანთ შავნელ საქმიანობას, ატა-

რებდნენ ავითაცისა და ცდილობდნენ მოსახლეობის გადაბირებას. თითქმის ოროლა შეუგნებელი ადამიანი ბრძანებებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების ანკესზე. ამ მდგომარეობამ აუცილებელი გახადა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება. ზაქარია ჭიჭინაძე იოსებ იმედაშვილისადმი მიწერილ ბარათში წერს, რომ საჭიროა აჭარაში ქართული წიგნების შეტანა და ამასთან თხოვს ადრესატს აცნობოს ბათუმში წასვლის დრო: „აბა შენ იცი, თუ ამ მზარეს არ დაივიწყებ და ჩვენ-ჩვენ ვალს მოვიხდით და ჩვენ მთავრობასაც ვაცნობებთ თავიანთ ვალდებულებას... ამაზედ მეტი დიდი საქმე ჩვენთვის სხვა აღარა იქნება რა“.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდშიც ზაქარია ჭიჭინაძეს გადაუწყვეტია აჭარის მონახულება: „მინდა ჩემს საყვარელ აჭარა-ქობულეთს კიდევ ერთხელ თვალი დავკრა, იქნებ რა შემართება...“ — სწერდა იოსებ იმედაშვილს და ეპატიჟებოდა, თან გაყოლოდა. იოსები სიაძოვნებით დათანხმებია და ბათუმში ჩამოსულან. ბათუმში ყოფნა ი. იმედაშვილს თავის წიგნში დაწვრილებით აქვს აღწერილი. ვუფიქრობთ, საინტერესო იქნება ერთი ადგილის მთლიანად მოტანა: „სადგურზე დაგვხვდა ძველი ბათუმის მესტამბე რევოლუციონერი, ბათუმის ყოფილი ხმოსანი, ნაკატორდალი აღფეს მიქელაიშვილი. ორივეს ხელი მოგვხვია და პირდაპირ თავის სახლში წავვიყვანა... ცხოვრობდა ლასალის (თუ არ ვცდები) ქუჩაზე...“

ორსართულიანი სახლი ედგა. იშვიათი სილამაზით მოწყობილ-მოშანდაკებული, მაგნოლით, ნაირ-ყვავილებით და ხეული ვარდებით დამშვენებული, ყოველმხრივ გამაგრებული ეზოთი. ნაქვრივალს მეორე ცოლად ჰყავდა გერმანული ენის მასწავლებელი, უცხო ტომის ინტელიგენტი ქალი, იშვიათი დიასახლისი, გულ-ღია, თავაზიანი და გულისხმიერი...

...ზაქარიას ქვედა სართულში, სა-
მადლო ოთახიდან გამავალი კარით
პატარა კაბინეტში მოუწვევს საწოლი
საწერი მაგიდითურთ, ხოლო მე, რა-
დგან დიასახლისს ზაქარიამ უთხრა
რადაც რომანსა სწერსო, ზედა სარ-
თულში, კიბის თავზე მომაწყო საუ-
ცხოო ნათელ ოთახში. ყველაფერი
იყო აქ, მაგიდა, საწერ-კალამი, საწო-
ლი, წყალი და სხვა...

რვა თუ ცხრა დღე დავრჩით ამ
ოჯახში. სადილ-ვახშმის დროს ჩვე-
ნი საუბრის საგანი იყო ისტორიულ-
რევოლუციური და სამწიგნობრო-სა-
ზოგადოებრივი საკითხები“.

შემდეგ სტუმრები აბაშიძეების
ოჯახში გადასულან, ორი კვირის
მერე კი ქობულეთში გულა კაიკაცი-
შვილის უფროს ვაჟს და ხოჯა ისკენ-
დერ ცივაძეს სწევნიან. აქედან ისინი
სახალხო მასწავლებელ არსენ წით-
ლიძის ქვრივს დაუპატიჟებია... აჭა-
რაში სულ ერთ თვემდე დარჩენილან.

იოსებ იმედაშვილი განსაკუთრებით
ზაინტერესოდ აღწერს ზაქარია ჭი-
ჭიასაის სიცოცხლის ბოლო დღეებს
და მის დანაბარებს. უკანასკნელ ამო-
სუნთქვამდე დიდ მამულიშვილს აწუ-
ხებდა აჭაიის ბედი და ცდილობდა ამ
კუთხის მცხოვრებთათვის როგორმე
შეეძლებოდათ ის ტვირთი, ისტო-
რიულმა ჩამორჩენილობამ რომ არ-
გუნა: „ჩემო იოსებ... ნახე ფილიპე
მასარაძე, მიხა ცხაკაია ან ვინც იქ-
ნება კომუნარული მთავრობა, ნახე
და უთხარი: ჩემი სახლი კერძო მდგ-
მურებისაგან გასწმინდონ და შიგ ჩა-
ასახლონ აჭარა-ქობულეთელი უბინაო
სტუდენტები, ქართველი მუსლიმანე-
ბი... თუ კაცი ხარ არ დაგავიწყდეს

რაც ვითხარი... მე მგონი დიდი ხნის
სიცოცხლე აღარა მაქვს“...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ,
ბუნებრივია, საკუთარ თავს დავუსვით
კითხვა: როგორ უკვდავყავით ზაქარია
ჭიჭინაძის სახელი? სამართლიანობა
მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენს დროში
ამ მეტად საინტერესო პიროვნების
შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში
ბევრი დაიწერა, მაგრამ ისინი ფრაგ-
მენტული ხასიათისაა. ზაქარია ჭიჭი-
ნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა
სრულყოფილად უნდა აისახოს.

ძალზე საინტერესოა, ენახათ აღ-
გილები, სადაც ბათუმში ყოფნისას
ჩერდებოდა ზაქარია ჭიჭინაძე. აქ მას
ბევრი მეგობარი ჰყავდა და, ბუნებ-
რივია, მათ ესტუმრებოდა კიდეც, მა-
გრამ ამის უტყუარი ცნობები არ გა-
გვანია. ამ მხრივ მეტად საყურად-
ღებოა იმ სახლის მიგება, რომე-
ლიც ალფეს მიქელაიშვილს ეკუთვნო-
და. ჩვენი ქალაქის ხანდაზმულთაგან
მხოლოდ აწ განსვენებულმა ალექსან-
დრე თირიშვილმა მიგვითხია, რომ
ალფეს მიქელაიშვილის ორსართული-
ანი სახლი იდგა ღასალის ქუჩაზე. ქა-
ლთა გიმნაზიის (ახლა ჯინჭარაძის
ქუჩა, I საშუალო სკოლა) პირდაპირ.
ახლა აქ სამსართულიანი სახლია.

ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლის დასა-
ფასებლად მიზანშეწონილად მიგვაჩ-
ნია აჭარის შემოქმედებითმა ინტე-
ლიგენციამ მოამზადოს და გამოსცეს
მონოგრაფია ამ დიდი მწიგნობრისა
და მოამაგის ცხოვრება-მოღვაწეობის
შესახებ, კარგი იქნება, თუ შენობას,
რომელიც ღვას ალფეს მიქელაიშვი-
ლის სახლის ფუძეზე, გაუკეთდეს ზა-
ქარია ჭიჭინაძის და იოსებ იმედაშ-
ვილის აქ ყოფნის ამსახველი მემორი-
ალური დაფა.



იოსებ ბეჰიურიშვილი

სცამებების ოჯახი

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში აფხაზ მუჰაჯირთა ერთი ნაწილი აჭარაში — ბათუმში, ანგისაში, ურეხში, ახალ-შენსა და გონიოს შემოგარენში დასახლდა, უფრო კომპაქტურად კი ანგისაში მოიყარა თავი. ეს სოფელი ბათუმიდან მდინარე კოროხამდე აღწევდა და რამდენიმე უბანს ითვლიდა. აი, სწორედ აქ, მინდაში, დაბინავებულთა შორის იყო ცანდრიშვილი იაკობ აცამბას ოჯახი. 1873 წელს დაებადათ ვაჟი, რომელსაც მუსტაფი დაარქვეს, იგი მრავალი ისტორიული ამბის მომსწრე და მონაწილეა. ისინი მკიდროდ დაკავშირებული არიან აჭარის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლებსა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან, აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილების ცნობრებასთან.

ოსმალთა მიერ ტრაპიზონში ძალით წაყვანილთა შორის იყვნენ აფხაზეთის გამოჩენილი შვილის დიმიტრი გულიას მშობლებიც. სამშობლოს მიტოვებამ ძლიერ იმოქმედა ლტოლვილებზე და უკან დაბრუნება არჩიეს. ქართველმა 1877 წელს ისინი აჭარაში მოიყვანა.

დიმიტრი გულია იგონებდა, ბათუმის განაპირას აფხაზებმა ძროხა მოგვცეს და ქოხის აგებაში დაგვეხმარნენ. შემდეგ კი ლტოლვილნი სამშობლოში დაბრუნდნენ. იმათ შორის, ვინც თანამემამულეებს ხელი მოუმართა, იყო იაკობ აცამბაც.

1912 წლის ზაფხულში დიმიტრი გუ-

ლია ბათუმში ჩამოვიდა და აცამბებს ეწვია. იგი ანგისელებმა გულთბილად მიიღეს 1925 წელსაც. მაშინ ბათუმში მხარეთმცოდნეთა ყრილობა გაიხსნა. მუსტაფა აცამბა, როგორც აჭარის ცაკის წევრი, სხვებთან ერთად ეთნოგრაფიულ და სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ედგა სათავეში. მან ყრილობაზე მოისმინა დ. გულიას მოხსენება „აფხაზ მონადირეთა ღმერთები და მონადირეთა ენა“.

ანგისელ აფხაზთა შესახებ პუბლიცისტი თედო სახოკია წერდა: მათი რაოდენობა 70 კომლს აღწევს. აქვთ ქვის სახლები, უმეტესად ფაცხებში ცხოვრობენ. ციებ-ცხელება და მდინარე ქოროხი ვნებს მათ. ქართული ენა კარგად შეისწავლეს, შვილებს სასწავლებლად აძლევენ.

ხელმოკლეობის გამო მუსტაფმა ბათუმს მიაშურა, ნავსადგურის მტვირთავი გახდა. იგი აქ დაუახლოვდა რევოლუციონერებს და მათ საქმიანობაში ჩაება. მის გათვითცნობიერებაში გარკვეული როლი შეასრულა ფერეღმა თანამემამულემ ხაშიმ სმირბამ. აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ნესტორ ლაიკობას ცნობით, ისინი ქაბუკობიდანვე მეგობრობდნენ. შემდეგ მუსტაფს დავალებაც მისცეს — სოფელში პროპაგანდისტობა დაეკისრეს. ანგისელები გაბედულად იცავდნენ თავიანთ უფლებებს და მიწების გადანაწილებაც სცადეს. ზაფეთი „ივერია“ 1903 წლის

მასში იუწყებოდა ანგისელთა შევიწროებასა და მიწების ჩამორთმევას. უფრო მღელვარე იყო 1905 წელი. გუბერნატორმა გააფრთხილა, მიწები არ მიითვისოთ, თორემ გადასახადებს გაგიდიღებთო. სოფელი აიგო პროკლამაციებით. მდგომარეობა დაიძაბა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ჯარისკაცები ძარცვავდნენ გლეხებს, ამას მოჰყვა ხანძარი, ცეცხლს მისცეს მ. აცამბას სახლიც... რევოლუციის დამარცხების შემდეგ მუსტაფა ციმიბირში გადასახლეს. იქიდან გამოიქცა და ერთხანს ბაქოში იმალებოდა.

1911 წელს ბათუმში ნ. ლაკობა ჩამოვიდა. იგი სანიტარიულ აგენტად მოეწყო და რევოლუციური საქმიანობაც გააჩაღა, მ. აცამბას ხელშეწყობით აგიტაციას ეწეოდა ანგისასა და მეზობელ სოფლებში. მუსტაფა და მისმა ამხანაგებმა აფხაზეთის ასევე ცნობილ მოღვაწე ფერემ ეშბასაც მოუმართეს ხელი. იგი რევოლუციური საქმიანობის გამო ტრაპიზონიდან გამოაძევეს. იძულებული იყო ბათუმს, კერძოდ, ანგისას შეფარებოდა.

დოცენტ მ. ჩაილეიშვილის ცნობით, 1917 წლის ნოემბერში ბათუმში შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ნ. ლაკობას, ს. გუბელ-მეძმარიაშვილისა და ა. ბელენკოს შემადგენლობით. მას დაევალა აფხაზეთის აჯანყებულ მუშათა და გლეხთა იარაღ-საჭურველით მომარაგება. ბათუმელებმა გამონახეს თოფები, ფეთქებადი ნივთიერება, ნაწილიც ჯარისკაცებში შეიძინეს და უზრუნველყვეს მათი ზღვით გაგზავნა დატყეული დროისათვის. ამ საქმეშიც მ. აცამბას ხელი ერია. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ რევოლუციურმა საქმიანობამ ნესტორ ლაკობა ბათუმელ აზმედ ჭიხაშვილთან დააკავშირა, რომლის ქალიშვილი სარიე ცოლად შეირთო.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მ. აცამბა აქტიურად ჩაება კახაბრის თემისა და ჭოროხის მაზრის ახალი ხელისუფლების

ორგანოების შექმნასა და განმტკიცებაში.

1922 წლის იანვარში მუსტაფა ესწრებოდა აჭარის საბჭოების პირველ ყრილობას, რომელსაც აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ე. ეშბა მიესალმა. აჭარის ცენტრალური არქივის ფონდში დაცულია ცნობა, რომ ჭოროხის მაზრის ყრილობამ სხვებთან ერთად მ. აცამბა აჭარის საბჭოების მეოთხე ყრილობის დელეგატად აირჩია. ეს ფორუმი 1923 წლის ნოემბერში გაიმართა.

1924 წლის 26 იანვარს ჭოროხის მაზრაში მოეწყო ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამგლოვიარო მიტინგი, რომელზეც სიტყვით მ. აცამბაც გამოვიდა. იგი ამ დროს აჭარის ცაკის წევრი იყო. ნ. კრუჰსკაიასადმი გაგზავნილ დეპეშაში მიტინგის მონაწილეებმა ფიცი დადეს, რომ არასოდეს უღალატებდნენ დიდი ბელადის უკვდავ საქმეს.

ანგისელი პენსიონერი აბდულ ციბა, რომელიც მ. აცამბას მიერ შექმნილ კოლმეურნეობას 25 წლის განმავლობაში ედგა სათავეში, იგონებს: მუსტაფა პირდაპირი, სიმართლის მოყვარული იყო, მის გარეშე სოფელში არცერთი საკითხი არ წყდებოდა. 1923-1924 წლებში მ. აცამბა ზემო აჭარაში მიავლიხეს. დანდალოში, შუბანში, კალოთასა და სხვაგან ყოველთვის სიხარულით ელოდნენ მას. მაგრამ 1928 წელს უკანვე გამოვიტხოვეთ. საჭირო იყო კოლმეურნეობის შექმნა და განმტკიცება, გლეხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. კოლმეურნეობას „წითელი აფხაზეთი“ ვუწოდეთ და მის პირველ თავმჯდომარედ მ. აცამბა ავირჩიეთ. ახლა უფრო გაბედულად შევუტეით ჭაობებს, გვიყვანეთ წყალსაწრეტი არხები, ავაგეთ მეცხოველეობის ფერმა, სკოლა, გავაშენეთ ციტრუსოვანთა და თუთის ნარგავები. განსაკუთრებით დიდია მ. აცამბას წვლილი ბათუმიდან წყალსადენის გამოყვანაში...

შრომისმოყვარე სოფლისთავი და თავდადებული ვაჟაკი ღვსაც ბევრს

ასოცს, თუმცა კარგა ხნის წინათ, 1931 წელს გარდაიცვალა. საკუთარი სურვილის თანახმად, იგი ზემო აჭარის, კერძოდ, ჩირუხის მიწას მიაბარეს... მიმაჩნია, რომ მ. აცამბას სახელი ანგისის ერთ-ერთ ქუჩას ან სკოლას უნდა მიეკუთვნოს... ა. ციცბას აზრი გაიზიარა სოფლის ასევე ყოფილმა თავაკაცმა, პენსიონერმა მიხეილ წულუკიძემაც.

საინტერესო ცნობები მოგვწოდა აგრეთვე კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ, ძველმა ჟურნალისტმა ანგისელმა ოთარ შავაძემ.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვაქვეყნე წიგნი აჭარაში. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ. საამისოდ არქივები და ძველი გაზეთები გამოვიყენე, — ამბობს ო. შავაძე. — გაზეთ „ფუხარას“ 1926 წლის ერთ ნომერში მოთხრობილია, რომ მ. აცამბა 1922 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა მიწების აზომვასა და განაწილებაში. სოფელში გაიხსნა კლუბი, შეიქმნა პიონერული ორგანიზაცია. ესეც მუსტაფის დამსახურებაა.

მუსტაფის მეუღლე ესმა მონაწილეა ბათუმში 1929 წელს გამართული ქალთა გრანდიოზული მიტინგისა, რომელიც ჩადრის ასდას მიეძღვნა. ქმრის გაღატაკელების შემდეგ ესმა კოლმეურნეობაში შრომობდა..

მუსტაფ და ესმა აცამბებმა ოთხი შვილი აღზარდეს. უფროსმა ახმედმა 1941 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტი დაამთავრა და ბათუმის პედინსტიტუტში სამუშაოდ გამოგზავნეს, მაგრამ მოსკოვის დამკვეთთა რიგებში ჩადგა. იბრძოდა „მიტინგ მიწაზე“, უკრაინაში. ასეულის უფროსი ა. აცამბა დაიღუპა 1945 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის საზღვარზე ბრძოლის დროს. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის ორდენებით, მედლებით.

ჩვენი საშობლოს თავისუფლებას შემიძნა აზიზიც. იგი აღრევე მხატვრობამ

გაიტაცა, სწავლა მოსკოვის საარქიტექტორო ინსტიტუტში გააგრძელა. დაშორებისთანავე ფრონტს მიაშურა. ორდენოსანი კაპიტანი ა. აცამბა 1943 წლის ივნისში გმირულად დაიღუპა აზოვის ზღვის მისადგომებთან.

მესამე ძმა ხასანი მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ გუდაუთის მანქანატრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსად მუშაობდა, მერე იყო პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი. 1946 წელს აჭარაში დაბრუნდა. იყო ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსის მოადგილე, მეზღვაურთა ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარე, აჭარის „სოიუზმეჩატის“ უფროსი, პირველი პროდუქციური სასწავლებლის დირექტორი, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ახლა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საეპტო ორგანიზაციას უდგას სათავეში.

უმცროსი შვილი — ფერიდმ ბათუმის ქალთა პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობდა, როცა 1937 წლის ივნისში საქალაქო შეკრებაზე საკუთარი ლექსით მიმართა სტუმრად ჩამოსულ აფხაზეთის მწერალთა დელეგაციას, რომელსაც ს. ჭანბა ხელმძღვანელობდა. შემდეგ დაამთავრა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა. იყო სტიპენდიანტი. აქვე დაცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა დოცენტი. ამჟამად ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგის მოადგილეა.

ამ ზაფხულში მშობლიურ ბათუმში ყოფნის დროს ფერიდმ გვითხრა: მახარებს იმის შეგნება, რომ არ შევარცხვინეთ მშობლიური კუთხე, ჩვენი ხალხი, სამშობლო... ჩვენი ოჯახის მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმ ქვეშაირიტებისა, თუ რა დიდი ძალა აქვს ხალხთა მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთნდობასა და პატივისცემას.

იშრი სიხარულიძე

მარიამწმიდის ერთი ფრესკული სახე



ვინ მოსთვლის რამდენი სახელოვანი ქართველი მოღვაწის სახე შემოუნახავს ჩვენს ძველ კედლის მხატვრობას. მათ შორისაა შესანიშნავი ფრესკული გამოსახულებანი იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და ქვაბისხევის მარიამწმიდის ეკლესიაში (ბორჯომის რ.).

ქვაბისხევის ბაზილიკის მხატვრობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საერო პირთა — შოთას და იას ფრესკული სახეები.

მარიამწმიდის შესწავლა ხუროთმოძღვრული აზომვით დაიწყო 1912 წელს. იგი განახორციელა აკადემიკოს ე. თაყაიშვილის „ემისარმა“, სტუდენტმა მ. კალაშნიკოვმა (შემდ-

გომ გამოჩენილი ხუროთმოძღვარი). მისი ანაზოში 12 წლის შემდეგ გამოქვეყნდა (ე. თაყაიშვილი, ხუროთმოძღვრების აღბოძი, ტფ. 1924, ტაბ. 62).

შოთას ფრესკა მ. კალაშნიკოვს ეტყობა, შეუმჩნეველი დარჩა, თორემ, თვითონ თუ არა, ე. თაყაიშვილი მაინც განიხილავდა მას.

აქედან მოკიდებული, 40-იან წლებამდე მარიამწმიდა აღარავის მოუხილავს. დიდი ხნის დუმილი 1947 წლის ზაფხულში დაარღვია ბორჯომის სააგარაკოდ ჩამოსულმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელსაც წილად ხვდა შოთას შესანიშნავი

ფრესკის აღმოჩენის პატივი (ნ. ბერძენიშვილი, „ბორჯომის ხეობა“ (დღიური, 1947), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 207-271.).

მას შემდეგ ქვაბისხევის მარიამწმიდა მრავალმა მკვლევარმა ინახულა და ამა თუ იმ კუთხით სცადა მისი შესწავლა თუ პოპულარიზაცია.

პირველი მეცნიერი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის შემდეგ დაინტერესდა ამ ძეგლით, ჩვენი სახელმწიფო ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი იყო. ნ. ბერძენიშვილისავე მისწავლებით, 1948 წლის აგვისტოში მან სპეციალურად შეისწავლა მარიამწმიდა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით და კიდევ უფრო განუმტკიცა საფუძველი ნ. ბერძენიშვილის ზოგიერთ შეხედულებას (გ. ჩუბინაშვილი, ქვაბისხევის ხეობის ძეგლი ბაზილიკა, ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 34, 1948, გვ. 391-398).

ამავე თვალსაზრისით ნაყოფიერი გამოდგა სამცხის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციაც (1957-1959 წწ). ამ ექსპედიციის მასალების ერთი ნაწილი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულში“ დაიბეჭდა 1964 წელს (ტ. II). სამწუხაროდ, უადგილობის გამო, მაშინ აღარ მოხერხდა აღწერილობისადმი კომენტარების დართვა. დღემდე მისი მეტად მცირე ნაწილია დაბეჭდილი (1966, 1980). ერთ-ერთი ჩვენი ასეთი ექსპერტი მიზნად ისახავდა აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ერთი პირობების — მარიამწმიდელი შოთასა და იას ვინაობის შესწავლას. ამავ საკითხს ამ უკანასკნელ ჟამს შეეხო მწერალი და მხარეთმცოდნე გ. ზედგენიძე წერილში „შოთა რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევაში“, რომელიც გაზეთმა „წიგნის სამყარო“ გამოაქვეყნა (28 მაისი, 1980 წ.).

ამ წერილს დადებითად გამოეხმაურა პროფესორი ზ. ჭუმბურიძე („რუსთაველი ქვაბისხევაში“, გაზეთ „კომუნისტი“, 22 ივნისი, 1980 წ.).

ასევე დადებითად განიხილავდა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას მარიამწმიდის ფრესკულ სახეთა ვინაობის შესახებ პროფესორი ა. გაჩეჩილაძეც 1977 წელს („ძვირფასი სახეები“, გაზეთ „კომუნისტი“, 19 აგვისტო).

იყო მარიამწმიდის ეპიგრაფიკული ძეგლის სხვაგვარი წაკითხვის ცდაც (პროფესორი ს. ცაიშვილი, შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“, 14 მაისი, 1965 წ.).


საკითხის შესწავლის ამ არასრული მოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდია ინტერესი მარიამწმიდის ფრესკის საერთო პირთა ვინაობისადმი. ამ საკითხის მეცნიერული გათვალისწინებისათვის აუცილებელ მონაცემთა შორის ყველაზე ძვირფასია ამავე ფრესკის წარწერები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა სამი სიტყვა, რომელთაგან პირველი და მეორე სრულადაა მოღწეული და დღევანდამდე იკითხება „შოთა“ და „იას“. ეს პირთა სახელები ასევე სრულად ამოიკითხა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა. რაც შეეხება მესამეს, რომელიც სავარაუდო სახელი უნდა იყოს, მან აქ მხოლოდ ერთი ასოს (რ) წაკითხვა მოახერხა. მართალია, შემდეგ ზოგმა მკვლევარმა აქ მთავრულ „ძ“ — ს მისცა უპირატესობა (ს. ცაიშვილი), მაგრამ არ დადასტურდა.

1959 წელს ჩვენ ამ დაქარაგმებული გვარსახელის ბოლო ნაწილის („ლი“) წაკითხვაც ვცადეთ და მრავალი სიტყვა „რ(უსთაველ)“ — აღადგინეთ (ი. სიხარულიძე, საქართველო რუსთაველის ეპოქაში, წერილი მეცხრე, გაზეთ „ლენინის დროშა“ (მახა-

რამე), 1966, 26 ივნისი (№ 73),
ქვაბისხევის სამონასტრო ეკლესია
თავისი ეკვდერიტა და აკლდამით, შო-
თასა და იას ფრესკით, ეპიგრაფიკი-
თა და სხვა ჩვენებებით მრავალმეტყ-
ველი ძეგლია. თავის დროზე გონივ-
რულად იზრუნეს მასზე და მცველიც
გაუჩინეს. ჩვენი საუკუნის სამოციან
წლებში თუმცა იყო მისი ბედისანაბ-
რად მიტოვების ცდაც, მაგრამ იგი
ძალე გამოსწორდა.

თუმცა მარტოდენ მცველის მიხენა
საქმეს მაინც არ შეელოდა, ვინაიდან
დაზიანებული სახურავიდან ჩამოსუ-
ლი წვიმის წყალი უმოწყალოდ ანა-

დგურებდა ძეგლს, კერძოდ მის
უნიკალურ ფრესკებს და წა-
რწერებს. ამაზე ბევრი დაიწერა,
მაგრამ მისი განხორციელება ძალიან
გაჭიანურდა. იმედია, ახლა მაინც მი-
ექცევა ამ ძეგლს ჯეროვანი ყურად-
ღება. დღეს უკვე მხოლოდ წვიმისა
და ავადხელმყოფთაგან მისი დაცვა
აღარ კმარა. ამასთან აუცილებელია
კვლევის შემდგომი გაღრმავება კომ-
პლექსურ (ხუროთმოძღვრული, არ-
ქეოლოგიური, პალეოგრაფიული, ის-
ტორიულ-გეოგრაფიული და სხვ.) ნი-
ადაგზე.



აჭარული მოტივი



ქართლოს ბასრამი

ჰინ რა თქვა ჭმრელსზე

ანა კალანდამი

შენ ისე ღრმა ხარ
ჭოროხის წყალო,
შენ ისე ღრმა ხარ!
არასდროს დგახარ,
გამოდმა სხვა ხარ,
ვადმა კი სხვა ხარ!
ვაიმე, ბედკრულს,
თუ მიწა გახმა.
იყავ სანატრელ!
მუნით დამრობა
პერც სად გაბედი!

ფრიდონ ხალვაში

არტანუჯიდან დამუნჯებით
რეკავდა ზარი ჩემი ხიხანის,
ჩემი ბავშვობის საუნჯენი
ჭოროხის წყალში ვიცანი.

ჩემი ბათუმი თუ გვირგვინია —
მე მხოლოდ შენ გცანი
დედოფალად,
პლანეტა ხელში მაქვს
დაბლუჯული,
აჭარა კაშკაშებს —
ნატვრისთვალად...

მამია პარშანიძე

საუკუნეებს შევხსნი ურდულებს
იცოდე, მაგ გზას გაგიადილებს,
ჭოროხი წვედბა აზრებს
ურთულესს,
იგი წარსულია და სინამდვილე.
ჭოროხმა ზღვასთან იმედით
ხვალის
მზე დააჩოქა ცეცხლის მუხლებით,
ჭოროხი არის საქართველოს
ხმალი,
მარად უძლევი და ხელუხლები...

გიორგი სალუქვაძე

ის უკრავს შოპენს...
ის უკრავს მოცარტს...
ჭოროხის ტალღით
მიედინება...
რათა განაგრცოს,
მსოფლიოს ამცნოს
ტრიოლეტური
ჰანგის დიდება!
ის მღერის ისე,
როგორც არასდროს,
მისი სიმღერა არ მომწყინდება,
ჭოროხი — ჩემი
ლექის დიდება
ჭოროხი — ჩემი
ავლადიდება...

გოგონი

„...ლაზიკაში რომ მივედით, მთელი ზაფხული... იქ გაუატარეთ, ადგილში (სახელად) მაკრეგიალუსს. მაშინ წამობრძანდა იგი გონიიდან“ — მოგვითხრობს XIV საუკუნის კომენტა მემატიაზე მიქელ პანარეტოსი თავის „ტრაპიზონის ქრონიკაში“.

„მაკრეგიალუსი“ ჭანეთ-ლაზეთის ცნობილი პუნქტი მაკრიალია (ახლა ქემალფაშა). 1377 წლის 10 მაისს მაკრიალში მობრძანდა ტრაპიზონის „ჭაბუკი მეფე, ბატონი მანუილი“, სადაც 15 აგვისტომდე დარჩა.

ტრაპიზონის საკეისროს ამ საზღვრისპირა პუნქტში მანუილი ელოდა საქართველოდან მომავალ სადელფლოს, „თბილისის მეფე დავითის“ ასულს, რომელიც კომნენთა სამფლობელოში გონიიდან შევიდა 1377 წლის 14 აგვისტოს.

ქართველი უფლისწულის (გულქან ბაგრატიონის) გარდა, გონიაში სხვადასხვა დროს რამდენიმე ქართველ მეფეს (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელს) გაუვლია, ხოლო ერთი (თეიმურაზ I) კარგა ხანსაც იმყოფებოდა გონიაში, როგორც თავის სამფლობელოში (XVII ს-ნის ათიანი წ.). მოგვიანებით აქვე გაიარა სულხან-საბა ორბელიანმა.

ამ პუნქტის სახელწოდების სწორი ფორმა „გონია“ და არა „გონიო“, როგორც ის ახლა იწოდება; უცხო ენობრივ ნიადაგზე მომხდარ ამ ფონეტიკურ სახეცვლილებას, გარდა იმისა, დამახინჯებულადაა დამკვიდრებული, სხვა უხერხულობამდეც მიყვარს. ესაა „გონიო“-ს შინაარსი.

ქართულ დიალექტში ის „უპატრონო“-ს აღნიშნავს, ხოლო დასავლურ ქართულ დიალექტებში ღურგლის იარაღს (ნასესხებია ბერძნულიდან). ამიტომ აუცილებელია მისი შეცვლა და ტრადიციულის (გონია) აღდგენა.

„გონია“-ს ეტიმოლოგიებიდან ორი გამოირჩევა: პირველით იგი იტალიის ქალაქ-რესპუბლიკის სახელწოდების „გენუა“-ს სახენაცვალი ფორმაა, ხოლო მეორეთი — ზანური (მეგრულ-ჭანური) სიტყვა.

პირველი ისტორიკოსმა ვ. იამვილმა გამოთქვა 1955 წელს, ხოლო მეორე თითქმის იმედროულად — რამდენიმე ავტორმა (ვ. სიჭინავაძე, ჭანტურია).

გენუა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე კარგა ხანს აქტიურობდა და თავისი კვალიც თვალსაჩინოდ აღებჴდა ამ მხარის ცხოვრებაში. ისტორიული თვალსაზრისით შეუძლებელი არ არის, რომ „გონია“ მართლაც „გენუა“-დან მომდინარეობდეს. რაც შეეხება ლინგვისტურ ასპექტს, აქ ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის „ე“-„უ“-ს პოზიცია, სადაც ქართულში ნაკლებ მოსალოდნელია „ო“-ს გაჩენა.

ზანურში „გონია“-ს „ზურგის“ მნიშვნელობა აქვს. ასე იწოდება ტაღლობრივი წრე, რომელსაც ჩანჩქერი აკეთებს და სერი (მთის, გორაკის ზურგი).

აქედან განსაკუთრებით საგულაძემო მეორეა, რადგან გონიის უხველესი დასახლება სწორედ სერზეა (ზურგზე) დადასტურებული.

გონია მშვენივრად გამოკვეთილი ჰიეროქლეფანა. მღებარეობს მდინარე ჭროხის მარცხენა სანაპიროზე, შენართავის სექტორში. მისი ორი მიჯნა წარმოადგენს ქედის შტოებზე გადის. ეს ვახუშტი ბატონიშვილის იგივე „ჭანეთის მთის მცირედ ჩრდილოეთით მოწეული ადგილია“ (მისი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 633). ამ შტოთაგან ერთი ჩრდილოეთით მიემართება და „მოვალს ვიდრე ჭროხამდე“ (იქვე), ხოლო მეორე — გონია-კვარიათის მიდამოებში ეშვება. პირველი ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვარს დებს, უკანასკნელი — სამხრეთ საზღვარს (იმავე მთის თავიდან ზღვამდე). სხვა მხარეებზე გონიას წყალი აკრავს: ჩრდილოეთით — ჭროხი (მდ. ჩხანაფურას მიდამოებიდან ზღვამდე), ხოლო დასავლეთით — შავი ზღვა (ჭროხის შესართავიდან ცხებურეფუნას სერამდე).

გონიის ლანდშაფტი იგივეა, რაც ჭანეთისა და, საერთოდ, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისა. აქაც ზღვისპირა ვაკობს ბორცვოვანი ზოლი ცვლის, ხოლო უკანასკნელს — მთა:

გონიის ვაკობს დასავლეთით ზღვა საზღვრავს, სამხრეთით — კვარიათის სერა, აღმოსავლეთით — გონიის სერი, ხოლო ჩრდილოეთით — ჭროხის ტერასა. იგი ჩრდილო ნაწილში ბევრად უფრო განიერია, ვიდრე სამხრეთში.

მთათა თუ ზეგნის სისტემათა შესაფერია გონიის ჰიდროგრაფიული ქსელიც. მდინარეთა შორის შედარებით თვალსაჩინოია მახო, ბოლოყო და ჭარნალი. უფრო მცირეთაგან აღსანიშნავია ჩხანაფურასა და ქვათეთრას ღელები (ორივე შენაკადია).

ქვეყანა ფიზიკურ-გეოგრაფიულად ჩრდილოეთისაკენაა პირმიქცეული. რაც ყოველთვის როდი დამთხვევია მის ისტორიულ-გეოგრაფიულ განვითარებას.

შესანიშნავი ჰავა, ანკარა წყარო-

ბი, თევზით მდიდარი მდინარეები, ხეხილით საესე ტყეები და სხვა გუნებრივი სიკეთე ადრევე შეუნიშნავს ადამიანს აქ და დაუწყია მისი ათვისება. ამას მოწმობს ქვის ხანის ნაშთები „გურჯიოღლის ნასახლევიდან“ (სოფ. მახო).

ცხოვრება აქ არც მომდევნო ეპოქებში შეწყვეტილა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადრეკლასობრივი ხანა. სანიმუშოდ საკმარისია დავასახელოთ იგივე „გურჯიოღლის ნასახლევი“ და გონიის სერი, რომლებზეც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის ნაშთებია ნაპოვნი.

ამ გორა-საცხოვრისთა სწრაფვა ერთიანებისაკენ ერთიანი სატომო ქვეყნის წარმოქმნით სრულდება. ამ ქვეყნის უძველესი ცენტრი ჭარნალის ტერიტორიაზეა, რომელიც ადრეკლასობრივ ეპოქაში (ძვ. წ. VII-VI სს) ძველკოლხური მეტალურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი იყო.

მოგვიანებით ზღვისპირეთი წინაურდება, სადაც ძვ. წ. IV საუკუნიდან უკვე გაქალაქების გზაზე შემდგარი დასახლება გვევლინება. ამ დროიდან მას თავისი ციხეც უნდა ჰქონოდა. პირველი ცნობა ამ ციხეზე რომაელ პლინიუს სეკუნდუსს (23-79 წწ) დაუცავს. მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით მიგვლეული არ არის.

ჩვენს ამოცანას ამჯერად სცილდება ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების სურათის წარმოჩენა. ამაზე სპეციალური მსჯელობა უფრო უპირიანი იქნება მას შემდეგ, რაც გონიის მომიჯნავე ქვეყნების ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა დამთავრდება. ასევე ითქმის ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა პერიპეტებზე, არამედ ეთნიკურ გეოგრაფიაზეც. ამის გათვალისწინებაში განსაკუთრებული დახმარება შეიძლება აღმოგვიჩინოს არქეოლოგიამ.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა საგეოგრაფიო ნომენკლატურაც,

მაგრამ გონიაში ამ მხრივ საიმედო ბევრი არაფერი ჩანს, რადგან საამისოდ ცხოვრების უწყვეტი ჯაჭვია აუცილებელი. მართალია, ზოგიერთ ჰიდრონომში აქ საკმაოდ ნათლად მოჩანს მისი შემოქმედების ტომობრივი ვინაობა, მაგრამ ეს მეტწილად უფრო ფართო შინაარსითაა მიღებული, ვიდრე ეს საისტორიო გეოგრაფიას აინტერესებს ამ შემთხვევაში (ვიწრო ტომობრივი ერთეული).

რომელი ქართული თუ ქართველური ტომი იყო გონიის მხარის თავდაპირველი ბინადარი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მოგვიანო ხანაში კი აქ უცხოური წყაროები ასახელებენ ჰენიოხებს, ბიძერებს და ძიდრიტებს. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა არიან პირველნი. პლინიუსი ამ ტომს ასახელებს იმ ტრიადაში (ჰენიოხები, ამპრევიტები, ლაზები), რომელსაც ეკავა ზღვის სანაპირო გონია-ციხისძირის სექტორში.

ამ სამეულიდან ჯერჯერობით მხოლოდ ლაზთა საცხოვრისის განსაზღვრა ხერხდება ასე თუ ისე. ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესო მათი სამხრეთი მიჯნებია, რაც პეტრა-ქაჯეთის (ახლა ციხისძირი, ქობულეთის რ.) მიდამოებშია საგულვებელი.

ამათ სამხრეთით უკვე ამპრევიტები ჩანან, რომელთა ჩრდილო საზღვარი ციხისძირის სამხრეთით და ჩაქვის ჩრდილოეთითაა საძიებელი (ემთხვევა ლაზთა ქვეყნის სამხრეთ მიჯნას), ხოლო სამხრეთი — მწვანე კონცხის მახლობლად. ამ ნიშნით თითქოს ნათელია სადამდე ვრცელდებოდნენ ჰენიოხები ჩრდილოეთით.

უკანასკნელ ხანს ფეხს იკიდებს ი. ორბელის მოსაზრება ჰენიოხთა სვანური წარმომავლობის თაობაზე (1911 წ.).

შუა საუკუნეებში გონია ძირითადად ჭანებით იყო დასახლებული.

ოსმალთა ბატონობის ხანიდან (XVI ს.-ნის შუა წლები) გონიაში შემოვიდა ან ხემშინები (გამაჰმადიანებული სომხები), ქურთები და სხვანი. ამჟამად ამათ შთამომავალს თითო-ოროლას თუ შეხვდებით.

XIX საუკუნის მესამე მეოთხედში გონიაში სხდებიან ჩრდილოკავკასიელი მუჰაჯირები (ჩერქეზები, აფხაზები და სხვები), ხოლო ცოტა მოგვიანებით, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ, აჭარისწყლის ხეობის მკვიდრნიც ინტენსიურად სახლდებიან იქ. გონიის მხარის დღევანდელ ბინადართა შორის საკმაოდ არიან ჭანებიც (ლაზები), მაგრამ არა გონიის ძველ ბინადართა ნაშეირნი, არამედ ჭანეთის შიდა რაიონებიდან გადმოსახლებულნი, მეტწილად ჩვენს საუკუნეში.

ყველაზე ძნელედობის ხანა გონიის ისტორიაში ეს ოსმალთა 331-წლიანი ბატონობა იყო. იგი დაიწყო 1547 წელს, როცა პორტამ გონიის ციხე დაიპყრო და დასავლეთ საქართველოზე შეტევის ბურჯად აქცია.

ოსმალებმა მალე აღწერეს მიტაცებული მხარე (ჭანეთი) გონიითურთ და თავისებურად მოაწყვეს. დასაწყისში გონია „ნაჰიდ“ (სათემო ერთეული) გამოჰყვეს არქაბეს კაზაში (ტრაპიზონის ლივა). მოგვიანებით კი, როცა მტერმა კახაბერიც მიიტაცა, გონიის მნიშვნელობაც გაიზარდა და კარგახანს სანჯაყის ცენტრიც იყო.

ოსმალეთთან უთანასწორო ბრძოლაში განცდილი მარცხის გამოსასწორებლად დიდხანს იბრძოდა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მას სასურველი შედეგი დიდხანს არ მოჰყოლია. საამისო ტაროსი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან დაუდგა და გონიაც დაუბრუნდა დედამამშობლოს.

ეს ამ 102 წლის წინ იყო...

ბათუმის არქიტექტურის მუზეუმი

1979 წლის აგვისტოში ბათუმში გაიხსნა არქიტექტურის მუზეუმი, რომელიც საქართველოში პირველია, ხოლო საბჭოთა კავშირში მეორე. მუზეუმი ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ არქიტექტურთა კავშირის აჭარის ორგანიზაციისათვის.

მუზეუმის ადგილსამყოფელად ქალაქის შემოსასვლელში გამოიყო ორ პექტარამდე კეთილმოწყობილი ტერიტორია, რომელზედაც უძველესი პერიოდის არქიტექტურული ძეგლი — ბათუმის („თამარის“) ციხეა მოთავსებული.

ამ ადგილს დიდი ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც ქალაქ ბათუმის თავდაპირველ ადგილსამყოფელს, სადაც უხსოვარი დროიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არსებობდა ქ. ბათუმი და მისი ნავსადგური.

მუზეუმს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა არქიტექტორი გ. ბალოშვილი.

მუზეუმში შექმნილია განყოფილებები: საბჭოთა არქიტექტურის (ხელმძღვანელი არქ. გ. ბალოშვილი), ისტორიის (ხელმძღ. პროფ. ი. სიხარულიძე), არქეოლოგიური კვლევის (ხელმძღ. დოც. ა. კახიძე). გამოფენებისა და სამეცნიერო პროპაგანდის (ხელმძღ. დოც. დ. კომახიძე), ფონდების აღრიცხვისა და დაცვის (ხელმძღ. არქიტექტ. ლ. მუჟაფინაძე).

მუზეუმის სამეცნიერო საბჭოში გაერთიანებული არიან საქართველოს გამოჩენილი მეცნიერები — პროფესორები პ. ზაქარაია, თ. კვირკველია, ნ. ნიჟარაძე, ი. სიხარულიძე, დ. ხახუთაიშვილი და სხვ.

მუზეუმი ეწევა ფართო სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობას, მას გააჩნია საკმაოდ კვალიფიციურად მოწყობილი საექსპოზიციო დარბაზი, სადაც გამოფენილია საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ხუროთმოძღვრული შემოქმედების ნიმუშები, როგორც ისტორიული, ასევე — თანამედროვე.

მუზეუმის არსებობის ერთი წლის მანძილზე მის ექსპოზიციებს გაეცნო 100 ათასზე მეტი კაცი. მის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს გულთბილი ჩანაწერები შთაბეჭდილების წიგნში და ის უამრავი წერილი, რომლებიც მუზეუმის ხელმძღვანელების სახელზეა მიღებული.

მუზეუმმა მიმდინარე წელს გამოსცა შრომების პირველი კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“. კრებულში მოთავსებული მასალები მრავალმხრივია — აქ მოცემულია ისტორიული ხასიათის წერილები. ცალკეული ძეგლების ანალოზი ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურის საკითხები, გამოჩენილი სპეციალისტებისადმი მიძღვნილი წერილები, ინფორმაციები, რეცენზიები და სხვა. შრომების მეორე ნომერი გამოვა „ხუროთმოძღვრების“ სახელწოდებით, მუზეუმის ყოველწლიური კრებულის გამოცემა უსათუოდ დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს არქიტექტურთა საზოგადოებას, მითუმეტეს, რომ ის არ იფარგლება აქა-

რის ასს რესპუბლიკით, მის მუშაობაში მონაწილეობენ, როგორც საქართველოში მომუშავე წამყვანი არქიტექტორები, ასევე სპეციალისტები საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მიმდინარე წელს მუზეუმი გამოსცემს მონოგრაფიებს: ნ. ჯაფარიძის „ლაზი მხატვარი პელიშიში“, ა. კახიძის „აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები“, ს. ზალიშვილის „ღვაწლმოსილი არქიტექტორი ვალერიან კედია“, დ. კომახიძის „ქ. ბათუმის არქიტექტურის სამეცნიერო კვლევითი მუზეუმი“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), ნ. შენგელიას „ბათუმის ციხის ისტორიის მასალები“ და სხვა. მუზეუმი ამზადებს ენციკლოპედიური ტიპის ნაშრომს „საქართველოს სსრ არქიტექტორები“, რომლის გამოცემაც განზრახულია 1982 წლისათვის. 1981 წლიდან გამოიცემა მუზეუმის მოღვაწეობასთან დაკავშირებული პროსპექტები, ბუკლეტები, ლია ბარათების სერიები და სხვ.

მუზეუმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქალაქ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად აწარმოებს გათხრებს არქიტექტურული ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლის მიზნით (ვერნები, თხილვანა და სხვ.).

მუზეუმმა განვლილ პერიოდში აქარის ასსრ მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოაწყო ორი სტაციონარული გამოფენა, ამთგან ერთი მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვრის პროფესორ ლადო ალექსი-მესხიშვილის ნამუშევრებს, ხოლო მეორე ბავშვთა საერთაშორისო დღეს დევიზით: „არქიტექტურა ბავშვებს“.

მუზეუმთან მიმდინარე წლის თებერვლიდან შექმნილია კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა არქიტექტურის ფაკულტეტი ქალაქის საშუალო სკოლების უფროსკლასელთათვის, ლექტორიუმი მოზარდილთათვის, არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის გახსნილია მოსამზადებელი კურსები ჩატავში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავთან დაკავშირებით არქიტექტურის მუზეუმის კულტურის უნივერსიტეტმა გამართა სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩოხატაურის რაიონის სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ახლო მომავალში კულტურის უნივერსიტეტი გამსვლელ სესიას გამართავს ჩოხატაურში.

მუზეუმის ბაზის შემდგომი გაფართოების მიზნით დამუშავებულია სათანადო პროექტი, რომლის მიხედვითაც უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს მისი სრულყოფა, გაიზარდება საგამოფენო დარბაზები, აგრეთვე შეიქმნება სათავსოები ფოტოთექნიკისათვის, არქივისათვის, ბიბლიოთეკისათვის. აქვე გათვალისწინებულია სააქტო დარბაზი, ყალიბდება კინო-ფოტო ლაბორატორია და სხვ.

მუზეუმის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მოეწყოს საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლების გამოფენა ღია ცისქვეშ, რაც კიდევ გააფართოებს და საინტერესოს გახდის ამ დაწესებულების პროფილს.

დავით კომახიძე.



დიდი ხელოვანი

ქართულმა კულტურამ, მთელმა საბჭოთა ხელოვნებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 1980 წლის 19 ივლისს წავიდა ჩვენგან დიდებული ერისკაცი, თანამედროვეობის უდიდესი ხელოვანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ლადო გუდიაშვილი.

ლადო გუდიაშვილის სახელი იშვიათი ბრწყინვალებით კიაფობს თანამედროვე ხელოვნების სამყაროში.

ლ. გუდიაშვილი დაიბადა 1899 წლის 24 მარტს. მშობლები ფასანაურიდან თბილისში გადასახლებულან და ქალაქური ცხოვრების ფერხულში ჩაბმულან. 14 წლის ლადო, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა.

სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლადო გაიტაცა ძველი თბილისის ვანუშორებელმა ხედვებმა, ყარაჩოდლებისა და კინტოების ყოფა-ცხოვრებამ. მას წილად ხვდა ბედნიერება, მონაწილეობა მიეღო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციებში. იგი დიდი ხალისით იხატავდა კედლებზე გამოსახულ მითოლოგიურ და ისტორიულ პიროვნებათა რთულსიუჟეტთან ფრესკებს. ლადოს ბეჭდვით უთქვამს: ჩემი მხატვრული სტილის გამოწრთობაში ქართულმა ფრესკამ, რომელიც მე მშობლიურ პირველწყაროდ მიმაჩნია, კეთილი სულიერი ხელი დამადო. ამ მხატვრულ განძთან შეხების საშუალებით ვეზიარე ცხოვრების საწყისს, ქალწულებრივ სიწმიდეს, ბუნების სტიქიის პირველყოფილ ზიჯანსა და სილამაზეს... მხატვარს მიაჩ-



ნია, რომ სამხატვრო სასწავლებლის შემდეგ ეს მისი უმაღლესი სამხატვრო აკადემია იყო.

ოცნის წლებში ლადო გუდიაშვილი ცხოვრობდა პარიზში. ეწაფებოდა ლუვრში ექსპონირებულ შეხანაშნავ ოსტატთა მხატვრულ ქმნილებებს. ეცნობოდა ახალი საუკუნის მაღალნიჭიერი მხატვრების შემოქმედებას. ლადოსთან ერთად იმხანებში პარიზში იყვნენ სახელმწიფო ქართველი მხატვრები დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, შ. ქიქოძე.

პარიზში მხატვარმა შექმნა ფერწერისა და გრაფიკის ბევრი უბადლო ნიმუში. მათგან აღსანიშნავია „იდილი“, „ქეიფი ქალთან“, „აღმოსავლური სიმღე-

რა“, „მოზანავე ქალები“, „ქალები შვე-
ლით“.

პარიზის მხატვრულ სამყაროში ლ. გუ-
დიაშვილის სახელი უველახათვია მოუ-
ლოდნელად გამოჩნდა. 1920 წელს პა-
რიზის „საშემოდგომო სალონში“ მან
ოთხი ნამუშევარი წარადგინა. მოხდა და-
უჭერებელი რამ: შერჩევის სიმკაცრით
ცნობილმა სალონმა ლ. გუდიაშვილის
ოთხივე ნაწარმოები მიიღო და დაუყო-
ვნებლივ გამოფინა. მხატვართა წრეებში
უცხო, ამასთან არაევროპელი ხელოვა-
ნის გამოჩენამ დიდი ინტერესი გამოი-
წვია. მისი ნიჭის ფართო აღიარების
დემონსტრაციას წარმოადგენდა პარიზში
მოწყობილი პერსონალური გამოფენები.
პირველი გამოფენა გაიმართა 1922 წელს;
ექსპონირებული იყო 62 ნამუშევარი.
მხატვრის სახელი მალე იმდენად პოპუ-
ლარული გახდა, რომ მისი ნაწარმოებე-
ბი, როგორც მაღალმხატვრული ქმნი-
ლებები, ხელოვნების ბევრმა მეცენატმა
და სამხატვრო სალონმა შეიძინა.

პარიზში მოწყობილი გამოფენებიდან
თავისი მასშტაბით ცალკე უნდა გამოფ-
ნოთ 1925 წლის ზაფხულის გამოფენა.

ლ. გუდიაშვილის დიდ ღირსებად სწო-
რედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან პა-
რიზში შეიცნო, იპოვა თავისი თავი, ჩა-
მოყალიბდა საკუთარი ხელწერის ისეთ
ოხტატად, რომელიც შესანიშნავად აერ-
თებდა წმინდა ეროვნულ პრინციპებსა
და პროგრესულ სიახლეებსაც. მისი ხე-
ლოვნების პირველწყაროს რეალური
სინამდვილე წარმოადგენს, სინამდვილე,
თავისებურად გაგებული და ახსნილი
ფილოსოფიურად მოაზროვნე მხატვრის
მიერ. ამ ნიადაგზე შექმნილი ხელოვნე-
ბა ყოველთვის ჩაგაფიქრებს, მოგიწო-
დებს, კარგად შეიცნო ის ქვეყანა, სადაც
ცხოვრობ.

ლ. გუდიაშვილი მუდამ პატივს დებდა
თანამედროვეობას, სოციალურ, ისტო-
რიულ-რევოლუციურ სიუჟეტებს. ჯერ
კიდევ პარიზში ყოფნიას, 1925 წელს,
იგი გაიტაცა პარიზის კომუნარების გმი-
რული ბრძოლის ისტორიამ და მასაღე-
ბის სერიოზული შესწავლის საფუძველ-

ზე შექმნა საკმაოდ მოზრდილი ფერწე-
რული ტილო „პარიზის კომუნარების
დახვრეტა“, ხოლო უცხოეთიდან საშვი-
ბლოში დაბრუნების შემდეგ (1926 წ.)
პირველი ნაწარმოები ახალგაზრდა ხა-
ბკოთა საქართველოს ინდუსტრიულ თე-
მას მიუძღვნა. მომდევნო წლებში შექმნა
„მოდინ კომპაგშირელები“, „ციხტარე-
ბის შეკეთება“, „კომპაგშირელები“, „რი-
ონისი“, „ბრძოლა ნაძალადევის“ 1926
წ., „არსენა ჯორჯიაშვილი სიკვდილით
დასჯის წინ“, „წითელი არმიის შემოსე-
ლა თბილისში“.

ომისშემდგომ პერიოდში მხატვარმა
შექმნა „საკომიურნეო ბრიგადის დაბ-
რუნება“, „სამგორის მშენებლობაზე“,
„სიმღერა მშვიდობაზე“, „ლენინის დღე-
ები“, „ძველი და ახალი“, „საიუბილეო
წელი“ და სხვა მრავალი სურათი.

მხატვრის შემოქმედებაში ფართოდ
აისახა აჭარა. ჩვენი კუთხის სიუჟეტებ
ზეა შექმნილი „ჩაის კრეფა“, „ბრიგადა
ჩაის პლანტაციაში“, „ფერადე წითელი
ხელთათმანით“, „ჩაის მკრეფავები“, „ქა-
ლიშვილი მანდარინებით“, „ბათუმელი
გოგონები“, „მახინჯაურელი მზია“, „ცი-
ტრუსების კრეფა“ და სხვ.

მშვენიერების განსახიერებელ მხატ-
ვარს ღამაში ქალი მიაჩნია, მაგრამ არა
მარტო გარეგნული, სოციალური, არამედ,
უპირველეს ყოვლისა, შინაგანი, ადამიან-
ური, სულიერი სიღამაზის ქალი. ამ
მხრივ საინტერესოა ნაწარმოებები „ხა-
ქორწინო განაზვა“, „სიხარულის მო-
ლოდინში“, „ეთერი სარკის წინ“, „ლო-
უაში“, „სამადლობელი“, „მანდილოხანი“,
„ჩუქურთმა“ და სხვები. შევუურებთ ამ
ქმნილებებს და მოკადრებული ვრჩებით,
სიხარულით ვივსებით და გვინდა ამი-
ერიდან უფრო მეტად ვცეთ თავყანი და
დავაფასოთ, რაც კი ამქვეყნად მშვენიე-
რი და ღამაზია, სათნო და ფაქიზია, კე-
თილი და მიმზიდველია. შემთხვევითი რო-
დია, რომ მხატვრის ატელიეში კეთილ
ადამიანთა გვერდით არაჩვეულებრივი
სიფაქიზით შესრულებული ცხენი და
ირემი, შველი და ვარდია წარმოადგენი-
ლი.

ომის წლებში განსაკუთრებულად გამოჩნდა ლ. გუდიაშვილის ტალანტის თავისებურება. ომის თემაზე შესრულებულ გრაფიკულ ფურცლებზე ვერ იპოვით ბატალურ სცენებს. მხატვარი შესანიშნავად ჩაწვდა ბიტლერული ფაშისმის ვანდალურ ბუნებას და თავისებური ორიგინალური შიდაგონით ამხილა მისი ბარბაროსული კაცთმოძულეობა. მხატვრის ღრმა რწმენით, ფაშისტები უოველგვარი სიკეთის, მშვენიერების მტრები არიან და მხოლოდ ბოროტებას განახლებენ. ეს აზრია ჩაქსოვილი სიმბოლური შინაარსის გამომხატველ ნაწარმოებებში „სილამაზის მესაფლავენი“, „სილამაზის საიდუმლოება“, „ვინ იცის, რაში გამოადგებათ“, „გულქვა ღომისა“ და სხვ.

ლ. გუდიაშვილი მაყურებელს ხიბლავს ხატვის რთული ტექნიკით, ფერების განუმეორებელი შეცნობის უნარით, ფიგურების შინაგანი ფსიქოლოგიური დახასიათებით, კომპოზიციის ისეთი აგებით, როდესაც მკვეთრი და ექსპრესიული მოძრაობა ძირითად თვისებას წარმოადგენს. დიდი მხატვარი თავის ნაწარმოებში აქსოვს ღრმა ფილოსოფიურ აზრს, რომლის ამოცნობა მოითხოვს განათლებულობასა და მაღალ მხატვრულ დონეს. ყველაფერს ამას მხატვარი გადმოგვცემს ისეთი სტილით, რომელიც მხოლოდ მისეულია, გუდიაშვილისეული, განსხვავებული დღემდე ცნობილი ყველა მხატვრის სტილისაგან.

დიდად მნიშვნელოვანია ლ. გუდიაშვილის ღვაწლი გრაფიკის განვითარებაში, როდესაც მის გრაფიკულ ფურცლებს ეცნობით, ღრმა ემოციების სამყაროში ხვდებით, ერთბაშად იხიბებით თავისუფალი, ნათელი, მსუბუქი ხაზებითა და შუქ-ჩრდილებით. ეს ხაზები მტკიცე და დამაჯერებელია, ხან მშვიდი და ჰარმონიული, ხან კიდეც გაოცებით მისი სწრაფი, რიტმული და დინამიკური მოძრაობა.

ლ. გუდიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ბევრი მონოგრაფია და წიგნი მიეძღვნა. პირველი გამოკვლევის ავ-

ტორი იყო ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე მორის რეინალი, რომელმაც 1925 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „ლადო გუდიაშვილი“. ბოლო წლებში დასტამბული წიგნებიდან აღსანიშნავია რონეი კომიამას „ჩემი ლადო გუდიაშვილი“ (ტოკიო, 1972 წ.), ლ. ზლატკევიჩის „ლადო გუდიაშვილი“ (თბილისი 1971 წ. რუსულ ენაზე) და სხვ.

ამ მონოგრაფიულ გამოკვლევებში ერთხმად აღიარებულია, რომ ლადო გუდიაშვილი თავისი მარად უკვდავი ხელოვნებით ეკუთვნის არა მარტო მის მშობლიურ ქართველ ერს, არამედ ყველა ხალხს.

ლ. გუდიაშვილის შემოქმედებაში, როგორც ითქვა, ჩვენი კუთხის თემებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე — აჭარა და, კერძოდ, ქალაქი ბათუმი მხატვარს უსაზღვროდ უყვარდა და ვერ წარმოედგინა, ხშირად რომ არ ენახა. ბათუმელემაც თავიანთი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად იგი საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

1974 წლის ზაფხულში ბათუმში მოეწყო ლ. გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა. ეს იყო დიდი მოვლენა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ფერთა დიდი დღესასწაული, რომელიც ყველას სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიდმა მხატვარმა მოგონებათა ახალი წიგნის ორი თავი — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“ და „პარიზი... პარიზი...“ სწორედ უურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდა წლიდან — მე-2 და მე-4 ნომრებში. უკანასკნელი მოგონება მხატვრის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა.

დიდებულმა მხატვარმა მთელი თავისი შეგებული ცხოვრება მხოლოდ ხელოვნების უმწიკვლო სამსახურს ანაცვალა. სილამაზისა და მშვენიერების უბადლო მესობის — ლადო გუდიაშვილის უქცნობ ხელოვნებას სამარადუამო ხიცოცხლე უწერია.

ლადო შარაშიძე.



ხასან ჯალიშვილის ნაშუაშეშეშის
გამოფენა

აქარის მხატვართა კავშირის საგამო-
ფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი
ლაზი მხატვრის ხასან ჯალიშვილის ნაშუ-
შეშეშის გამოფენა, იგი მოაწვეს აქა-
რის მხატვართა და ჟურნალისტთა კავ-
შირებმა.

გამოფენა გახსნა საგამოფენო დარბა-
ზის დირექტორმა, აქარის ასსრ ხელოვ-
ნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. შა-
რაშიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ სარფის საშუა-
ლო სკოლის დირექტორი ზ. ვანილიში,
პროფესორი ნ. ნიუარაძე, მხატვარი ა.
ბაკურიძე, ხ. ჯალიშვილის სტუდენტობის
მეგობარი მ. მემიშიში, პრეტი შ. ზოი-
ძე, სახალხო დეპუტატთა სარფის სასო-
ფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მ. ბაქრაძე, გაზეთ „საბჭოთა აქარის“
კორესპონდენტი ნ. ჯაფარიძე, პარტიის
ხელუმაურის რაიკომის პირველი მდივან-
ი ს. ინაიშვილი და სხვები.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანა-

გები ვ. პაპუნიძე, ნ. გუგუნივა, დ. დია-
სამიძე, დ. მანჯგალაძე, ო. ხატიაშვილი,
რ. ბერიძე.

შეხვედრა კინოთეატრ „თბილისში“

„თბილისის“ დარბაზში შეიკრიბნენ
ბათუმელ მშრომელთა წარმომადგენლე-
ბი, პარტიული, პროფკავშირული, კო-
სკავშირული მუშაკები, დიდი სამამულო
ომის ვეტერანები, ლექტორ-მასწავლებ-
ლები, ახალგაზრდები, ლიტერატორები.
ისინი შეხვედრენ საქართველოს სსრ ხე-
ლოვნების დამსახურებულ მოღვაწეს
რევაზ თაბუკაშვილს, იტალიის წინააღმ-
დეგობის მოძრაობის მონაწილეებს.

შეხვედრა გახსნა აქარის ასსრ კინემა-
ტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარემ ლ. ბოლქვაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ისტორიის მეც-
ნიერებათა კანდიდატი ა. სურგულაძე,
იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის
მონაწილე ნ. ვაჩიშვილი, საქართველოს
მწერალთა კავშირის აქარის განყოფილე-
ბის პასუხისმგებელი მდივანი, რუსთავე-
ლის სახელობის პრემიის ლაურეატი ფ.
ხალვაში.

შეხვედრაზე გამოვიდა რ. თაბუკაშვი-
ლი.

— ამ კინოთეატრში, — თქვა მან, —
სამსჯავროზე გამომაქვს სრულმეტრაჟი-
ანი ორი დოკუმენტური ფერადი ფილმი
— „კვადი ნათელი“ და „ალბური ვარს-
კვლავი“. პირველი მოგვითხრობს მისხილ
თამარაშვილის ტრაგიკულ ბედზე შორე-
ულ იტალიაში, მეორე კი საბჭოთა პარ-
ტიზანის — ფორე მოსულიშვილის გმი-
რობაზე იმავე ქვეყანაში.

ორივე კინოსურათის სცენარის ავტო-
რი ლ. რეჟისორია თვით რ. თაბუკაშვი-
ლი.

ფილმების დემონსტრირების შემდეგ
მკურნალები დიდხანს უკრავდნენ ტაშს
ამ შესანიშნავი ნაწარმოებების ავტორს
— რ. თაბუკაშვილს.

„ციცინათელა“ ავსაზეთში

განათლების მუშაკთა საოლქო სახლ-
თან არსებული მოწარდთა ანსამბლი
„ციცინათელა“ (დირიჟორი აქარის ასსრ
კულტურის დამსახურებული მუშაკი გ.
გრეკოვი, ქორეოგრაფი საქართველოს
სსრ დამსახურებული არტისტი ა. ჭიჭეი-
შვილი, კონცერტმასტერი ლ. ბლაგიძე)
მთელ რიგ საცეკვაო თუ სასიმღერო ნო-
მრებს ხალხური საკრავიერი ინსტრუმენ-
ტების თანხლებით ასრულებს, ამასთან
მრავალფეროვანია ხელოვნების ნორჩ
ენტუზიასტთა რეპერტუარი.

„ციცინათელა“ განათლების, უმაღლე-
სი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებუ-
ლებების მუშაკთა პროფკავშირის აფხა-
ზეთის საოლქო კომიტეტის მოწვევით
მოძმე ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ-
ყოფებოდა. იგი აქ ეწვია პიონერთა გა-
მაჯახალბედე ბანაკს „მიუსერას“ და გა-
მართა კონცერტი, რომელიც მეგობრო-
ბის ზეიმად გადაიქცა.

სანტაპარასო მარშრუტით

ბათუმელი მწერლები ეწვივნენ მთი-
ანი აქარისა და მესხეთ-ჭავჭავთის მშრო-
მელებს. დელეგაციაში, რომელსაც ხე-
ლმძღვანელობდა საქართველოს მწერალ-
თა კავშირის აქარის განყოფილების პა-
სუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის
პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში,
შედიოდნენ პოეტები მამია ვარშანიძე,
ჭემალ ქათამაძე, ნუგზარ ჭაფარიძე, ვახ-
ტანგ ღლონტი, ამირან ხაბაში.

პირველი შეხვედრა გაიმართა აქარის-
წყლის ჰიდროელექტროსადგურში. პოე-
ტებს მიესალმა პარტიის ქედის რაიკო-
მის პირველი მდივანი ა. თავდგირიძე,
ვეტერანი მუშა მ. თავდგირიძე. შემდეგ



დელეგაცია ესტუმრა შუახევად მეცხო-
ველებსა და მეთამბაქოეებს, რაიონულ
კულტურის სახლში მოეწყო პოეზიის
სალამო, რომელიც გახსნა პარტიის შუა-
ხევის რაიკომის პირველმა მდივანმა მ.
ქალაიძემ, სტუმრებთან ერთად ლე-
ქსები წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ზ.
კეჟერაძემ. საინტერესო შეხვედრები გა-
იმართა სულოს რაიონის სოფელ სხალ-
თაში, უძველესი ეკლესიის შენობაში, აგ-
რეთვე გოდერძის უღელტეხილზე, სოფ-
ელ დიოკნიის კოლმეურნეობის მთიბ-
ველებთან. სტუმრებს მიებალმნენ პარ-
ტიის სულოს რაიკომის მდივანი ე. დე-
კანაძე, სახალხო დეპუტატების რაიკმა-
სკომის თავმჯდომარე ბ. შაინიძე, ფი-
ლოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი მ.
მახარაძე, ახალგაზრდა პოეტი გ. შაინი-
ძე, სხალთის სასოფლო საბჭოს თავმჯ-
დომარე ი. სურმანიძე.

აღიგენის რაიონში დელეგაცია ესტუ-
მრა შ. რუსთაველის სახელობის სოფელ
უდეს კოლმეურნეობას.

ბათუმელი პოეტები შეხვდნენ ახალ-
ციხის საკონსერვო კომბინატის მშრომე-
ლებს. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმ-
ში გაიმართა დიდი სალამო, ქალაქის
მშრომელებს სტუმრები წარუდგინა პა-

რტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჩაიამ.

საინტერესო შეხვედრები გაიმართა ახ. პიშისა და ახალქალაქის რაიონებში. დღე-ღევაციას შეგზურობას უწევდნენ პარტიის ახსნის რაიკომის პირველი მდივანი თ. პატაშვილი და ახალქალაქის რაიკომის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ლაშარაშვილი. სტუმრებმა დაათვალიერეს ზარზმისა და საფარას ტაძრები, ვარძია, თმოგვისა და ხერთვისის ციხეები და სხვა ისტორიული ადგილები.

ბათუმელი მწერლების შეხვედრები მშრომელებთან სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა.

„მხატვარი და ბუნება“

მხატვართა კავშირის ხაგაზოფენო დარბაზში მოეწყო აპარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა დღევით — „მხატვარი და ბუნება“.

თემატიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 32 მხატვრის 88 ნამუშევარი. მათში ასახულია ჩვენი კუთხის ბუნება: ზემო აპარის მთის ხედები, ჩაის პლანტაციები, ციტრუსები და ხეილის ბაღები, ზღვის თემებზე შესრულებული მხატვრული ქმნილებები.

გამოფენაზე წარმატება ხვდა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრებს შ. ხოლუაშვილის, შ. ზამთარაძის, ნ. იაკოვენკოს, აპარის ახსრ დამსახურებული მხატვრების გ. მეგრელიძის, დ. იმნაიშვილის, ა. ფილიპოვის და სხვათა ნამუშევრებს.

მწერალბი კოზაღათელ მშრომელბათან

ბათუმელ მწერალთა ჯგუფი ეწვია ქობულეთის რაიონის სოფლებს.

საინტერესო შეხვედრა მოეწყო სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადის მშრომელებთან. მწერლები

მ. ვარშანიძე, გ. სალუქვაძე, ჯ. ჯაფელი, ჯ. ქათამაძე, ა. საბაზი, შ. ზოიძე პლანტაციაში შეხვდნენ მეჩაიეებს. გაიმართა გულახდილი საუბარი. მწერლებმა კოლმეურნეებს მოუთხრეს თავიანთ შემოქმედებით გეგმებზე, წაიკითხეს ახალი ნაწარმოებები.

ამ შეხვედრით ქაქუთელი კოლმეურნეები კმაყოფილი დარჩნენ. სტუმრებს მადლობა გადაუხადა კოლმეურნეობის პარტიურის მდივანმა. ა. ბერაძემ.

ანალოგიური შეხვედრები მოეწყო ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვასა და სხვა კოლმეურნეობებში.

პარსკაქტიული ანსამბლი

ღვაწლმოსილმა ქორეოგრაფმა ალექსანდრე ჯიჭიშვილმა პერსექტიული ანსამბლი ჩამოაყალიბა ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში.

ხანმოკლე დროის განმავლობაში ანსამბლმა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა დაამუშავა. კოლექტივი წარმატებით გამოვიდა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მხატვრული თვითშემდეგი კოლექტივების 87-ე ოლიმპიადაზე (იგი თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა). მისმა წევრებმა ოქროს მედლები და პირველი ჯარისხის დიპლომა დაიმსახურეს.

საქალმოსხმავილი კაპიტანის იუბილი

აპარის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა შორეული ნაოსნობის კაპიტანის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყოფილი უფროსის ანატოლი კაქარავას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა გ. ჩხეიძემ.



აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება იუბილარისადმი.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსმა ა. ვერესოცკიმ ა. კაჭარავას გადასცა სამინისტროს მისალმება და სამახსოვრო ადრესი.

მოხსენება ა. კაჭარავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანმა უ. ფატლაძემ.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მთავარი ინჟინერი პ. ჯორბენაძე, თბომაველ „ფილიპე მაზარაძის“ კაპიტანი თ. გაიდამაშჩუკი, სამხედრო მოსამსახურე ვ. ტოლი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ტ. გრიგოლია, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დოლიძე, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი გ. ვატავევი, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი ნ. ღუშბაძე, ბათუმის სასაზღვრო რაზმის უფროსი კ. სარიჩივი, ბათუმის ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირი გ. კახიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. მამულაძე, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი ე. ჭანტურია.

ბავშვებმა იუბილარს მიართვეს უვადო.

ტრიბუნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე. მან მხურვალედ მიულოცა ა. კაჭარავას სახელოვანი იუბილე, ილაპარაკა მის დამსახურებაზე საბჭოთა სამშობლოს წინაშე, იუბილარს უსურვა ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და


კვირვასო კამითხველვასო!

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ „ჭოროხზე“ 1981 წლისათვის.
ერთი წლით ხელმოწერის ფასია 2 მან. 40 კაპ.

ლიტერატურно-художественный
и общественно-политический журнал

„Ч О Р О Х И“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
индекс 76118



რედაქციის მისამართი:

ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

საფოსტო ინდექსი

384516

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონიძე

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიჩილაძე, ჯურაბ გორგილაძე, მამია
ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზორბეგ ჯორბეგაძე, დავით თაღლირაძე,
იოსებ ნონეშვილი, გიორგი ხალუშვაძე, ჯემალ კატაშაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაძე,
ჯემალ ჯაყელი.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20. ფასი 40 კაპ.



0 83

137

